

ირაკლი ირემბაძე • ლელა გაფრინდაშვილი • გაბრიელ ჩუბინიძე

# პროგრესივიზმის საწყისები

ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია



ირაკლი ირემაძე • ლელა გაფრინდაშვილი • გაბრიელ ჩუბინიძე

# პროგრესივიზმის საწყისები

ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია

პირველი გამოცემა

თბილისი  
2024

ავტორები:

ირაკლი ირემაძე  
ლელა გაფრინდაშვილი  
გაბრიელ ჩუბინიძე

მთავარი რედაქტორი და  
პროექტის ხელმძღვანელი

დიმიტრი ცაიტიშვილი  
*საქართველოს პროგრესული  
ფორუმის თავმჯდომარე*

სამეცნიერო რედაქტორი და  
წინასიტყვაობის ავტორი

დიმიტრი შველიძე  
*ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

პროექტის კოორდინატორები: სალომე შარაშენიძე

ვახტანგ სიფრაშვილი

პუბლიკაციაში გამოქვეყნებული ვიზუალური მასალები  
დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში,  
საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა  
და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის  
საზოგადოებრივ არქივში. პუბლიკაციაში გამოყენებული  
ვიზუალური მასალების ნაწილი მოპოვებულია  
ინტერნეტის ღია წყაროების საშუალებით

© საქართველოს პროგრესული ფორუმი  
© Fridrich Ebert Stiftung

ISBN 978-9941-8-6452-0

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს პროგრესული ფორუმის მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის: პროგრესული იდეების სკოლის ფარგლებში.

ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრი წარმოადგენს საერთაშორისო სოლიდარობისა და ადვოკატირების მხარდამჭერ მშრომელთა მოძრაობების შვედურ ქოლგა ორგანიზაციას. ოლოფ პალმეს სახელით, ცენტრი მუშაობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისთვის. ცენტრი მხარს უჭერს პროგრესულ მოძრაობებსა და პარტიებს, რომლებიც ცვლიან საზოგადოებებს და მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას.



ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს ყველაზე ძველ გერმანულ პოლიტიკურ ფონდს, რომელიც ემსახურება სოციალ-დემოკრატიის ძირითად იდეებსა და ღირებულებებს: თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას. დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

## სარჩევი

წინასიტყვაობა გამომცემლისგან (დიმიტრი ცქიტიშვილი).....	7
ორიოდე სიტყვა წინამდებარე ნაშრომის შესახებ (პროფესორი დიმიტრი შველიძე) .....	10
შესავალი (ირაკლი ირემაძე) .....	14
I თავი – ინდუსტრიული რევოლუცია და სოციალიზმის პრეისტორია (ირაკლი ირემაძე) .....	16
II თავი – საფრანგეთის რევოლუცია და მისი გამოძახილი (ირაკლი ირემაძე, ლელა გაფრინდაშვილი) ...	24
III თავი – მარქსიზმის დაბადება და რევოლუციური მოძრაობები (ირაკლი ირემაძე) .....	31
IV თავი – მარქსიზმის რევიზიონიზმი და სოციალ-დემოკრატიის წარმოშობა (ირაკლი ირემაძე) .....	46
V თავი – პრემარქსისტული პირველი დისკუსიები საქართველოში (ირაკლი ირემაძე).....	59
VI თავი – სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიის ფორმირება საქართველოში, მუშათა მოძრაობის გამოსვლა ასპარეზზე (ირაკლი ირემაძე) .....	66

VII თავი – სოციალ-დემოკრატიული იდეები მოქმედებაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება (ირაკლი ირემაძე, ლელა გაფრინდაშვილი) .....	97
VIII თავი – საბჭოთა ოკუპაცია და სოციალ-დემოკრატიული იდეების დევნა საქართველოში (ირაკლი ირემაძე, გაბრიელ ჩუბინიძე) .....	131
IX თავი – „საბჭოთა საქართველო“: პირველი წლები – დემოკრა- ტიული რესპუბლიკის დემონტაჟი (გაბრიელ ჩუბინიძე, ირაკლი ირემაძე) .....	142
X თავი – 1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები (გაბრიელ ჩუბინიძე, ირაკლი ირემაძე) .....	149
XI თავი – საბჭოთა დიდი ტერორი და სოციალ-დემოკრატები (გაბრიელ ჩუბინიძე, ირაკლი ირემაძე) .....	161
XII თავი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ირაკლი ირემაძე, გაბრიელ ჩუბინიძე) .....	168
შეჯამება (ირაკლი ირემაძე) .....	173
სოციალ-დემოკრატია, თანასწორუფლებიანობის იდეა და ემანსიპაციის პოლიტიკური ისტორია (ლელა გაფრინდაშვილი) .....	177



## წინასიტყვაობა გამომცემლისგან

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მოძრაობები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პარალელურად და მასთან სინქრონულად ვითარდებოდა და ქართული სოციალ-დემოკრატია საერთაშორისო ასპარეზზე მომძლავრებული სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობების ორგანულ ნაწილადაც კი იქცა.

სოციალ-დემოკრატიის ქართული გააზრება, მისი იდეური ფორმირება და შემდგომი განვითარება თავისებურად უნიკალურია როგორც მაშინდელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ისე მთლიანად ევროპაში. თუმცა უნიკალურობასთან ერთად ის ევროპული პოლიტიკური პროცესის ნაწილია და მასთან ერთად ვითარდება. უფრო მეტიც, ქართველი სოციალ-დემოკრატები არა მარტო აქტიურად მონაწილეობენ იმპერიის ფარგლებში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლაში, არამედ მათი გავლენა სცდება იმპერიის ფარგლებს და ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაშიც თავისი წვლილი შეაქვს.

სამწუხაროდ, საქართველოს სოციალ-დემოკრატია და სოციალ-დემოკრატები საბჭოთა რეჟიმის მთავარ სამიზნედ იქცნენ. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებული მონდომებით ხორციელდებოდა მათი როლისა და დამსახურებების მიზანმიმართული დისკრედიტაცია. როგორც ჩანს, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებისათვის ყალბი მებრძოლი ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს საქართველოში სწორედ ხელისუფლებიდან მათ მიერ ძალადობრივად განდევნილი სო-

ციალ-დემოკრატები, მათი იდეები და ქართული საზოგადოების მიმართ მათი დამსახურებები წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ შექმნილ ბევრ სიყალბეს დიდწილად ფარდა აეხადა უკანასკნელ პერიოდში. ისტორიის მკვლევრების მიერ ბევრი მნიშვნელოვანი მასალა იქნა აღმოჩენილი და მრავალი ფაქტობრივი გარემოება იქნა დადგენილი. დღესდღეობით დაინტერესებულ პირს აქვს სრული შესაძლებლობა, გაეცნოს და ნათლად წარმოიდგინოს ის, თუ როგორ და რა ვითარებაში შეიქმნა და განვითარდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, გაეცნოს როგორც მათ პოლიტიკურ თეორიულ მსჯელობებსა და პოლიტიკური იდეების განვითარების პროცესს, ასევე გააანალიზოს, რამდენად შეძლეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საკუთარი იდეების დანერგვა რეალურ ცხოვრებაში არასრული სამწლიანი მმართველობის პერიოდში.

თუმცა საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილი ყალბი ისტორიული ნარატივები იმდენად არის გავრცელებული ფართო საზოგადოებაში, რომ რთულია მხოლოდ პროფესიული აკადემიური მასალით გაუმკლავდე დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პროგრესული ფორუმის ინიციატივით და გერმანიის ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და შვედეთის ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა ამ მნიშვნელოვანი პერიოდის მოკლე ისტორიული პოპულარული პუბლიკაცია, რომელიც, ერთი მხრივ, შეძლებს დააკმაყოფილოს რიგითი მკითხველის საბაზისო ინტერესები, მეორე მხრივ კი, დაინტერესების შემთხვევაში დაეხმაროს მკითხველს დღეისათვის გამოქვეყნებულ ისტორიულ კვლევებსა და გამოცემებში ეფექტურ ნავიგაციაში, რათა უფრო სრულყოფილად გაეცნოს მისთვის

საინტერესო ისტორიული პერიოდის ფართო სურათსა თუ ცალკეულ ეპიზოდს.

იმედი გვაქვს, რომ წარმოდგენილი პუბლიკაცია ხელს შეუწყობს სოციალ-დემოკრატიის როლის ობიექტურ გააზრებას საქართველოში და ყალბი საბჭოთა ისტორიოგრაფიის დეკონსტრუქციას.

აქვე მინდა ჩემი განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო გერმანიის ფრიდრიხ ებერტის ფონდისა (Friedrich Ebert Stiftung) და შვედეთის ოლოფ პალმეს საერთაშორისო ცენტრის (Olof Palme International Center) მიმართ, რომელთა მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა წარმოდგენილი პუბლიკაციის გამოცემა. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო პუბლიკაციის ავტორებს, საინტერესო ნაშრომისათვის და პროგრესული ფორუმის თანამშრომლებს პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლისათვის.

**დიმიტრი ცქიტიშვილი**

*პროგრესული ფორუმის თავმჯდომარე  
პუბლიკაციის მთავარი რედაქტორი  
და პროექტის ხელმძღვანელი*

## ორიოდა სიტყვა წინამდებარე ნაშრომის შესახებ

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორია დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უხერხულ პრობლემად. საბჭოთა იდეოლოგია მკაცრად ებრძოდა მენშევიკურ სოციალ-დემოკრაციას და 70 წლის განმავლობაში უარყოფდა მისი ყველანაირი გამოვლინების დამსახურებას.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ობიექტური შესწავლის გარემო გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან შეიქმნა. გამოვიდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოხდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, პარტიის, იდეოლოგიის მეცნიერული შესწავლა, სისტემატიზაცია, ობიექტური კვალიფიკაცია, გაბმული ისტორიის აღდგენა. დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეძლო საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ძირითადად ობიექტური სურათის შექმნა და მისი ისტორიული დამსახურების რეაბილიტაცია.

მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავინდებურად სკეპტიკურად იყო და არის განწყობილი ქართველი სოციალ-დემოკრატიის მიმართ. ის არ ივიწყებს ჟორდანიასა და მისი პარტიის პოლემიკურ დაპირისპირებას ილია ჭავჭავაძესთან ან ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეისადმი გამოჩენილ კონფრონტაციულ დამოკიდებულებას.

ამგვარ ვითარებაში აქტუალურ თემად რჩება ქართული და, განსაკუთრებით, დასავლური სოციალ-დემოკრატიის წარსულისა და თანამედროვეობის სიღრმისეული შესწავლა. განსაკუთრებით აქტუალურია ქართული სოციალ-დემოკრატი-

ული მოძრაობის უდიდესი დამსახურება ახალი, თანამედროვე ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტრუირების პროცესში, მისი ეროვნული, სოციალური და დასავლური ორიენტაციების საუკეთესო ტრადიციების ჩამოყალიბებაში.

წინამდებარე ნაშრომის დანიშნულება ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაა; „პროგრესივიზმის საწყისები: ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია“ მცირე მოცულობისაა და მკითხველს თავიდანვე მიანიშნებს, რომ ნაშრომში შეზღუდული იქნება ფაქტობრივ-ემპირიული მასალა, აქცენტი კი გადატანილი – სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის ძირითადი ტენდენციების წარმოჩენის მიმართულებით. ეს მართლაც ასეა: ნაშრომის სარჩევი, სწორედ ამ ძირითად განმსაზღვრელ პერიოდებსა და ტენდენციებს ასახავს, ისეთებს, როგორცაა მაგალითად, მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური მოძრაობისა და იდეოლოგიის წარმოქმნა; მთავარი პერიოდების გამოყოფა და პოსტულატები. მომდევნო ეპიზოდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირველი რესპუბლიკისადმი მიძღვნილი თავი: „სოციალ-დემოკრატიული იდეები მოქმედებაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება“.

გამოცდილება კი მართლაც უნიკალური აღმოჩნდა ორი ფაქტორის გამო. პირველი იყო ის, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ძირეული რეფორმები განახორციელა და მთლიანად გარდაქმნა ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. რეფორმები გატარდა ცხოვრებისეული რეალობის თითქმის ყველა დარგში: თვითმმართველობის ჩამოყალიბება, რომლის შესახებაც ქების სიტყვებს არ იშურებდა კარლ კაუცკი; განათლების სრული გაეროვნულება; ეროვნული ენის სახელმ-

ნიფოებრივი სტატუსის კანონიზება; განთქმული „ხომერიკის რეფორმები“, რომლებიც სამეურნეო-ფერმერული მეურნეობის აყვავების პოტენციალს შეიცავდა; მართლმსაჯულები სრული დემოკრატიზაცია; შრომის სფეროს რეფორმირება, რომელიც უზრუნველყოფდა მშრომელთა უფლებების დაცვას მესაკუთრეთა და ბიუროკრატიის ყველანაირი შევიწროებისაგან და სხვა მრავალი.

მეორე ფაქტორი უნიკალურობისა ის იყო, რომ პირველი სოციალ-დემოკრატიული ქართული სახელმწიფო სანიმუშო აღმოჩნდა ევროპული სოციალისტური ელიტისათვის, რომელიც საქართველოს სტუმრობდა 1920 წლის სექტემბერში. სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი კარლ კაუცკი სამ თვეს იმყოფებოდა საქართველოში და ინტერესით აკვირდებოდა ქართულ გამოცდილებას. ავტორები აღნიშნავენ კიდევც, რომ ედუარდ ბერნშტეინი ნოე ჟორდანიას ერთ-ერთ ნაშრომს სახელმწიფოს მშენებლობის სფეროში ერთგვარ „გზამკვლევად“ მიიჩნევდა ევროპული სოციალ-დემოკრატიისათვის.

ამ და სხვა უამრავ რეფორმას მშვიდობიანი ხანა სჭირდებოდა, რათა ფეხზე დამდგარიყო სრულიად უნიკალური სოციალური მიმართულების თანამედროვე ეროვნული და დემოკრატიული ქართული სახელმწიფო. მაგრამ სწორედ ეს სიკეთე აკლდა პირველ რესპუბლიკას, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ნგრევის ეპოქაში დაიბადა და ისევ ახალაღმოცენებული საბჭოთა რუსეთის იმპერიის ხელში აღმოჩნდა. ჩვეულებრივ, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები 1921 წლის ოკუპაციით მთავრდება ხოლმე, მაგრამ წინამდებარე ნაშრომი არღვევს ტრადიციას. ისტორიის გადმოცემა გრძელდება. ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, ფაქტობრივად, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველადაა განხილული საბჭოთა დიქტატურის მიერ სოციალ-დემოკრატთა

წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები – დაპატიმრებები, დევნა, გადასახლება თუ დახვრეტა.

დაბოლოს, საინტერესოა, რომ ნაშრომის ძირითად თემასთან ერთად, განიხილება ე. წ. პარალელური თემა – ქალთა უფლებების საკითხი. ეს პრობლემა თითქმის ყველა თავშია განხილული და ავსებს ნაშრომს – როგორი იყო ქალთა ემანსიპაციის გზა და როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ სოციალ-დემოკრატიას ქალთა უფლებების მიმართ.

ჩვენ წინაშეა ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია. ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, რათა კონსპექტურად წარმოიდგინოს უაღრესად საინტერესო ფენომენი – ქართული სოციალ-დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიული პირველი რესპუბლიკის ისტორიული გზა, რომლის სამართალმემკვიდრეობა დეკლარირებულიადაა აღიარებული თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში.

**დიმიტრი შველიძე**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი*

## შესავალი

გამოცემის „პროგრესივიზმის საწყისები: ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია“ მიზანია აღწეროს და ახსნას 1890-იანი წლებიდან 1920-იან წლებამდე საქართველოში პოპულარული სოციალ-დემოკრატიული იდეების განვითარების პროცესი: თუ რა ძირითადი მახასიათებლები ჰქონდა ამ პროცესს; რამდენად იყო თანხვედრაში ეს პროცესი ევროპაში მიმდინარე მოვლენებთან; ვინ იყვნენ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შემოქმედები; რა იდეებს ეყრდნობოდნენ; როგორ ავრცელებდნენ თავიანთ პოლიტიკურ ხედვებს; ვინ იყვნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა სამიზნე აუდიტორია და მხარდამჭერები. რა თქმა უნდა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ იყო განცალკევებული და მსოფლიო პოლიტიკური პროცესისაგან ამოგლეჯილი, შესაბამისად, წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ზოგადად სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

წიგნი მოიცავს ქრონოლოგიურ ჩარჩოს XVII-XVIII საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციებიდან მოყოლებული 1930-იანი წლების ბოლომდე, შესაბამისად, ევროპაში მუშათა კლასის წარმოშობიდან საბჭოთა კავშირში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განადგურებამდე. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა როგორც პოლიტიკურ პროცესთა ქრონოლოგიურ განვითარებას, ასევე ამავე პროცესის თანმდევი პოლიტიკური აზროვნების ტრანსფორმაციას. რა თქმა უნდა, გამოცემა კონცენტრირებულია სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის ისტორიის გაცნობაზე, თუმცა გარკვეულწილად ეხება პარალელურად მიმდინარე

პროცესებს და სხვა იდეოლოგიური პარადიგმიდან ამ პროცესთა შეფასებებს.

ნიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური მოდელის ფაქტობრივად ერთადერთ გამოცდილებას საქართველოში. გამოცემა ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას – თუ რა პრინციპებს ემყარებოდა სოციალ-დემოკრატების მიერ მართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და, ზოგადად, როგორ მუშაობდა საქართველოში ის თეორიული ჩარჩოები, რომლებიც XIX საუკუნის სოციალისტმა ფილოსოფოსებმა (თეორეტიკოსებმა) შექმნეს დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური დღის წესრიგის გარდასაქმნელად.

ნიგნის შინაარსი მნიშვნელოვნად კონცენტრირდება ქალთა უფლებების განვითარების ეტაპებზე და ამ კუთხით მიმდინარე პროცესებზე.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი შეეხება საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის დამყარების პროცესებს და მისი თანმდევი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და, ზოგადად, სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური ძალების დევნისა და ერთგვარად ძალადობრივი პოლიტიკური დემონტაჟის პროცესს.

## I თავი – ინდუსტრიული რევოლუცია და სოციალიზმის პრინციპები

ტერმინი „სოციალიზმი“ ლათინური სიტყვიდან „Sociare“ მომდინარეობს, რომელიც თავისი არსით „გაერთიანება-სა“ და „გაზიარებას“ ნიშნავს. პირველად ტერმინი „Socialism“ მხოლოდ 1832 წელს იქნა გამოყენებული პიერ ლეროს (Pierre Leroux) მიერ ფრანგულ გამოცემა „Le Globe“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

**სოციალიზმი:** პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მთავარი მიზანია არის მოქალაქის ყოველგვარი ექსპლუატაციისა და ჩაგვრის მოსპობა, სოციალურ თანასწორობასა და საყოველთაო კეთილდღეობაზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობა. სოციალიზმი თავის თავში გულისხმობს სისტემას, რომელშიც წარმოების საშუალებები, წარმოებული პროდუქციის გაცვლა და წარმოების საშუალებით დაგროვებული დოვლათის განაწილება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხელშია.

სოციალიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის ისტორიის ათვლა, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკური იდეოლოგიებისა, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან იწყება, თუმცა მკვლევრები სოციალიზმს პლატონის „რესპუბლიკის“, მსოფლიო რელიგიების ეგალიტარული ხასიათის და XVI საუკუნეში გამოცემული თომას მორის „უტოპიის“ მემკვიდრეობასაც უკავშირებენ<sup>1</sup>. მსოფლიო რელიგიები თავიანთ მსოფლმხედვე-

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 120

ლობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ წარმოაჩენდნენ თანასწორობის, ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის მნიშვნელობასა და როლს საზოგადოებებში (განსაკუთრებით სისტემურად განვითარდა ე.წ. „ისლამური სოციალიზმისა“ და „ქრისტიანული სოციალიზმის“ თეორიები, რომელთა სათავეს უშუალოდ იესოსა და მუჰამედის მოქმედებებიდან და ქადაგებებიდან იღებენ). პლატონის „რესპუბლიკასა“ და თომას მორის „უტოპიაშიც“ ჩვენ ვხვდებით სოციალიზმისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშნებს, თუმცა კლასიკური გაგებით იდეოლოგიის სახე სოციალიზმმა მას შემდეგ მიიღო, რაც, XVII საუკუნიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპაში ფართოდ გავრცელდა ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც, ძირითადად, წარმოებებისა და ვაჭრობის მასშტაბის კოლოსალურ ზრდასა და ტრადიციული არისტოკრატიული და ბურჟუაზიული წყობილების ტრანსფორმაციას მოიცავდა. აღნიშნული პროცესის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპული საზოგადოებების სტრუქტურა და ყოფა, ასიათასობით მოქალაქემ დატოვა თავისი ტრადიციული საცხოვრებელი ადგილი სოფლად და ინდუსტრიულ ცენტრებში გაეშურა სამუშაოდ.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში გაჩნდა მზარდი მუშათა ჯგუფები, რომელთა მოთხოვნილებებსაც ვერც არსებული პოლიტიკური წყობა და ვერც იმ დროისათვის გაბატონებული ინდუსტრიული კაპიტალიზმის პოლიტიკური იდეები ვერ პასუხობდა. XVIII საუკუნეში ადამ სმიტის მიერ ჩამოყალიბებული და შემდგომში მისივე მიმდევრის, დევიდ რიკარდოს, მიერ განვითარებული კაპიტალიზმის დოქტრინა სრულიად ჯდება მის თანმდევად არსებული ლიბერალიზმის პოლიტიკურ იდეებში. სმიტისეული ეკონომიკური (ბაზრის) თავისუფლების იდეა,

გამდიდრების, როგორც სიკეთის უპირობო წყაროს, ფეტიში, განსაკუთრებით პოპულარული იყო. თუმცა, ამ პროცესის პარალელურად იზრდებოდა ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოშობილი ახალი კლასის – მუშების უკმაყოფილება, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნის ზოგადი გამდიდრების კვალდაკვალ მათი სოციალური ყოფა უმძიმესი იყო, ისინი უმძიმეს პირობებში მუშაობდნენ და აღნიშნული მუშაობისათვის მიზერულ გასამრჯელოს იღებდნენ, რისი საშუალებითაც ქალაქებში თავის გატანაც კი უჭირდათ. ამ პერიოდში მუშები დღის განმავლობაში საშუალოდ 12-14 საათს შრომობდნენ. ქარხნებში მრავლად იყვნენ დასაქმებული ქალები და არასრულწლოვნები, რომლებიც სანარმოთა მფლობელთათვის უიაფეს მუშახელს წარმოადგენდნენ<sup>1</sup>.

სოციალიზმს, როგორც იდეოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ თანასწორობაზე, ერთობასა და სოლიდარობაზე, სამართლიანად მიიჩნევენ XVII საუკუნიდან გაბატონებული ლიბერალიზმისა და მისი ეკონომიკური დოქტრინის, კაპიტალიზმის ალტერნატიულ ხედვად. სწორედ ამიტომ მისი, როგორც იდეოლოგიის, ჩამოყალიბება სწორედ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოხდა.

ინდუსტრიალიზაციის შედეგად სულ ნახევარ საუკუნეში უსწრაფესად გაიზარდა სამრეწველო ნაწარმის მოცულობა და მისი გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი. 1765 წელს შოტლანდიელი გამომგონებლის, ჯეიმს ჰანგრივის მიერ შექმნილი ძაფის სართავი დანადგარი „ჯეინი“ ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ იქცა, რადგანაც მსგავსი მექანიზმების გამოგონებით წარმოების ტემპები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მეორე მხრივ კი, ამ გამოგონებით

---

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 121

ინდუსტრიული რევოლუციების ფაქტობრივად ახალი ტალღაც დაიწყო, მექანიკური დანადგარების გამოგონებით მარტივად ხერხდებოდა ადამიანური შრომის ჩანაცვლება მექანიკური მოწყობილობებით, ეს კი მუშებისათვის სამუშაოს დაკარგვას მოასწავებდა.

მუშათა პირველი მასები დასავლეთ ევროპის ქალაქების ახალი მოსახლეობის (მუშების) პირველ თაობას წარმოადგენდნენ, რომლებსაც ხშირად ქალაქებში კერძო საკუთრებაც არ გააჩნდათ. მათი შემოსავლისა და თავის გადარჩენის ერთადერთი წყარო ის მცირე ანაზღაურება იყო, რომელსაც საწარმოს მენეჯერებმა მათ უხდოდა. საწყის ეტაპზე ამგვარ მუშათა ჯგუფებს უჭირდათ გაერთიანება, რადგანაც მათ შორის არ იყო მკაფიო სოციალური კავშირები და ასევე მათ ეშინოდათ უმუშევრობისა (განსაკუთრებით მექანიკური დანადგარების გამოგონების შემდეგ) და შიმშილის. ამ პროცესების კვალდაკვალ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სწრაფად იზრდებოდა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის სახელმწიფოებს ფაქტობრივად სრული კარტლანში ჰქონდათ მიცემული საწარმოთა მენეჯერებისათვის, სმიტისეული „Laissez-Fair“-ის („ნებაზე მიშვების“) იდეების ფეტიშიზმის შედეგად კაპიტალისტებს თავად შეეძლოთ ყოველგვარი ცენტრალიზებული კონტროლისა და განსაზღვრული სტანდარტების გარეშე თავიანთ საწარმოებში დაენესებინათ სამუშაო პირობები, ყოველდღიური სამუშაო საათების რაოდენობა და სამუშაოს ანაზღაურების ნიხრები<sup>1</sup>. ხშირად მრეწველები მუშებს იმაზე ბევრად დაბალ ხელფასს უხდიდნენ, ვიდრე მათთვის საარსებო სასურსათო კალათის შექენისათვის იყო საჭირო. საწარმო-

---

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 121



ჩარლზ ფურიე



რობერტ ოუენი

თა მეპატრონეები სურვილისამებრ ამცირებდნენ ყოველდღიურ ხელფასებს და ზრდიდნენ სამუშაო საათებს<sup>1</sup>. თავდაპირველად სანარმოებში დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი იყო დასაქმებული, რის გამოც მრეწველებს მათი ჩანაცვლება მარტივად შეეძლოთ, ეს პროცესი ფაქტობრივად კიდევ უფრო მონყვლადს ხდიდა მუშახელს.

XVIII საუკუნის ბოლოს სოციალიზმის იდეები ძირითადად სწორედ უკონტროლო კაპიტალიზმის, მომხვეჭელობის, მუშათა მასების მძიმე მდგომარეობისა და კოლოსალური სოციალური უთანასწორობის გამოძახილი იყო. ამ პერიოდში საფრანგეთსა და ინგლისში – ფილოსოფოსმა ჩარლზ ფურიემ<sup>2</sup> და ტექსტილის მწარმოებელმა რობერტ ოუენმა<sup>3</sup> ფაქტობრივად

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, The Age of Revolution (1789-1848), New York, Vintage Books, 1996, p. 41

<sup>2</sup> ჩარლზ ფურიე (Charles Fourier) (1772-1827) – ფრანგი ფილოსოფოსი და პოლიტიკური აქტივისტი, უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის მხარდამჭერი, მისი პოლიტიკური იდეები დაფუძნებული იყო ურთიერთზრუნვასა და თანამშრომლობაზე, როგორც სოციალური თანასწორობის მიღწევის უმთავრეს ბაზისზე.

<sup>3</sup> რობერტ ოუენი (Robert Owen) (1771-1858) – უელსელი (ბრიტანელი) მრეწველი, ფილანთროპი, პოლიტიკური აქტივისტი და უტოპიური სოციალიზმის თეორიული მიმდინარეობის ერთ-ერთი მამამთავარი. ის იყო კოოპერატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, რამდენჯერმე სცადა ექსპერიმენტების განხორციელება მცირე სოციალისტური საზოგადოებების შექმნის მიმართულებით, რომლებიც თანასწორობასა და თანადგომაზე იქნებოდა დამყარებული. გარდა თეორიული მუშაობისა, ოუენი პრაქტიკული თვალსაზრისითაც ცდილობდა მუშათა გაერთიანებების შექმნას და თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებას.


დამოუკიდებლად განავითარეს უკონტროლო კაპიტალიზმისა და თავისუფალი ბაზრის თეორიის ერთგვარი ალტერნატივა, რომელიც გამობდა გაფეტიშებულ კონკურენციას, გამდიდრების მანიით შეპყრობას და ემხრობოდა თანასწორობაზე, თანამშრომლობასა და ჰარმონიულ განვითარებაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობას<sup>1</sup>. ფურიესა და ოუენის ამგვარ ხედვებს მათი თანამედროვეები უტოპისტურად უყურებდნენ. ოუენი, გარდა თეორიული მსჯელობებისა, პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა მუშათა შორის პირველი გაერთიანებებისა და საპროტესტო გამოსვლების ორგანიზების მიმართულებით.

**უტოპიური სოციალიზმი: პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დასაწყისში და დაეფუძნა ჩარლზ ფურიეს, რობერტ ოუენისა და სოციოლოგ ანრი სენ-სიმონის<sup>2</sup> ხედვებს, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოსახვითი, იდეალური საზოგადოების კონცეფციას ავითარებდნენ, კრიტიკულად არ უდგებოდნენ კაპიტალიზმის შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებს და მოწყვეტილნი იყვნენ არსებული რეალობის აღქმას. თეორეტიკოსთა ხედვები ძირითადად კეთილ განზრახვებსა და მოლოდინებს ასახავდა. უტოპიურ სოციალისტებს მიაჩნდათ, რომ კონკურენციული კაპიტალისტური საზოგადოება უნდა შეცვლილიყო უფრო თანასწორად ორგანიზე-**


<sup>1</sup> პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 121

<sup>2</sup> ჰენრი სენ-სიმონი (Claud Henri de Rouvroy Saint-Simon) (1760-1825) – ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული თეორეტიკოსი. მისი ხედვები დაკავშირებული იყო მშრომელთა კლასის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, თუმცა ისიც, ფურიესა და ოუენის მსგავსად, სახავდა გზას, რომელიც მხოლოდ იდეალურ და წარმოსახვით რეალობაში შესაძლოა განხორციელებულიყო. სენ-სიმონის იდეებმა, მიუხედავად უტოპიური ხასიათისა, დიდი გავლენა მოახდინა კარლ მარქსზე.

ბული, კოოპერაციული და რაციონალური საზოგადოებით. ასეთი საზოგადოებრივი წესრიგისთვის, მათი აზრით, საჭირო იყო ადამიანების დარწმუნება და მათთვის პირადი მაგალითის ჩვენება და არა – კლასებს შორის კონფლიქტი და რევოლუცია. შემდგომი თაობის სოციალისტები ტერმინს ხშირად ნეგატიური კონოტაციით იყენებდნენ, როგორც რეალობისგან გაქცევას.



ჟან-ჟაკ რუსო



შარლ ლუი დე მონტესკიე

სოციალიზმის პრეისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენდა საფრანგეთში XVIII საუკუნეში მიმდინარე ე.წ. „განმანათლებლობის“ მოძრაობა, ვოლტერის (François-Marie Arouet), დენი დიდროს (Denis Diderot), ჟან-ჟაკ რუსოსა (Jean-Jacques Rousseau) და შარლ ლუი დე მონტესკიეს (Charles-Louis de Secondat, baron de La Brède et de Montesquieu) მიერ განვითარებული პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ფი-

ლოსოფიური აზრები. განმანათლებლობა, თავის მხრივ, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციისა და ახალი პოლიტიკური აზროვნების საწყისად იქცა. ფრანგ განმანათლებელთა შორის სოციალიზმის წინარე ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ჟან-ჟაკ რუსოს მოსაზრებებია, რომლებიც თავის ნაშრომში „მსჯელობანი ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“ (*Discours sur l'origine et les fondements de l'inégalité parmi les hommes*) განავითარა. რუსოს ხედვით, მოქალაქეთა შორის უთანასწორობა დაიბადა საზოგადოებაში მაშინვე, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება. რუსოს ნაშრომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შემდგომში ადრეული პერიოდის სოციალისტ თეორეტიკოსებზე.

რეკომენდებული ლიტერატურა:

- ◆ ენდრიუ ჰეივედი, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005
- ◆ Eric Hobsbawm, „The Age of Revolution (1789-1848)“, New York, Vintage Books, 1996
- ◆ თომას მორი, უტოპია
- ◆ პლატონი, რესპუბლიკა
- ◆ ჟან ჟაკ რუსო, მსჯელობანი ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ – <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/435970/1/MsjelobaAdamiantaShorisUtanaworobisDasabamisaDa.pdf>

## II ტავი – საფრანგეთის რევოლუცია და მისი გამოქაჩილი

### რევოლუციის პირველი შედეგები

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. სწორედ ეს რევოლუცია ითვლება პოლიტიკური იდეოლოგიების ერთგვარი სისტემატიზაციის მაპროვოცირებელ ფაქტორად. რევოლუციის შემდეგ, მანამდე დომინანტ ლიბერალურ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან ერთად, ასპარეზზე გამოვიდა კონსერვატიზმი და სოციალიზმი. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მთავარი ლოზუნგი „Liberté, égalité, fraternité“ – თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა (ერთობა), შემდგომში სოციალიზმის მთავარ ლოზუნგად და იდეოლოგიის მთავარ თეზად იქცა.

საფრანგეთის რევოლუციური პროცესების გამოძახილად მიიჩნევა პოლიტიკური სპექტრის დაყოფა ე.წ. „მემარჯვენე“, „ცენტრისტულ“ და „მემარცხენე“ ძალებად. საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაში (Assemblée nationale constituante) 1789 წელს პოლიტიკური ჯგუფების მიერ დაკავებული ადგილები გახდა პოლიტიკურ ძალთა ერთგვარი იდეოლოგიური საკოორდინაციო სიბრტყე. ძალაუფლების ცენტრიდან (თავმჯდომარიდან/ლიდერიდან) მარცხნივ მყოფი დეპუტატები (იაკობინელები), რომლებიც რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს მოითხოვდნენ, გახდნენ სიმბოლო „მემარცხენეების“, შემდგომში სოციალისტური და, ზოგადად, რევოლუციური მიმდინარეობის პოლიტიკური ძალებისათვის. ცენტრიდან მარჯვნივ მყოფი „მემარჯვენეები“ (ყირონდისტები), რომლებიც მოითხოვდნენ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, გახდ-

ნენ „მემარჯვენეები“ – კონსერვატიული მიმართულების ძალების სიმბოლო, ხოლო ცენტრში მყოფი ძალები (ფენიები), რომლებიც ზომიერებას ემხრობოდნენ, შემდგომში გახდნენ „ცენტრისტების“, ხშირად, ლიბერალების სიმბოლო.

რევოლუციის გამარჯვების მთავარ მონაპოვარსა და ერთ-ერთ გვირგვინს საფრანგეთის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ “Déclaration des droits de l’Homme et du citoyen” – „ადამიანის [მამაკაცისა] და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის“ დამტკიცება წარმოადგენდა<sup>1</sup>. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ამ დეკლარაციაში არ იყო გათვალისწინებული ქალთა უფლებები, რადგანაც ამ პერიოდისთვის მსოფლიოს პოლიტიკური პროცესებიდან ქალები ფაქტობრივად განდევნილი იყვნენ.

საფრანგეთის რევოლუციას და მის მონაპოვარს მალევე წინ აღუდგა ფაქტობრივად მთელი ევროპის მონარქიული სისტემები, რომლებიც შიშობდნენ, რომ რევოლუციის იდეების ერთგვარი ექსპორტი მოხდებოდა მათ სახელმწიფოებში<sup>2</sup>. ეს ქვეყნები საუკუნეების მიჯნაზე ერთმანეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს აწარმოებდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებზე, თუმცა საერთო „რევოლუციური საფრთხის“ წინააღმდეგ სწრაფად ერთიანდებოდნენ და ღიად ებრძოდნენ როგორც ფრანგული პოლიტიკური აზროვნების გავრცელებას, ასევე თავად საფრანგეთის სახელმწიფოს გაძლიერებას. სახელმწიფოთა ამგვარ მოქმედებას ევროპელ კაპიტალისტთა ფართო ფენებიც უჭერდნენ მხარს და არც მატერიალურ რესურსებს იშურებდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებებისა და საშინაო რეჟიმების შენარჩუნებისათვის. საფრანგეთის საშინაო და საგარეო პრობლემების სიუხვემ განაპირობა ის, რომ მალევე ქვეყანა, ფაქტობრივად,

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, *The Age of Revolution (1789-1848)*, New York, Vintage Books, 1996, p. 59

<sup>2</sup> იქვე, p. 77

დიქტატორული რეჟიმების კონტროლქვეშ მოექცა, ხოლო თავისუფლების, თანასწორობისა და ერთობის იდეა მთელი ევროპის მონარქიული სისტემების მთავარი სამიზნე აღმოჩნდა.

XIX საუკუნის დასაწყისში გააქტიურდა მუშათა გაერთიანებების ფორმირების პროცესი, თუმცა ეს გაერთიანებები, ფაქტობრივად, არალეგალურად არსებობდა და იურიდიული სტატუსი არ გააჩნდათ. მუშათა გაერთიანებები მართავდნენ გაფიცვებს სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ხშირად ამგვარი მოქმედებები სახელმწიფო სისტემისაგან ზურგგამაგრებულ კაპიტალისტებს დიდ სირთულეებს არ უქმნიდა. მუშათა გაფიცვების ძირითადი მოტივი ჯერ კიდევ არსებული 12-საათიანი სამუშაო დროის შემცირება, ანაზღაურების ზრდა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება იყო. ამ დროიდანვე მუშათა მოძრაობაში ჩნდებიან ქალები, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე მათივე კოლეგა მამაკაცები. ამ პერიოდის მთავარ პრესოციალისტურ ნაშრომად რობერტ ოუენის „საზოგადოების ახალი ხედვა“ („New View of Society“) ითვლება, რომელიც 1813-1814 წლებში გამოქვეყნდა<sup>1</sup>.

1810-1820-იანი წლების სოციალისტი მოაზროვნეები ძირითადად თავიანთ აზრებს უკონტროლო კაპიტალიზმის ჩარჩოებში მოქცევისა და მუშათა უფლებების დაცვის გარშემო ავითარებდნენ, ამ პერიოდში ფურიესა და ოუენის შეხედულებები, ისევე, როგორც ცნობილი სოციოლოგის, ანრი დე სენ-სიმონისა, კონცენტრირებულია საზოგადოების ფენებს შორის ჰარმონიულობის მიღწევაზე, უთანასწორობის დაძლევასა და სიხარბის ჩარჩოებში მოქცევაზე.

---

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, The Age of Revolution (1789-1848), New York, Vintage Books, 1996, p. 242

## ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისი

როგორც აღვნიშნეთ, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულმა „მამაკაცისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ“ თავისუფლებისა და თანასწორობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს მიანიჭა. ამ უსამართლობას დაუპირისპირდნენ რევოლუციონერი და რესპუბლიკელი ქალები. 1791 წელს ოლიმპ დე გუჟი (Olympe de Gouge)<sup>1</sup> გამოაქვეყნა „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ (Déclaration des droits de la Femme et de la Citoyenne), რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ და სამოქალაქო უფლებებთან ერთად ქალებისთვის პოლიტიკური უფლებების – არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების მინიჭებას გულისხმობდა. დე გუჟის მიერ საფრანგეთში წამოწყებული პოლიტიკური კამპანიის პარალელურად პროცესები მიმდინარეობდა სხვა ქვეყნებშიც.



ოლიმპ დე გუჟი

ქალთა სოციალურ-პოლიტიკური განთავისუფლების იდეას ავითარებდა უტოპიური სოციალიზმიც. უტოპისტი სო-

ქალთა სოციალურ-პოლიტიკური განთავისუფლების იდეას ავითარებდა უტოპიური სოციალიზმიც. უტოპისტი სო-

<sup>1</sup> ოლიმპ დე გუჟი (Olympe de Gouge) (1748-1793) – ფრანგი მწერალი და სამოქალაქო აქტივისტი, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის მოძრაობის ერთ-ერთ სულისჩამდგმელი, XVIII საუკუნეში მრავლად წერდა პიესებს, მოთხრობებსა და პუბლიცისტურ ნერილებს ქალთა უფლებების, ქორწინების, განქორწინების, ბავშვთა უფლებების, უმუშევრობის, სოციალური დაცვის შესახებ. საფრანგეთის რევოლუციის დროს ემხრობოდა რადიკალურ გარდაქმნებს, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მინიჭებას ყველა მაცხოვრებლისათვის.

ციალისტები კერძო საკუთრების შეზღუდვას გარდაუვლად მიიჩნევდნენ, ემხრობოდნენ ქალების ინტეგრირებას ყველა ტიპის შრომაში და ამასთანავე კაცების ჩართულობას საოჯახო საქმეებში. ასევე ემხრობოდნენ ოჯახის, როგორც მამაკაცის ჰეგემონიისა და ქალის ჩაგვრის ბასტიონისა და არჩევანის თავისუფლების იძულებითი შეზღუდვის, მოსპობას და თავისუფალი სიყვარულის, როგორც თავისუფალი საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრებას.

უტოპისტმა სოციალისტებმა თავიანთი პროგრესული იდეებით ბევრი ევროპელი და ამერიკელი ქალის გული მოიგეს, მაგრამ მათი იდეები მალე მიეცა დავინყებას, როგორც რეალობისა და რეალური ცვლილებებისგან დაშორებული შეხედულებები. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ლიბერალური, სოციალისტური და ფემინისტური პრობლემების დაკავშირება. გარდა ამისა, ამ მიმდინარეობის მოაზროვნეებმა პირად/კერძო ცხოვრებასა და საზოგადოებრივ/პოლიტიკურ სუბორდინაციას შორის მსგავსება დაინახეს. ამიტომაც მათ ხედვებს ჩაგრული ჯგუფები და ქალთა ერთობები მაინც უბრუნდებოდნენ და იყენებდნენ თავიანთ ბრძოლაში.

საფრანგეთის რევოლუციის მონაპოვართა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო ის, რომ „მამაკაცისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ საფუძველზე საფრანგეთის ყველა მამაკაცი მოქალაქეს მიენიჭა ხმის მიცემის უფლება. მშრომელებს უკვე თავად გააჩნდათ პოლიტიკაზე ზემოქმედებისა და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობა. ამ პროცესისაგან ქალები გარიყულები აღმოჩნდნენ. რევოლუციის დამარცხების კვალდაკვალ, 1790-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საყოველთაო საარჩევნო სისტემა გაუქმდა და არაერთი შეზღუდვის შემდეგ ხმის მიცემის უფლება მოქალაქეთა მხოლოდ 1%-ს დარჩა.

1820-იან წლებში სოციალისტური პოლიტიკური აზრის განვითარების იდეა, მუშათა გაერთიანებების გაძლიერების პარალელურად ფოკუსირებული გახდა საარჩევნო უფლების მქონეთა წრის გაფართოებაზე. საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლის პროცესში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისელი მუშები, რომლებიც არასამართლიანი საარჩევნო სისტემის რეფორმირებას მოითხოვდნენ. ბრიტანეთის მუშათა გაერთიანება, რომელიც ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ლეგალური ინსტიტუტი, 1830-იან წლებში აღმოჩნდა საარჩევნო სისტემებისათვის ბრძოლის მთავარი მედროშე. მუშებმა თავიანთი მოთხოვნები სპეციალური ქარტიის (the charter) საფუძველზე წარმოადგინეს<sup>1</sup>. მუშათა ამ გაერთიანებას, მათ მიერ მომზადებული ქარტიიდან გამომდინარე, „ჩარტისტებად“ მოიხსენიებდნენ. 1830-იან წლებში „ჩარტისტები“ იქცნენ მთავარ მემარცხენე აქტივისტებად დასავლეთ ევროპაში.

1820-1830-იან წლებში ევროპაში მუშათა მიერ წამოწყებული ყველა მოძრაობა და გამოსვლა სახელისუფლებო რეჟიმების მიერ მკაცრად იქნა ჩახშობილი. გამოსვლების საპასუხოდ კიდევ უფრო არადემოკრატიული ხდებოდა მმართველობის სისტემა და კიდევ უფრო ნაკლებ მოქალაქეს მიუწვდებოდა ხელი პოლიტიკურ პროცესებში ლეგალურ მონაწილეობაზე. 1800-იანი წლებიდან მოყოლებული, შემდეგ ათწლეულებში ინდუსტრიული რევოლუციის შედეგები კიდევ უფრო თვალნათელი შეიქნა, ქალაქის მოსახლეობა უსწრაფესად იზრდებოდა, დასავლეთ ევროპის მცხოვრებთა უმრავლესობა სულ რამდენიმე დეკადაში სოფლელი გლეხიდან ინდუსტრიულ მუშად გადაიქცა და ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა შეადგინა, თუმცა ისინი ამ ქალაქებში არც საკუთრებას ფლობდნენ და გასამრჯელოს

---

<sup>1</sup> მალხაზ მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, 2003, გვ. 59-60

სიმცირის გამო არც საქალაქო ცხოვრების სიკეთეებზე მიუწვდებოდა ხელი.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ მალხაზ მაცაბერიძე, *არჩევნები და საზოგადოება, თბილისი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, 2003.*
- ◆ *Eric Hobsbawm, „The Age of Revolution (1789-1848)“, New York, Vintage Books, 1996*

### **III ტავი – მარქსიზმის დაზადება და რევოლუციური მოძრაობები**

1830-1840-იან წლებში ევროპის მონარქიული სისტემები ისევ აგრძელებდნენ რეპრესიებს მუშათა მოძრაობების, თავისუფალი პრესის, სოციალიზმისადმი სიმპათიებით განწყობილი ინტელექტუალებისა და რევოლუციონერი პოლიტიკური აქტივისტების წინააღმდეგ. ამავდროულად კიდევ უფრო მცირდებოდა საარჩევნო უფლებების გავრცელების მასშტაბები, რადგანაც რეჟიმები ცდილობდნენ გაეზარდათ ეკონომიკური ცენზები არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შესაზღუდად. სოციალისტი და ლიბერალი ინტელექტუალები აქვეყნებდნენ საპროტესტო წერილებს საიმპერიო რეჟიმების წინააღმდეგ სიტყვის თავისუფლების, საარჩევნო უფლებებისა და მუშათა უფლებების დასაცავად. ამ პერიოდის სოციალისტურ ხედვებს მკვლევრები კვლავ უტოპიურ იდეოლოგიას უწოდებენ, რომელსაც არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო თეორიული ჩარჩოები და კვლავ ეყრდნობა საზოგადოების ჰარმონიულად განვითარების, სამართლიანი სოციალური პოლიტიკის დანერგვისა და თანასწორობის მშვიდობიანი გზით მიღწევის იდეას.

ინდუსტრიული ეკონომიკის განვითარება 1820-იან წლებშიც აქტიურად მიმდინარეობდა და მისი მთავარი გამოვლინება იყო რკინიგზის ხაზების გაყვანა. პირველი მოკლე სარკინიგზო ხაზები 1825 წელს იქნა გაყვანილი დიდ ბრიტანეთში ცალკეულ სანარმოთა დასაკავშირებლად. მალევე რკინიგზამ ბრიტანეთის ორი მთავარი ინდუსტრიული ქალაქი, ლივერპული და მანჩესტერი დააკავშირა. 1827 წლიდან რკინიგზის ხაზები გაიყვანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1828 წლ-

იდან – საფრანგეთში, შემდეგ კი მთელ ევროპაში<sup>1</sup>. რკინიგზის ახალი ხაზები კიდევ უფრო აჩქარებდა ინდუსტრიალიზაციის ტემპებს, კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდას, ურბანიზაციის მასშტაბის გაფართოებას და მუშათა ახალი მასების წარმოშობას. ამავდროულად რკინიგზამ რამდენჯერმე გაზარდა ადამიანთა მობილობა და შეამცირა მობილობისათვის საჭირო დრო. მობილობის მასშტაბების მსგავსი ზრდიდან გამომდინარე, მუშათა ჯგუფებს უმარტივებოდათ კავშირების გაბმასხვადასხვა ქალაქში დასაქმებულთა შორის.

1840-იან წლებში გერმანული ლიბერალური გამოცემების ფურცლებზე პირველად გამოჩნდა ფილოსოფოს კარლ მარქსის<sup>2</sup> სტატიები. მარქსის პირველი სტატიები, ისევე, როგორც იმ პერიოდის ფილოსოფოსთა აბსოლუტური უმრავლესობისა, საფრანგეთის რევოლუციასა და შემდგომში მიმდინარე „კონტრრევოლუციებს“ შეეხებოდა. მარქსი აქტიურად წერდა ინდუსტრიული რევოლუციების შემდგომ ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და გერმანული სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების პრობლემებისა და გამონვევების შესახებ. თავისი შეხედულებების გამო კარლ მარქსი პრუსიის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა, მცირე ხნით მან თავი საფრანგეთს შეაფარა, შემდეგ – ბელგიას და, საბოლოოდ, ინგლისში გადავიდა საცხოვრებლად.

---

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, The Age of Revolution (1789-1848), New York, Vintage Books, 1996, p. 44

<sup>2</sup> კარლ მარქსი (Karl Marx) (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი (დოქტორი), ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ჟურნალისტი და თეორეტიკოსი. კომუნისტური (მარქსისტული) იდეოლოგიის მთავარი თეორეტიკოსი, „კომუნისტური ლიგის“ და მშრომელთა პირველი სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი.

მარქსიზმი: კარლ მარქსის მიერ (ფრიდრიხ ენგელსთან<sup>1</sup> თანამშრომლობით) შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც იყენებს ისტორიული განვითარების მატერიალისტურ ინტერპრეტაციას. მარქსიზმი ამგვარ ინტერპრეტაციას იყენებს იმისათვის, რომ ახსნას ისტორიული მატერიალიზმი, როგორც კაცობრიობის განვითარების, საზოგადოებაში კლასობრივი ურთიერთობების და სოციალური კონფლიქტების მიზეზების აღქმისა და გაგებისა მეთოდი. მარქსიზმის მიზანია წარმოაჩინოს დიალექტიკური პერსპექტივა საზოგადოების სოციალური ტრანსფორმაციისათვის. მარქსიზმის მიხედვით საზოგადოების სოციალური ურთიერთობების განვითარების გზაზე უმთავრესი ბაზისი ყოველთვის იყო საწარმოო ურთიერთობები, ხოლო პოლიტიკური და იდეოლოგიური ხედვები ყოველთვის იყო ზედნაშენი. მარქსიზმის გაგებისას უმნიშვნელოვანესია კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებისა და მისი ეკონომიკური კანონების გაანალიზება, კლასებს შორის ეკონომიკურ ნიადაგზე არსებული ბრძოლა, მომავალში გარდაუვალი პროლეტარიატის [მუშათა] რევოლუცია და კომუნისტური – უკლასო საზოგადოების ფორმირება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ფრიდრიხ ენგელსი (Friedrich Engels) (1820-1895) – გერმანელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, მრეწველი, თეორეტიკოსი. კარლ მარქსის მიმდევარი და თანაავტორი. გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური ნაშრომებისა, იკვლევდა ანთროპოლოგიურ საკითხებსაც.


<sup>2</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.], თბილისი, ლოგოს პრესი, 2004.



კარლ მარქსი



ფრიდრიხ ენგელსი



კომუნისტური პარტიის მანიფესტის პირველი გერმანულენოვანი გამოცემის გარეკანი

1840-იან წლებში მარქსმა და მისმა თანამოაზრე ფრიდრიხ ენგელსმა დაიწყეს წერა და საუბარი მუშათა კლასის გაძლიერებისათვის ერთიანი ინტერნაციონალური ორგანიზაციის შექმნის შესახებ. 1847 წელს კარლ მარქსმა, კარლ შაპერმა<sup>1</sup> და ფრიდრიხ ენგელსმა ლონდონში დააარსეს პოლიტიკური გაერთიანება „კომუნისტური ლიგა“ („Communist League“)<sup>2</sup>. ეს გაერთიანება შაპერის მიერ შექმნილი მუშების გაერთიანების – სამართლიანობის ლიგის – მემკვიდრე იყო. ორივე გაერთიანება ძირითად იდეებს საფრანგეთის რევოლუციიდან იღებდა და სოციალური თანასწორობისთვის და განსაკუთრებით კი მუშათა უფლებებისათვის იბრძოდა. კომუნისტურმა ლიგამ 1851 წლამდე იარსება.

<sup>1</sup> კარლ ფრიდრიხ შაპერი (Karl Friedrich Shapper) (1812-1870) – გერმანელი სოციალისტი, მუშათა მოძრაობის ლიდერი. იყო გერმანელ მუშათა ყველაზე დიდი გაერთიანების დამფუძნებელი.

<sup>2</sup> Eric Hobsbawm, The Age of Revolution (1789-1848), New York, Vintage Books, 1996, p. 127

**კომუნიზმი:** პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის თანახმადაც ძალაუფლება და საკუთრება უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის ხელში, ხოლო კეთილდღეობა თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის. კომუნიზმის როგორც იდეოლოგიის შესახებ მსჯელობები XIX საუკუნის დასაწყისში გააქტიურდა, თუმცა მისი საბოლოო სახე მარქსის ნაშრომებში ჩამოყალიბდა. მარქსისეული ხედვით კომუნიზმის როგორც იდეოლოგიის პოლიტიკურ რეალობაში განხორციელების შედეგი იქნება უკლასო საზოგადოების შექმნა, სადაც საზოგადოების ყველა წევრი იშრომებს სოლიდარულად თავისი უნარების შესაბამისად და საბოლოოდ ერთიანი შრომის შედეგს/პროდუქტს მიიღებს თანაბრად<sup>1</sup>.

1847 წელს ბელგიაში მყოფმა კარლ მარქსმა ფრიდრიხ ენგელსთან ერთად დაიწყო მუშაობა მანიფესტის შესადგენად, რომელიც 1848 წლის 24 თებერვალს ლონდონში გერმანულ ენაზე გამოიცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სახელით. ის მალევე ითარგმნა და გამოიცა ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, ფლამანდრიულად და დანიურად, შემდეგ წლებში კი მსოფლიოს ლამის ყველა ძირითად ენაზე.

მარქსისა და ენგელსის ნაშრომში კრიტიკულადაა გადაზრებული კაპიტალიზმის პრობლემები, მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა და ევროპის (და ზოგადად მსოფლიოს) მომავლის პოლიტიკური ხედვა. მარქსი და ენგელსი პრობლემიდან გამოსავალს მუშათა კლასის – პროლეტარიატის – გაერთიანებასა

<sup>1</sup> სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.], თბილისი, ლოგოს პრესი, 2004.

და ერთად ბრძოლაში ხედავდნენ. 1888 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ინგლისურენოვანი გამოცემისათვის მომზადებულ წინასიტყვაობაში ფრიდრიხ ენგელსი წერდა – „მანიფესტი“ გამოქვეყნებული იქნა როგორც პროგრამა „კომუნისტების კავშირისა“ – მუშათა ორგანიზაციისა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ გერმანული ორგანიზაცია იყო, ხოლო, შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაცია გახდა, და იმ პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც კონტინენტზე არსებობდა 1848 წლამდე, აუცილებლად ფარულ საზოგადოებად უნდა დარჩენილიყო. კავშირის კონგრესზე, რომელიც 1847 წლის ნოემბერში შედგა ლონდონში, მარქსსა და ენგელსს დაავალეს გამოსაქვეყნებლად მოემზადებინათ პარტიის გამლლილი თეორიული და პრაქტიკული პროგრამა“<sup>1</sup>.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესავალშივე გაცხადებული იყო – „აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში ერთიანდება ამ აჩრდილის სადევნელად. პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანიის პოლიციელები. სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარტია, რომლისთვისაც კომუნისტობის დანამებით სახელი არ გაეტეხოთ, მთავრობაში მყოფ მის მოწინააღმდეგეებს? სად მოიპოვება ისეთი ოპოზიციური პარტია, რომელსაც კომუნისტების სამარცხვინო ბრალდება უკან არ ესროლოს როგორც ოპოზიციის უფრო პროგრესულ წარმომადგენელთათვის, ისე თვის რეაქციულ მოწინააღმდეგეთათვის? ორი რამ გამომდინარეობს ამ ფაქტიდან. კომუნიზმს უკვე ძალად აღიარებენ ევროპის ყველა ხელისუფალნი. დიდი ხანია დრო არის, რომ კომუნისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე აშკარად გამოთქვან

---

<sup>1</sup> კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, თბილისი, სახელგამი, 1954, გვ. 15

თავიანთი შეხედულება, თავიანთი მიზნები, თავიანთი მისწრაფებები და კომუნიზმის აჩრდილის შესახებ არსებულ ზღაპრებს დაუპირისპირონ თვის პარტიის მანიფესტი... [...] დღემდე არსებულ ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“<sup>1</sup>.

მარქსისა და ენგელსის კომუნისტური პარტიის მანიფესტი ფაქტობრივად მუშებს მოუწოდებდა გაერთიანებისა და პროლეტარული რევოლუციისაკენ. მათი ხედვით, არსებული სისტემები მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლება შეცვლილიყო და აქვე პოსტრევოლუციურ ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინათ მშრომელებს შესაძლო კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის აღსაკვეთად, რისთვისაც მარქსი და ენგელსი „პროლეტარიატის დიქტატურასაც“ ემხრობოდნენ.

„კომუნისტურმა მანიფესტმა“ ფაქტობრივად საფუძველი დაუდო ახალი ტიპის პოლიტიკური ერთობების შექმნას, რომლებიც აღიარებდნენ მარქსისტული გაგებით კომუნისტურ იდეოლოგიას და მთავარ მიზნად ისახავდნენ პროლეტარიატის გაერთიანებას შემდგომში პროლეტარიატის რევოლუციისა და უკლასო საზოგადოების ფორმირებისათვის.

1815 წლიდან რევოლუციის რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი საფრანგეთში, თუმცა დიდწილად წარუმატებლად, და მასში მუშათა და სოციალისტურად განწყობილ ჯგუფთა მონაწილეობა ნაკლებად იკვეთებოდა. 1847-1848 წლებში ინდუსტრიულმა კაპიტალიზმმა ერთგვარი კრიზისი განიცადა, რის გამოც თითქმის მთელი ევროპა რევოლუციურმა პროცესებმა მოიცვა – შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი. არეულობებს ჰქონდა ადგილი ესპანეთში, დანიაში და რუმინეთში. ნა-

<sup>1</sup> კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, თბილისი, სახელგამი, 1954, გვ. 36-37

კლებ მასშტაბურ, თუმცა რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა დიდი ბრიტანეთში, ირლანდიასა და საბერძნეთში<sup>1</sup>. ამ პერიოდის რევოლუციურ პროცესებში ჭარბობდნენ მუშები, ქალაქების ახალი მაცხოვრებლები. გლეხები კი კვლავინდებურად მონარქიული რეჟიმების მეტ-ნაკლებად ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. 1848 წლის რევოლუციების მთავარი მონაპოვარი სიტყვის თავისუფლების ზრდა, მონარქიული მმართველობების სიხისტის მცირედით შერბილება და საარჩევნო უფლებების მცირედით გაფართოება იყო. გარკვეული შეღავათები მიიღეს მუშებმა სამუშაო პირობების თვალსაზრისით, ხელისუფლებებმა კი შეძლეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტატუს-კვოს შენარჩუნება. რევოლუციის შემდეგ მალევე, 1850-იან წლებში, ინდუსტრიულმა ეკონომიკებმა სწრაფი ტემპებით დაიწყო ზრდა<sup>2</sup>.

ინდუსტრიული ეკონომიკების კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ზრდიდან გამომდინარე, სწრაფადვე იზრდებოდა მშრომელთა მასები, ევროპის სახელმწიფოთა მოქალაქეების დიდი ნაწილი არა გლეხები, არამედ ქალაქში მცხოვრები პროლეტარიზებული მუშები იყვნენ. ეკონომიკის ზრდის პარალელურად გაზრდილი მუშახელის მოთხოვნა, ხშირად შავკანიანი მონების, არასრულწოვნებისა და მიზეზურ ანაზღაურებაზე მომუშავე ქალების დასაქმებით კმაყოფილდებოდა. მშრომელები კვლავ დიდ წნეხს განიცდიდნენ დამსაქმებლების მხრიდან და კიდევ უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი გაფიცვებსა და მუშათა ამბოხებებს.

სარკინიგზო ქსელების გაყვანის, მობილობის ზრდისა და 1847-1848 წლის რევოლუციების შედეგად მუშათა კლასი საკმაოდ დაახლოვდა, იზრდებოდა ჯერ კიდევ არალეგალურ

---

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, *The Age of Revolution (1789-1848)*, New York, Vintage Books, 1996, p. 112

<sup>2</sup> იქვე, p. 111

მდგომარეობაში მყოფი მუშათა გაერთიანებების და მათი წევრების რაოდენობა. კარლ მარქსის მიმდევარი თეორიტიკოსები და აქტივისტები თანდათან იკავებდნენ საპროტესტო ტრიბუნებს და პერიოდული გამოცემების ფურცლებს. მართალია, „კომუნისტური ლიგა“ დაიშალა, თუმცა სოციალისტურად განწყობილ პოლიტიკურ აქტივისტთა რაოდენობა დღით დღე იზრდებოდა, განსაკუთრებით გერმანიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთსა და ბელგიაში.

1864 წლის 28 სექტემბერს ლონდონში, წმინდა მარტინის საკონცერტო დარბაზში, ფრანგი და ბრიტანელი პროფკავშირის ლიდერების მეთაურობით შეიქმნა „მშრომელთა (მამაკაცთა) საერთაშორისო ასოციაცია“ – “International Working Men’s Association”. აღნიშნულ გაერთიანებას სოციალისტთა „პირველ ინტერნაციონალადაც“ მოიხსენიებდნენ. ორგანიზაციის ძირითადი მიზანი მუშათა უფლებებისათვის ერთიანი ბრძოლის ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა შორის სოლიდარობის გაზრდა და რევოლუციური პოლიტიკური ცვლილებების გამონეგვა იყო. კარლ მარქსი ამ ორგანიზაციის გენერალური საბჭოს წევრად აირჩიეს. ორგანიზაციაში მალევე ბრიტანელ და ფრანგ მშრომელებთან ერთად სხვა ევროპული ქვეყნის მუშათა გაერთიანებებიც გაწევრიანდნენ. ასოციაციაში შემავალ ორგანიზაციათა და ინდივიდუალურ მუშათა დიდი ნაწილი მალევე სოციალიზმის სხვადასხვა მიმართულების მიმდევრებად დაიყვნენ, რაც პირველ ინტერნაციონალში ხშირი კონფლიქტების მიზეზი იყო. მარქსიზმის გარდა მუშებში გავრცელებული იყო პიერ-ჟოზეფ პრუდონის<sup>1</sup> მიერ წამოყენებული კაპიტალიზმის რეფორმირების იდეა, რადიკალური

<sup>1</sup> პიერ-ჟოზეფ პრუდონი (Pierre-Joseph Proudhon) (1809-1865) – ფრანგი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი. ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ინდივიდუალური ანარქიზმის“ თეორეტიკოსი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი.

რევოლუციური გარდაქმნების ოგიუსტ ბლანკის<sup>1</sup> თეორიები – „ბლანკიზმი“ და მიხეილ ბაკუნინისეული<sup>2</sup> ანარქიზმის იდეები. საბოლოოდ, 1872 წელს „პირველი ინტერნაციონალი“ ფაქტობრივად გაიხლიჩა მარქსიზმის იდეების და სხვა კიდევ უფრო რადიკალური იდეების მიმდევრებად – ძირითადად ანარქისტებად და ე.წ. „statist“ – „ეტატისტებად“, რომლებიც ანარქისტებისგან განსხვავებით, არსებული სახელმწიფოების გარდაქმნას ემხრობოდნენ<sup>3</sup>. 1873 წლიდან „მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციის“ სამდივნო ლონდონიდან ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც, საბოლოოდ, 1876 წელს ფაქტობრივად სრულად დაიშალა. მუშათა გაერთიანებებში არსებული ურთიერთდაპირისპირებები, რა თქმა უნდა, უმარტივებდა ნაციონალურ ხელისუფლებებს საერთო მასშტაბური გაფიცვების თავიდან აცილებას და არსებული ეკონომიკური დღის წესრიგის შენარჩუნებას უმტკივნეულოდ ახერხებდნენ.

---

<sup>1</sup> ლუი ოგიუსტ ბლანკი (Louis Auguste Blanqui) (1805-1881) – ფრანგი სოციალისტი, პოლიტიკური აქტივისტი და რევოლუციონერი. მის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვები ცნობილია როგორც „ბლანკიზმის“ მიმდინარეობა.

<sup>2</sup> მიხეილ ბაკუნინი (Михаил Александрович Бакунин) (1814-1876) – რუსი ანარქისტი, თეორეტიკოსი. კოლექტიური ანარქიზმის ერთ-ერთ მთავარი თეორეტიკოსი, 1870-იან წლებში ევროპაში მიმდინარე ანარქისტული აჯანყებების იდეოლოგი და ორგანიზატორი.

<sup>3</sup> First International Labour federation, Encyclopedia Britanica – <https://www.britannica.com/money/topic/First-International> (ინახა, 16.09.2023)

**პ**რუდონიზმი: პიერ-ჟოზეფ პრუდონის მიერ ჩამოყალიბებული თეორიული ხედვა, რომელიც, მიუხედავად თავისი ანარქისტობისა და მემარცხენეობისა, პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდა კაპიტალიზმის არსებობას (თუმცა ეწინააღმდეგებოდა სანარმოო რესურსების მცირე ჯგუფების ხელში თავმოყრას). პრუდონი ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმი უბრალოდ გარდასაქმნელი იყო იმგვარად, რომ მისგან მიღებული სარგებელი რიგით მუშასაც თანაბრად შეხვედროდა. ამ მიმდინარეობის თანახმად, პირადი საკუთრება (კოპერატიული შრომისგან მიღებული სარგებელი) მნიშვნელოვანი იყო მშრომელისათვის. პრუდონის ხედვით არ იყო აუცილებელი ორგანიზებული მუშათა ერთიანი ჯგუფები არსებულ სისტემასთან რევოლუციური გზით საბრძოლველად, არამედ სისტემის შეცვლა შესაძლებელი იყო რეფორმებით და ეტაპობრივად. პრუდონი ფაქტობრივად ემხრობოდა კოლექტიურ საკუთრებას რეფორმირებული კაპიტალიზმის არსებობის პირობებში. პრუდონის ხედვებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ინდივიდუალურ ანარქიზმს“.

**ბ**ლანკიზმი: ლუი ოგიუსტ ბლანკის მიერ შემუშავებული რევოლუციური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სოციალისტური რევოლუცია უნდა განხორციელდეს არა ფართომასშტაბიანი პროლეტარული გაერთიანების მიერ, არამედ საიდუმლოდ მოქმედი, მცირე რაოდენობის კარგად ორგანიზებული რევოლუციური ჯგუფის მიერ. ის სკეპტიკურად უყურებდა მუშათა სახალხო მოძრაობებს. ბლანკის ხედვით, რევოლუციონერთა ჯგუფის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ერთადერთი კეთილშობილური მიზანი უნდა იყოს სოციალიზმის დამყარება. ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად კი ბლანკი ემხრობოდა გადატრიალებას, ძალადობასა და ამ გზით ბურჟუაზიული სოციალური წყობის მოსპობას.

**ს**ნარქიზმი: პოლიტიკური ხედვა [იდეოლოგია], რომელზეც დაფუძნებული მოძრაობები ევროპაში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო და 70-იან წლებში პიკს მიაღწია. ანარქისტების ხედვით, მთავარი მისწრაფება და მიზანი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მოსპობა, როგორც იძულებისა და ძალაუფლების სიმბოლოსი. ანარქიზმის ხედვით ადამიანი კეთილშობილური არსებია, რომელსაც რყვნის სახელმწიფო, ქვეშევრდომული ურთიერთობები და ძალადობრივი სისტემა. ანარქიზმის იდეოლოგიის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს პიერ-ჟოზეფ პრუდონმა და მიხეილ ბაკუნინმა. ანარქისტები არ ერიდებოდნენ

ტერორისტულ აქტებს სახელმწიფოს ლიდერების, როგორც ძალაუფლების ცენტრების წინააღმდეგ. ანარქიზმის თეორიული ხედვების განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა ანარქისტებმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა და გიორგი (კომანდო) გოგელიამ.

1860-1870-იან წლებში კვლავ გრძელდებოდა მუშათა ბრძოლა მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მშრომელთა აქტიური ბრძოლის შედეგად, 1871 წელს დიდ ბრიტანეთში პროფკავშირები ლეგალური დაწესებულებები გახდა, რომელთაც თავიანთი გამართული სტრუქტურა და წევრების მიღების სისტემური პროცედურები გააჩნდა. ლეგალურ პროფკავშირებს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ბევრად მეტი და, რა თქმა უნდა, კანონით განსაზღვრული მექანიზმებიც მოეპოვებოდა. შემდეგ წლებში ევროპის სხვა ქვეყნებშიც მოხდა პროფესიული კავშირების ლეგალიზება. პრუსიაში (შემდეგ ერთიან გერმანიაში) კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი<sup>1</sup> წლების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა პროფესიული კავშირების ლეგალიზებასა და მათი საქმიანობის გაფართოებას. გერმანია დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ბოლო სახელმწიფო იყო, სადაც მხოლოდ 1897 წელს მიენიჭათ პროფკავშირებს ლეგალური საქმიანობის უფლება.

1867 წელს კარლ მარქსმა გამოსცა მარქსიზმის იდეოლოგიის უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „კაპი-

<sup>1</sup> ოტო ფონ ბისმარკი (Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen) (1815-1898) – პოლიტიკოსი, დიპლომატი, გერმანიის (1871 წლამდე პრუსიის) კანცლერი 1871-1890 წლებში. გერმანული სახელმწიფოების გაერთიანების მთავარი შემოქმედი.

ტალი: პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ („Das Kapital: Kritik der Politischen Ökonomie“). მარქსს აღნიშნულ ნაშრომში აღწერილი აქვს კაპიტალისტური წარმოების განვითარების ისტორია, მისი პრობლემები, საკუთრების საკითხი, სახელმწიფოს როლი, ეკონომიკაში გაცვლა-გამოცვლის საკითხები, საგარეო ვაჭრობა და, რაც მთავარია, დაქირავებული შრომის პრობლემატიკა. მარქსი ნაშრომში ხსნის, თუ რა ინვესტორ ეკონომიკურ უთანასწორობას და როგორ უნდა შეიცვალოს არსებული კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა, რომელშიც მშრომლები ჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებიან და რომელიც არის განმსაზღვრელი ბაზისი საზოგადოების კლასებს შორის არსებული კონფლიქტისა და ბრძოლისა. აღნიშნული ნაშრომის მეორე და მესამე ტომები მარქსის სიცოცხლეში ვეღარ გამოქვეყნდა და შემდგომ ფრიდრიხ ენგელსის რედაქციით იხილა დღის სინათლე.

სოციალიზმის ისტორიაში უდიდესი ადგილი უჭირავს „პარიზის კომუნას“ („Commune de Paris“). 1870-1871 წლებში პრუსია-საფრანგეთის ომების შედეგად დასუსტებული საფრანგეთის ძირითადი ეკონომიკური ტვირთი ქვეყნის მუშათა კლასს დაანვა, რის შედეგადაც მუშებმა და პოლიტიკურმა აქტივისტებმა რევოლუცია წამოიწყეს, რევოლუცია პარიზში საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, 1871 წლის 18 მარტს პარიზის დიდი ნაწილი პროტესტანტებმა დაიკავეს. რევოლუციონერთა მმართველობა პარიზში სულ 71 დღეს გაგრძელდა, თუმცა რევოლუციონერებმა – მუშებმა და აქტივისტებმა, საზოგადოებას პრაქტიკაში აჩვენეს, თუ როგორი იქნებოდა მუშათა კლასის (თუმცა არა მხოლოდ მათ) მიერ სოციალურ თანასწორობაზე, პროგრესივიზმზე, სეკულარიზმსა და ქალთა უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მმართველობის ძირითადი მახასიათებლები. პარიზის კომუნას წინ აღუდგა ჯარი,

მმართველობითი წრეები, ეკლესიის მეთაურები და კაპიტალისტური წრეების წარმომადგენლები. საბოლოოდ, 1871 წლის 28 მაისს საფრანგეთის საარმიო ნაწილებმა პარიზში რევოლუციონერები დაამარცხეს, პარიზის კომუნის იდეებს 15 000-ზე მეტი ადამიანი შეენირა, ხოლო 40 000-მდე დააპატიმრეს. პარიზის რევოლუციურ გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები.

#### **რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ *კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, თბილისი, სახელგამი, 1954*
- ◆ *Eric Hobsbawm, The Age of Revolution (1789-1848), New York, Vintage Books, 1996*

## IV თავი – მარქსიზმის რევიზიონიზმი და სოციალ-დემოკრატიის წარმოშობა

1848 წლიდან მოყოლებული ევროპის მუშათა კლასი, სოციალისტი აქტივისტები და თეორეტიკოსები ფიქრობდნენ და მუშაობდნენ პოლიტიკური პარტიების ფორმირებაზე, თუმცა არსებული პოლიტიკური რეჟიმებისა და საარჩევნო სისტემების პირობებში ეს პროცესი მარტივად არ მიმდინარეობდა. სოციალისტური, მუშათა პოლიტიკური გაერთიანებისათვის იბრძოდნენ გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, დანიასა და სხვა სახელმწიფოებში. მართალია, 1847 წელს შეიქმნა „კომუნისტური ლიგა“, როგორც პოლიტიკური გაერთიანება, თუმცა ის არ ყოფილა სისტემური პარტია, რომელიც ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთვებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უკვე არსებობდა ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები.

1863 წლის 23 მაისს, საქსონიის სამეფოში, ქალაქლაიფციგში, გერმანელი სოციალისტის, პოლიტიკური აქტივისტის, აგი-



ფერდინანდ ლასალი

ტატორისა და ორატორის, ფერდინანდ ლასალის (Ferdinand Lassalle, 1825-1865) ინიციატივით დაარსდა „გერმანიის მუშათა მთავარი ასოციაცია“ – „Allgemeine Deutscher Arbeiterverein“ (ADAV). ლასალი 2 წლის შემდეგ საყვარელი ქალისათვის გამართულ დუელს შეეწირა. ლასალის მიერ შექმნილი ასოციაცია თავისი შინაარსით უფრო მეტად რადიკალ-დემოკრატიული იყო, ვიდრე წმინდად მარქსისტული/სოციალისტური. ფერდინანდ ლასალი და მისი მიმ-

დევერები ემხრობოდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებების მინიჭებას ყველა მოქალაქისათვის. მათივე ხედვით, მარქსისეული რევოლუცია და „პროლეტარიატის დიქტატურა“ აღარ იქნებოდა აუცილებელი, რადგანაც საყოველთაო საარჩევნო უფლებების მინიჭების შემდეგ სახელისუფლებო ძალაუფლება ექნებოდათ არა მოქალაქეთა უმცირესობას – არისტოკრატისა და ბურჟუაზიას (კაპიტალისტებს), არამედ მოსახლეობის უმრავლესობას – მშრომელთა მასებს<sup>1</sup>.

ფერდინანდ ლასალისეულ ხედვებს ხშირად მოიხსენიებენ „მარქსიზმის რევიზიონიზმად“, რადგანაც ლასალმა ფაქტობრივად მშრომელებს აჩვენა გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო რევოლუციების ნაცვლად საარჩევნო ხმით, საპარლამენტო გზით უდავო წარმატების მიღწევა. ლასალის მიერ ჩამოყალიბებული ასოციაცია ღია წევრობაზე დამყარებული ორგანიზაცია იყო, რის გამოც ის მასშტაბურობითაც გამოირჩეოდა. ლასალი ეკონომიკური თვალსაზრისით სრულად აღიარებდა არსებულ ეკონომიკურ უთანასწორობას, მშრომელთა ექსპლუატაციას და ჩაგვრას, ამ გაგებით ის მარქსის მიმდევარი იყო. ის არსებული სიტუაციის შეფასებისას არ გვთავაზობს განსხვავებულ აზრს და ახალ ხედვებს, თუმცა ის საზოგადოებას სთავაზობს მარქსისაგან განსხვავებული მოქმედების სტრატეგიას და ნაწილობრივად განსხვავებულ საბოლოო მიზანს. მასაც, ისევე როგორც მარქსს, სურს სოციალურად და პოლიტიკურად თანასწორი საზოგადოების ფორმირება. ლასალი ითვლებოდა და დღესაც ითვლება სოციალიზმის იდეოლოგიის დემოკრატიზაციის მთავარ შემოქმედად. სწორედ მისი ხედვების საფუძველზე ჩამოყალიბდა „სოციალ-დემოკრატია“, როგორც პოლიტიკური მიმართულება და სუბიდეოლოგია. კარლ მარქსი, რა თქმა უნდა, არ მისაღმე-

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, The Age of Capital 1848-1875, London, Abacus, 1995, P. 137

ბია ლასალის წამოწყებას და გერმანულ პოლიტიკაში ის მხარს უჭერდა უფრო რადიკალური მემარცხენე პარტიების შექმნას<sup>1</sup>.

**ს**ოციალ-დემოკრატია: მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც, მართალია, მარქსის იდეებზეა დაფუძნებული, თუმცა საზოგადოებას სთავაზობს სოციალური თანასწორობის მიღწევის ალტერნატიულ გზას. სოციალ-დემოკრატია სოციალურ-ეკონომიკური წყობის საარჩევნო და სხვა კონსტიტუციური გზით ცვლილებას ემხრობა. სოციალ-დემოკრატია კაპიტალიზმის, როგორც ეკონომიკური სისტემის, როგორც დოვლათის შექმნის ინსტრუმენტის რაობას აღიარებს, თუმცა იქვე ამატებს, რომ კაპიტალიზმი თავის არსში დეფექტურია, უკონტროლო კაპიტალიზმი იწვევს სტრუქტურულ უთანასწორობას. ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭიროა შექმნილი დოვლათის განაწილება საზოგადოების ფენებს შორის, რის განსახორციელებლადაც საჭიროებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს დიდ ძალისხმევას.



ავგუსტ ბებელი

1869 წელს მემარცხენე მუშათა გამორჩეულმა ლიდერმა ავგუსტ ბებელმა (August Bebel) ჟურნალისტ ვილჰელმ ლიბკნეხტთან (Wilhelm Liebknecht) ერთად დააარსა „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ – „Sozialdemokratische Arbeiterpartei Deutschlands“ (SAPD). ლასალის ADAV და ბებელის SAPD 1875 წელს გაერთიან-

<sup>1</sup> Eric Hobsbawm, The Age of Capital 1848-1875, London, Abacus, 1995, P. 137

და „გოთას პროგრამის“ გარშემო და შეიქმნა „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ – „Sozialdemokratische Partei Deutschlands“. კარლ მარქსმა ღიად გააკრიტიკა გოთას პროგრამა და სპეციალური ესეც მიუძღვნა. პროგრამის ავტორებს მარქსი არარეალისტებს უწოდებდა. 1875 წლიდან მოყოლებული გერმანიის პოლიტიკურ ველზე სოციალ-დემოკრატიული პარტია მუდმივად ერთ-ერთი წამყვან პოლიტიკურ ძალად რჩება.

1871 წელს ჟურნალისტ ლუის პიოს (Louis Albert Francois Pio) ინიციატივით დაარსდა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია – „Socialdemokratiet“, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დანიის წამყვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და თითქმის მუდმივად ხელისუფლების სათავეშია. პირველი სოციალისტური პარტია საფრანგეთში პოლ ლაფარგის (მარქსის სიძე) და ჟიულ გედის მეთაურობით 1879 წელს ჩამოყალიბდა – „საფრანგეთის სოციალისტ მუშათა ფედერაცია“ – „Fédération des Travailleurs Socialistes de France“. 1879 წელს მარქსის შექმნილი „საერთაშორისო მშრომელ მამაკაცთა ასოციაციის“ ესპანური სექციის ლიდერის, პაბლო იგლესიასის მეთაურობით დაარსდა ესპანეთის „სოციალისტური მუშათა პარტია“ – „Partido Socialista Obrero Espanol“. 1885 წელს ბრიუსელში დაარსდა ბელგიის მუშათა პარტია – „Belgische Werkliedenpartij“. „ავსტრიის (ავსტრო-უნგრეთის) სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ – „Sozialdemokratische Arbeiterpartei Osterreiches“ 1889 წელს დაარსდა ვიქტორ ადლერის ინიციატივით. 1889 წელს შეიქმნა შვედეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – „Sverges socialdemokratiska arbetareparti“, რომელიც 1930-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის მუდმივად ხელისუფლების სათავეში იყო. დიდ ბრიტანეთში მემარცხენე სოციალისტური პოლიტიკური წრეები 1860-იან წლებიდან არ-

სებობდნენ ძირითადად პროფესიული კავშირებისა და ლიბერალური პარტიის შიგნით. მოგვიანებით, 1880-იან წლებში შეიქმნა მცირე დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფები „ფაბიანური საზოგადოების“<sup>1</sup> და დამოუკიდებელი ლეიბორისტული ფრაქციის სახით, 1888 წელს შეიქმნა შოტლანდიის ლეიბორისტული პარტია – „Schottish Labour Party“, თუმცა ერთიანი სოციალისტური პარტია – „დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია“ – „Labour Party UK“, მხოლოდ 1900 წლის 27 თებერვალს დაფუძნდა. 1891 წელს შეიქმნა იტალიის სოციალისტური პარტია. რუსეთის საიმპერიო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – „Российская социал-демократическая рабочая партия“ მხოლოდ 1898 წელს დაარსდა ქალაქ მინსკში. რუსეთის იმპერიაში ბევრად ადრე შეიქმნა მცირე ერთა სოციალისტური პარტიები, მაგალითად, პოლონეთის სოციალისტური პარტია და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მესამე დასი) 1892 წელს დაარსდა, შემდგომში შეიქმნა რუსეთის იმპერიის ებრაელთა და ბალტიის ქვეყნების ეროვნული სოციალისტური პარტიები. ევროპის კონტინენტს მიღმა ავსტრალიაში ლეიბორისტული პარტია 1891 წელს დაარსდა<sup>2</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ტერმინი „სოციალ-დემოკრატია“, რომელიც ფერდინანდ ლასალისეულ ხედვებს დაემყარა და ფართო გაგებით სოციალიზმის დემოკრატიის გზით დამყარების იდეას გულისხმობს. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია ფაქტობრივად სრულად ემყარება კარლ მარქსისა და ფერდინანდ ლასალის იდეებს, თუმცა ამ იდეათა შორის თავისთავად არსებობს დაპირისპირე-

---

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 138

<sup>2</sup> იქვე, გვ. 139

ბები და ეს პროცესი 1860-იანი წლებიდანვე მკაფიო იყო. პოლიტიკის მეცნიერის და მკვლევრის, ენდრიუ ჰეიფუდის მიხედვით – *„მისი [სოციალ-დემოკრატიის] საწყისი მნიშვნელობა ორთოდოქსულ მარქსიზმს უკავშირდებოდა და გამოიყენებოდა პოლიტიკური დემოკრატიის ვიწრო მიზნისა და საწარმოო ქონების კოლექტივიზაციის, ან დემოკრატიზაციის, უფრო რადიკალურ ამოცანას შორის სხვაობის გამოსაკვეთად“*<sup>1</sup>. ლასალისა და მარქსის მიმდევრებს შორის პირველი ფართო დაპირისპირება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველ, ე.წ. „გოთას პროგრამასთან“ დაკავშირებით დაიწყო. მარქსმა პროგრამა გამოქვეყნებისთანავე გააკრიტიკა. ლასალიანელებმა კარლ მარქსის კრიტიკული მოსაზრებები გარკვეულწილად გაითავისეს და პარტიის 1891 წლის პროგრამაში, რომელიც ცნობილია როგორც „ერფრუტის პროგრამა“ მკაფიოდ გამოკვეთეს სოციალ-დემოკრატიის კაპიტალიზმთან დაპირისპირებისა და ბრძოლის მეთოდები.

საბოლოოდ, მარქსისა და ლასალის მიმდევრებს შორის განხეთქილების თავიდან არიდება ვერ მოხერხდა. ლასალის მიმდევრებმა საუკუნეების მიჯნაზე ფაქტობრივად ყველა სახელმწიფოში ჩამოაყალიბეს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობები, თუმცა ორთოდოქსული მარქსიზმის მიმდევრებიც აქტიურად ჩანდნენ პოლიტიკურ ველზე. 1870-იანი წლებიდან მოყოლებული ორთოდოქსული მარქსიზმისა და ლასალის სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევრებს შორის არსებული განხეთქილება მარტივად შეიძლება დახასიათდეს, როგორც განხეთქილება სოციალისტთა იმ ორ ჯგუფს შორის, რომელთაგანაც ერთი გულმხურვალედ ემხრობოდა რევოლუციას და „პროლეტარიატის დიქტატურას“, მეორე კი მიიჩნევდა რომ, რევოლუცია სულაც არ იყო

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეიფუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005, გვ. 159-160

საჭირო, სოციალური თანასწორობისა და მარქსის საბაზი-  
სო იდეების იმპლემენტაცია შეიძლება მიღწეული ყოფილიყო  
დემოკრატიული გზით – საპარლამენტო არჩევნებით მას შემ-  
დეგ, რაც დაინერგებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლება<sup>1</sup>.

სოციალ-დემოკრატიის, როგორც იდეოლოგიის, ჩამოყ-  
ალიბებაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უმნიშვნელოვანე-  
სი როლი შეასრულა გერმანელმა პოლიტიკოსმა და თეორე-  
ტიკოსმა, რევიზიონისტული მარქსიზმის მიმდევარმა ედუარდ



ედუარდ ბერნშტეინი

ბერნშტეინმა<sup>2</sup>, რომელიც ლასალისა და  
ბებელის მიმდევარი იყო. ბერნშტეინი-  
სეული ხედვა სოციალ-დემოკრატიისა  
და სოციალ-დემოკრატიული პოლიტი-  
კური ძალების შესახებ, ეყრდობოდა იმ  
იდეას, რომ საბოლოო მიზნის, „სოცალ-  
ისტური რესპუბლიკის“ შექმნის გზაზე  
შესაძლებელი იყო გარკვეული თანამშ-  
რომლობა ლიბერალიზმთან, რადგანაც  
ლიბერალური დემოკრატია სრული-  
ად მისაღები შეიძლება ყოფილიყო ამ

გზის წარმატებით გავლისათვის. ბერნშტეინს ამ ხედვების  
განვითარებაში ეხმარებოდა ისიც, რომ XIX საუკუნის ბოლოს  
ლიბერალ პოლიტიკოსთა შორის არც თუ მცირე ნაწილი კაპ-  
იტალისტური ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში ემხრობო-

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრე-  
სი, 2005, გვ. 160

<sup>2</sup> ედუარდ ბერნშტეინი (Eduard Bernstein) (1850-1932) – გერმანელი პო-  
ლიტიკოსი, თეორეტიკოსი, მარქსიზმის რევიზიონისტი, გერმანიის სო-  
ციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1920 წელს გეგმავდა საქართველოში  
ვიზიტს, თუმცა ჯანმრთელობის პრობლემების გამო ვერ მოახერხა, 1920  
წელს გერმანულ ენაზე გამოსცა და ვრცელი წინასიტყვაობა მოუშვა და ნოე  
ჟორდანიას 1918 წლის საპროგრამო გამოსვლას „სოციალ-დემოკრატია და  
საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“. ბერნშტეინი ჟორდანიას პრო-  
გრამას მომავლის ევროპული სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის  
გზამკვლევად მიიჩნევდა.

და მნიშვნელოვან სოციალურ გარდაქმნებს, რომლებიც საბოლოოდ სოციალური კეთილდღეობის შექმნას გულისხმობდა. ბერნშტეინი, ისევე როგორც მისი წინამორბედები, ლასალი და ბებელი, ფაქტობრივად, ღიად უარყოფდა მარქსისეული „პროლეტარიატის დიქტატურის“ საჭიროებას და თვლიდა, რომ მდგრადი სოციალური სახელმწიფოს შექმნა მშრომელთა კლასს უფრო მეტად ევოლუციის, დემოკრატიზაციისა და სპარლამენტო გზით შეეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სოციალისტური პარტიების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების იყო, ეს არ ნიშნავდა, რომ ისინი უარყოფდნენ მარქსიზმს. ეს პარტიები აღიარებდნენ თავს მარქსიზმის მიმდევრებად, თუმცა იდეათა განხორციელებისათვის ფაქტობრივად მარქსიზმის რევიზიონისტულ-ლასალისეულ ხედვას იზიარებდნენ.

სოციალისტური პარტიების წარმოქმნისა და განვითარების პარალელურად, იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა მოძრაობები. 1880-იან წლებში მუშები უკვე რადიკალური მოქმედებებით – გაფიცვებისა და ბოიკოტირების გზით – ცდილობენ, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს 8-საათიანი სამუშაო დღე და სამუშაო პირობების კონტროლი. განსაკუთრებით აქტიურად იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების მუშები. 1886 წლის მაისში ჩიკაგოელი მუშების გაფიცვებისა და ბრძოლის შედეგად (რომელსაც ძალადობა და მსხვერპლი მოჰყვა) შემოღებული იქნა ე.წ. „მუშათა საერთაშორისო დღე“ რომელიც 1887 წლის 1 მაისიდან მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აღინიშნება. ეს დღე გახდა მუშათა უფლებებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლო. 1 მაისი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში უქმე დღედაა გამოცხადებული, რომლის დროსაც მუშათა ფართომასშტაბიანი საზეიმო დემონსტრაციები იმართება.

1889 წელს საფრანგეთის რევოლუციის მთავარი სიმბოლო, ბასტილიის აღების დღეს პარიზში იმხანად არსებულმა სოციალისტურმა და ლეიბორისტულმა (მშრომელთა) პარტიებმა კონგრესი გამართეს, რომელზეც ფაქტობრივად შეიქმნა „მეორე ინტერნაციონალი“ – სოციალისტური და ლეიბორისტული პარტიების გაერთიანება. ამგვარი გაერთიანების შექმნისთვის საფრანგეთისა და გერმანიის სოციალისტური პარტიები 1881 წლიდან მუშაობდნენ. მეორე ინტერნაციონალის ბიურო 1900 წლიდან ბრიუსელში ფუნქციონირებდა, მისი თავმჯდომარე და გენერალური მდივანი ბელგიის ლეიბორისტული პარტიის ლიდერები ემილ ვანდერველდე<sup>1</sup> და კამილ ჰიუსმანსი<sup>2</sup> იყვნენ, ისინი 1920 წელს საქართველოშიც იმყოფებოდნენ ხანგრძლივი ვიზიტით. მეორე ინტერნაციონალი სრულფასოვნად ფაქტობრივად 1916 წლამდე არსებობდა, ის ევროპის თითქმის ყველა სოციალისტურ პარტიას აერთიანებდა და ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. თუმცა ინტერნაციონალში 1900-იან წლებში დაპირისპირება გამწვავდა რადიკალ და ზომიერ (ცენტრისტ) სოციალისტებს შორის, განსაკუთრებით ვლადიმერ ლენინის<sup>3</sup> მიმდევრებსა და ლასალიანელებს შორის.

<sup>1</sup> ემილ ვანდერველდე (Émile Vandervelde) (1866-1938) – ბელგიელი პოლიტიკოსი, ბელგიის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, ბელგიის სამეფოს საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ჯანმრთელობის მინისტრი, მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი.

<sup>2</sup> კამილ ჰიუსმანსი (Jean Joseph Camille Huysmans) (1871-1968) – ბელგიელი პოლიტიკოსი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი (1946-1947), მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი.

<sup>3</sup> ვლადიმერ ლენინი (Владимир Ильич Ленин/Ульянов) (1870-1924) – რუსი რევოლუციონერი პოლიტიკოსი, თეორეტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამფუძნებელი და იდეოლოგი, პარტიის „ბოლშევიკური“ ფრაქციის ლიდერი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების/რევოლუციის ლიდერი, საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი, საბჭოთა რუსეთის (1922 წლის დეკემბრიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

მეორე ინტერნაციონალში შემავალ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1902-1903 წლებში გაჩნდა შიდა წინააღმდეგობები. თავდაპირველად ეს წინააღმდეგობები ძირითადად ტაქტიკურ საკითხებში გამოიხატებოდა. კერძოდ, ვლადიმერ ლენინი და მისი მიმდევრები, რომლებიც უფრო მეტად ლუი ოგიუსტ ბლანკის იდეებს – ორგანიზებული მცირე ჯგუფების მიერ რადიკალურ რევოლუციურ მოქმედებებს ემხრობოდნენ, საწყის ეტაპზე უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. ისინი თავიანთ თავს „ბოლშევიკებს“ (მეუმრავლესობებს) უწოდებდნენ, ხოლო შედარებით ზომიერი ლასალის მიმდევრები, გიორგი პლехანოვისა<sup>1</sup> და იული მარტოვის<sup>2</sup> მეთაურობით, უმცირესობაში აღმოჩნდნენ და „მენშევიკებად“ იწოდებოდნენ. ლენინის მხრიდან ბლანკისეული იდეების წინა პლანზე წამოყენება გამოიხატა მის ხედვებით, რომლის თანახმადაც, აუცილებელი იყო პარტიაში მმართველობის ცენტრალიზებული ფორმის დანერგვა და პარტიის შიგნით ორგანიზებული ე.წ. „გამწევი ძალის“ – ავანგარდის შექმნა, რომელიც მიიღებდა ძირითად გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებელი იქნებოდა პოლიტიკურ მოქმედებებზე. ლენინს ეჭვი შეჰქონდა მასობრივი პარტიის დემოკრატიზმის ეფექტურობაში. ლენინის საპასუხოდ, პლехანოვი და „მენშევიკები“ რჩებოდნენ პარტიაში დემოკრატიზმის აუცილებლობის პოზიციაზე. ამ ორ ჯგუფს შორის კონფლიქტი ასევე დაკავშირებული იყო რუსეთის საიმპერიო რეჟიმის პირობებში პარტიის ლეგალური და არალეგალური საქმიანობის ტაქტი-

<sup>1</sup> გიორგი პლехანოვი (Георгий Валентинович Плеханов) (1856-1918) – რუსი ფილოსოფოსი, სოციალისტი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, რსდმპ-ის „მენშევიკური“ ფრაქციის იდეოლოგიური ლიდერი.

<sup>2</sup> იული მარტოვი (Юлий Осипович Мартов/Цедербаум) (1873-1923) – რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკური“ ფრაქციის ლიდერი.

კასთან. ბოლშევიკები ფაქტობრივად უარყოფდნენ ლეგალურ მუშაობას ძალმომრეობითი რეჟიმის ფარგლებში, მენშევიკები კი, არალეგალურ საქმიანობასთან ერთად, ემხრობოდნენ ლეგალურ საქმიანობას – პრესის გამოცემის, შეზღუდულ არჩევნებში მონაწილეობითა და საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნის გამოყენებით.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შიგნით არსებული დაპირისპირებები ევროპის ქვეყნებშიც გადავიდა, რადიკალ მემარცხენეთა შორის იზრდებოდა ლენინის იდეებისადმი სიმპათია, განსაკუთრებით კომუნისტური მიმდინარეობის პარტიებში. საბოლოოდ, ლენინის „ბოლშევიკთა“ ფრაქციას სწორედ რუსეთის კომუნისტური პარტია ეწოდა და ევროპული კომუნისტური პარტიების ლიდერობაც იტვირთა თავზე.

მეორე ინტერნაციონალის დაშლის მიზეზი პირველ მსოფლიო ომში სოციალისტური პარტიების მიერ ეროვნულ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს მოჰყვა, განსაკუთრებით კი გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის პოზიციას, რომელმაც მხარი დაუჭირა ომისათვის საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფას მაშინ, როდესაც სხვა სოციალისტური პარტიების დიდი ნაწილი წინააღმდეგი იყვნენ ომის და კვლავ საერთაშორისო მშვიდობის, პაციფიზმისა და სოლიდარობის პლატფორმაზე იდგნენ. გერმანელ სოციალისტთა გადაწყვეტილების შემდეგ, ისედაც მყიფე კავშირი დაიშალა. ინტერნაციონალისტი სოციალისტები, განსაკუთრებით კი ორთოდოქსული რევოლუციური მარქსიზმის მიმდევრები თვლიდნენ, რომ გერმანელთა გადაწყვეტილება იყო ღალატი საერთაშორისო მშრომელთა კლასის წინაშე, რადგან ამგვარი გადაწყვეტილებები რიგით მუშებს კაპიტალისტურ-ბურჟუა-

ზიული ომების სამსხვერპლოზე აგზავნიდა. ამ პერიოდის მუშათა გაერთიანებებში ნამდვილად დომინირებდა პაციფისტური მიმდინარეობები. მეორე ინტერნაციონალი ფაქტობრივად მთავარი დასაყრდენის, მუშათა კლასის გარეშე რჩებოდა.

1920 წლის ივლისში მეორე ინტერნაციონალის ყოფილ წევრთა დიდმა ნაწილმა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში სცადა აღედგინა ინტერნაციონალის ერთიანობა, გადაეაზრებინა მსოფლიო ომის შედეგები. კონგრესს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კონფერენციაში მონაწილეობაზე ევროპის სოციალისტური პარტიების ნაწილმა უარი განაცხადა. რეკონსტრუირებულ მეორე ინტერნაციონალში განვერიანებაზე უარის გამცხადებელმა პარტიებმა მალევე შექმნეს „მუშათა კავშირებისა და სოციალისტური პარტიების ინტერნაციონალი“ (International Working Unions and Socialist Parties, (IWUSP)), ამ გაერთიანებას მკვლევრები ხშირად 2.5 (ორნახევარ) ინტერნაციონალსაც უწოდებენ. 1923 წელს IWUSP და მეორე ინტერნაციონალი გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს „ლეიბორისტული და სოციალისტური ინტერნაციონალი“. ეს გაერთიანება მსოფლიო ომის დაწყებამდე ფუნქციონირებდა, ომის შემდეგ კი მისი ფაქტობრივად ხელახალი ფორმირება მოხდა და დღემდე არსებობს.

მეორე ინტერნაციონალი, მიუხედავად იმისა, რომ აერთიანებდა რევოლუციური მარქსიზმის მიმდევარ კომუნისტურ პარტიებსაც, მაინც რევიზიონისტულ სოციალ-დემოკრატთა გაერთიანებად ითვლებოდა. მეორე ინტერნაციონალის დაშლისა და რუსეთში კომუნისტური რეჟიმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ რევოლუციური მარქსიზმის მიმდევართა „მესამე

ინტერნაციონალი“ იგივე „კომუნისტური ინტერნაციონალი“ დააფუძნა, რომლის მთავარ მიზნადაც მსოფლიოში კომუნისმის გავრცელება დაისახა.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

♦ *Eric Hobsbawm, The Age of Capital 1848-1875, London, Abacus, 1995*

♦ *ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, ლოგოს პრესი, 2005*


## V თავი – პრეზერვისტიული პირველი დისკუსიები საქართველოში

1860-იან წლებში რუსეთის იმპერიაში გატარებული აგრარული რეფორმის შემდეგ წარმოიშვა ე.წ. რუსული საგლეხო სოციალიზმი, რომელიც ცნობილია როგორც „ხალხოსნობა“ – „Народничество“. ამ პოლიტიკური მიმდინარეობის მთავარი თეორეტიკოსები ცნობილი ანარქისტი მიხეილ ბაკუნინი, პეტრე ლავროვი და პეტრე ტკაჩოვი იყვნენ. ხალხოსნების პოლიტიკური იდეოლოგია სოციალისტურ მიმდინარეობას წარმოადგენდა, თუმცა, ევროპულ-მარქსისტული გაგებისგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიაში მთავარი სამიზნე კლასი იყო არა ინდუსტრიული მუშები, არამედ სოფელში მცხოვრები გლეხები.

ხალხოსნები თვლიდნენ, რომ, რეფორმის მიუხედავად, რუსეთში უთანასწორო სოციალური წყობა იყო. მათი ხედვით რუსეთში უნდა მოსპობილიყო მიწაზე კერძო საკუთრება და დამყარებულიყო ეკონომიკური თანასწორობა, რაც შემდგომში სამოქალაქო-პოლიტიკურ თანასწორობასაც მოიტანდა. თეორეტიკოსები ავითარებდნენ აზრს, რომ რუსეთში არსებული წყობა უნდა მოსპობილიყო და მის ნაცვლად სოციალიზმი დამყარებულიყო<sup>1</sup>.

1874 წლიდან რუსმა „ხალხოსნებმა“ ღია პოლიტიკური ნაბიჯები გადადგეს, შექმნეს „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია“, ამავე წელს დაიწყო პროპაგანდა გლეხთა ფართომასშტაბიანი აჯანყებისათვის, თუმცა ეს პროცესი წარმატებით ვერ დასრულდა და პოლიტიკურ აქტივისტთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს. სოციალ-რევოლუციონ-

<sup>1</sup> ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე, მერაბ ვაჩნაძე და სხვ. „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, თბილისი. არტანუჯი, 2004, გვ. 181



ნიკო ნიკოლაძე

ნერებთან თანამშრომლობდნენ ქართველი ახალგაზრდებიც სტუდენტ ივანე ჯაბადარის<sup>1</sup> მეთაურობით, რომლებიც რუს ხალხოსნებთან ერთად დააპატიმრეს კიდეც. ამავე წრესთან კავშირი ჰქონდა შემდგომში ცნობილ პუბლიცისტ და სოციალისტ-ფედერალისტ პოლიტიკოსს გიორგი მაიაშვილ-ზდანოვიჩს<sup>2</sup>. რუს ხალხოსან თეორეტიკოსებთან კავშირი ჰქონდა ნიკო ნიკოლაძეს<sup>3</sup>, რომელიც 1860-იან წლებში ჩართული იყო სტუდენტთა მოძრაობაში, თუმცა შემდგომ ჩამოშორდა ამ მიმდინარეობას. 1870-იან წლებში ქართველი ახალგაზრდები ცდილობდნენ, შეექმნათ სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში. მცირერიცხოვანი ჯგუფები მართლაც შეიქმნა თბილისში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთსა და თელავში<sup>4</sup>. საბოლოოდ, საკუთრივ რუსეთისაგან განსხვავებით, საქართ-

<sup>1</sup> ივანე ჯაბადარი (1852-1913) – ქართველი რევოლუციონერი, ხალხოსნური მოძრაობის აქტივისტი და ლიდერი საქართველოში, ბაკუნინის იდეების მიმდევარი.

<sup>2</sup> გიორგი მაიაშვილი-ზდანოვიჩი (1855-1917) – ქართველი (კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელების შთამომავალი) პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი. თავდაპირველად იყო ხალხოსნური იდეებით გატაცებული, რის გამოც დააპატიმრეს და გადაასახლეს. თარგმნა მარქსის ნაშრომების მცირე ნაწილი. 1900-იანი წლებიდან იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი.

<sup>3</sup> ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლაძე (1843-1928) – ქართველი პუბლიცისტი და პოლიტიკოსი, ფოთის ქალაქის თავი (1894-1914), თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ჭიათურის შავი ქვის (მანგანუმის) საექსპორტო საზოგადოების ხელმძღვანელი. საქართველოსა და კავკასიაში რკინიგზის ქსელის მშენებლობების ინიციატორი.

<sup>4</sup> ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე, მერაბ ვაჩნაძე და სხვ. „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, თბილისი, არტანუჯი, 2004, გვ. 182-183

ველოში ხალხოსნობა ვერ იქცა მძლავრ პოლიტიკურ გაერთიანებად, საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები 1870-1880-იან წლებში უფრო მეტად კულტურული ნაციონალიზმის იდეის გარშემო გაერთიანდნენ.

**კ**ულტურული ნაციონალიზმი: ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც დიდწილად განვითარდა XIX საუკუნეში ევროპის იმპერიათა შიგნით არსებულ მცირე ერებს შორის. ტერმინი თავის თავში აერთიანებს ნაციონალიზმის იმ ფორმას, რომელიც კონცენტრირდება ერის კულტურულ-საგანმანათლებლო საფუძვლების გარშემო გაერთიანებაზე. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თერგდალეულთა საქმიანობა, მიმართული წერა-კითხვის გავრცელებისაკენ, ქართული თეატრის განვითარებისაკენ, ფოლკლორის პოპულარიზაციისაკენ, ისტორიის კვლევისა და არქეოლოგიური შესწავლის გაფართოებისაკენ, სწორედ კულტურული ნაციონალიზმის ფორმა იყო.

1880-იან წლებში ხალხოსნური იდეების მიმდევრებად საქართველოში ასობით ახალგაზრდა რჩებოდა, ძირითადად, პედაგოგები და სტუდენტები. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც 1890-იანი წლებიდან საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გახდნენ. 1870-იანი წლებიდან ხალხოსნების იდეები გაიზიარეს ახალგაზრდა მწერლებმა ნიკო ლომოურმა, სოფრომ მგალობლიშვილმა, ანტონ ფურცელაძემ და სხვებმა, რომლებიც პრესაში და თავიანთ


მოთხრობებში აღწერდნენ ქართველი გლეხის გასაჭირსა და სოფლად არსებულ უთანასწორობას<sup>1</sup>.



ნოე შორდანია

1901 წლიდან კავკასიაში მოქმედებდა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა საოლქო (თბილისის) ორგანიზაცია, რომელსაც მრავლად ჰყავდა წევრები საქართველოდან. 1910-იან წლებში ეს ორგანიზაცია საკმაო გავლენას ფლობდა რეგიონში, განსაკუთრებით კი ეროვნებით რუს მოსახლეობასა და სამხედროებში. 1918 წელს რუსულ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას გამოეყო საქართველოს ჯგუფი და დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ჩამოყალიბდა<sup>2</sup>.

რუსული ხალხოსნობის პარალელურად, 1880-იანი წლებიდან ქართულმა ინტელექტუალურმა საზოგადოებამ დაიწყო მარქსიზმის იდეების ფართოდ გაცნობა, 1882 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გიორგი ზდანოვიჩმა გამოაქვეყნა სტატია „წერილი ჩვენი საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელშიც მარქსიზმის იდეებს აფლერებდა, თუმცა ცენზურის გამო ამ სტატიაში არც „სოციალიზმი“ იყო ნახსენები და არც „თანასწორობა, სოლიდარობა“. მარქსიზმის გავლენა ნათ-



ფილიპე მასარაძე

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 60

<sup>2</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021, გვ. 5

ლად ჩანდა შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ვასილ ნერეთლის მიერ 1880-იან წლებში სხვადასხვა გამოცემაში გამოქვეყნებულ წერილებში<sup>1</sup>.

მარქსის ნაშრომების ცალკეული თავები 1880-იანი წლების დასაწყისში გიორგი ზდანოვიჩმა თარგმნა, თუმცა ცენზურის გამო ვერ გამოაქვეყნა. მარქსის „კაპიტალის“ მცირე ნაწილები ბიბლიოფილმა და გამომცემელმა ზაქარია ჭიჭინაძემ 1887 წელს გამოაქვეყნა, მანამდე რამდენიმე რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრში“<sup>2</sup>.

1880-იან წლებში თბილისში ალბათ ყველაზე რევოლუციური ადგილი თბილისის სასულიერო სემინარია იყო. იმხანად აქ სწავლობდნენ ნოე ჟორდანიას<sup>3</sup>, ფილიპე მახარაძე<sup>4</sup> და სხვები, მათ სტუდენტობამდე კი არაერთი გამორჩეული ხალხოსანი რადიკალი სოციალისტი, მათ შორის ისიდორე რამიშვილი<sup>5</sup> და

---

<sup>1</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021, გვ. 62

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5

<sup>3</sup> ნოე ჟორდანია (1868-1953) – პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და ლიდერი, გაზეთ „კვალის“ რედაქტორი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი.

<sup>4</sup> ფილიპე მახარაძე (1868-1941) – პუბლიცისტი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის წევრი, კომუნისტური პარტიის წევრი. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ იყო საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

<sup>5</sup> ისიდორე რამიშვილი (1859-1937) – პედაგოგი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის ზაფხულიდან დაპატიმრებული იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ, დახვრიტეს 1937 წელს.

სილიბსიტრო ჯიბლაძე<sup>1</sup>. ეს უკანასკნელი სემინარიის რექტორის გალახვისა და ხალხოსნების ლიდერის, ჩერნიშევსკის<sup>2</sup> ნაშრომების შენახვის გამო გააგდეს სასწავლებლიდანაც. სასულიერო სასწავლებელში სტუდენტები საღვთო სჯულზე უფრო მეტად რევოლუციური იდეებით იყვნენ გატაცებულნი. ყორდანია თავის თანამოაზრეებთან ერთად აორგანიზებდა ფარული ხელნაწერი გაზეთების გამოცემას და კითხვის წრეების შექმნას (ამ ჯგუფს ხელს ზაქარია ჭიჭინაძეც უმართავდა). სემინარიის სტუდენტები 1880-იან წლებში აპროტესტებდნენ იქ გამეფებულ რეჟიმს და მოითხოვდნენ იგნორირებული ქართული ენისა და ისტორიის სასწავლო პროგრამაში დაბრუნებას<sup>3</sup>.

თბილისის სასულიერო სემინარია 1880-იან წლებში იქცა ფაქტობრივად სამჭედლოდ 1890-იან წლებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის, რომლებმაც საზოგადოებას უკვე სისტემურად გააცნეს მარქსისა და ლასალისეული ხედვები, შექმნეს ორგანიზაციული სისტემა და დაუპირისპირდნენ მემარჯვენე კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ნყობილებას, ამ იდეების დამცველ ყურნალ-გაზეთებსა და პიროვნებებს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ თავად სემინარიაში სწავლის პერიოდში სო-

---

<sup>1</sup> სილიბსიტრო ჯიბლაძე (1859-1922) – პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ამიერკავკასიის სემის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წელს დააპატიმრეს საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენლებმა, გარდაიცვალა 1922 წელს საიდუმლო ბინაში, „ჩეკამ“ მისი ნეშტი მოიპარა და საიდუმლოდ დამარხა.

<sup>2</sup> ნიკოლაი ჩერნიშევსკი (Николай Гаврилович Чернышевский) (1828-1889) – რუსი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი, მწერალი, რევოლუციონერ-დემოკრატი, ხალხოსნური (სოციალურ-რევოლუციური) მიმდინარეობის იდეოლოგი.

<sup>3</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 68-72

ციალ-დემოკრატთა მომავალ ლიდერებს ცოტა რამ თუ გაეგოთ მარქსის შესახებ, მათი ცოდნა მწირი იყო და მხოლოდ ზდანოვიჩის თარგმანებით, რამდენიმე სტატიითა და მცირედი რუსულენოვანი ლიტერატურით შემოიფარგლებოდა, განსაკუთრებით 1887 წლამდე, სანამ უშუალოდ არ გამოიცემოდა მარქსის ნაშრომები ზაქარია ჭიჭინაძის მიერ.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ♦ ვახტანგ გურული, დიმიტრი შველიძე, მერაბ ვაჩნაძე და სხვ. „საქართველოს ისტორია XIX საუკუნე“, თბილისი, არტანუჯი, 2004

## VI თავი – სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიის ფორმირება საქართველოში, მუშათა მოძრაობის გამოსვლა ასპარეზზე

საქართველოში მარქსისტული სოციალიზმის იდეები 1890-იანი წლების დასაწყისში რუსეთის იმპერიის უკიდურესი დასავლეთი წერტილიდან, პოლონეთიდან, კერძოდ კი ვარშავიდან შემოვიდა. ამ პერიოდში ვარშავაში არაერთი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, შექმნილი იყო სტუდენტური ნაციონალისტური გაერთიანებაც. ვარშავის ქართველ სტუდენტთა შორის პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდნენ მემარცხენე სტუდენტები ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძე. სწორედ მათ სახელს, განსაკუთრებით ნოე ჟორდანიას, უკავშირდება ქართულ პრესასა და ფართო საზოგადოებაში მარქსისტული ხედვების გავრცელება. ჟორდანია ვარშავაში ვეტერინარიის პროფესიის დასაუფლებლად წავიდა, თუმცა თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ მისი ძირითადი ინტერესი ვარშავაში სასწავლებლად წასვლისა იყო ევროპული პოლიტიკური იდეების გაცნობა, რაც პრინციპში შეძლო კიდეც<sup>1</sup>. ჟორდანია ვარშავიდან საქართველოში 1892 წელს დაბრუნდა მარქსისა და ლასალის იდეებით მოხიბლული და თავის ძველ ნაცნობ გურულებს, სემინარიელებსა და საერთო სამეგობრო წრეს თავისი პოლიტიკური შეხედულებები გაუზიარა. ამ წრის მთავარი ორგანიზატორი ახალგაზრდა მწერალი ეგნატე ნინოშვილი<sup>2</sup> იყო.

1892 წლის 25 დეკემბერს, შობის ღამეს, ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) ინიციატივით დასავლეთ საქართველოში,

<sup>1</sup> ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990, გვ. 20

<sup>2</sup> ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) (1859-1894) – ქართველი მწერალი, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის (მესამე დასის) ერთ-ერთი დამფუძნებელი.

შორაპნის მაზრის დაბა ყვირილაში (დღეს ქალაქი ზესტაფონი) მემარცხენედ განწყობილი ქართველი ახალგაზრდები შეიკრიბნენ, რომელთა შორისაც ხალხოსნური მიმდინარეობის ახალგაზრდა სახალხო მასწავლებლები ჭარბობდნენ, რომლებიც იმჟამად დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფელში სახალხო სკოლებს აარსებდნენ, სადაც ბავშვებს თავადვე ასწავლიდნენ (ისიდორე რამიშვილმა გურიაში, მშობლიურ სოფელ დიდვანში, ამგვარი სკოლა ხის ფარდულში გახსნა. მისი ერთ-ერთი პირველი მოსწავლე შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი<sup>1</sup> გახლდათ) და პარალელურად ხალხოსნურ იდეებს ავრცელებდნენ მასებში. ამ შეხვედრაზე ახალგაზრდა ნოე ჟორდანიამ დამსწრეებს მარქსიზმის იდეები გააცნო და შესთავაზა პირველი პროგრამის მიღება. ეგნატე ნინოშვილისა და ნოე ჟორდანიას გარდა, შეხვედრას ესწრებოდნენ შემდგომში



ეგნატე ნინოშვილი



ნიკოლოზ ჩხიეძე

<sup>1</sup> ნოე რამიშვილი (1881-1930) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1930 წელს მოკლულ იქნა პარიზში, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ.



ისიდორე რამიშვილი

ცნობილი პოლიტიკოსები – რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე<sup>1</sup>, ხალხოსანი პედაგოგი, შემდგომში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ისიდორე რამიშვილი, საქართველოს დამფუძნებელი

კრების მომავალი წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე, შემდგომში ქართველ კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერი მიხა ცხაკაია<sup>2</sup>, პედაგოგი არსენ ნითლიძე<sup>3</sup>, შემდგომში ცნობილი გამომცემელი და პუბლიცისტი ისიდორე კვიციანიძე<sup>4</sup> და სხვები. 1892 წლის 25 დეკემბრის (სპეციალურად შეირჩა შობის დღე, რათა ჟანდარმებს დიდი ყურადრება არ მიექციათ) შეხვედრა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველ კონფერენციად მიიჩნევა, თუმცა ამ კონფერენციაზე ჟორდანიამ ვერ შეძლო ამხანაგთა

<sup>1</sup> ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ბათუმის საქალაქო საბჭოს წევრი, რუსეთის მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, პარიზის საზავო კონფერენციაში საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე. გარდაიცვალა საფრანგეთში (სამშობლოს ნოსტალგიით გამონვეული) სუიციდის მცდელობის შემდეგ.

<sup>2</sup> მიხეილ (მიხა) ცხაკაია (1865-1950) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბოლშევიკი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.


<sup>3</sup> არსენ ნითლიძე (18??-1927) – პედაგოგი, პუბლიცისტი, მწერალი, „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. წლების განმავლობაში ეწეოდა სახალხო მასწავლებლობას.

<sup>4</sup> ისიდორე კვიციანიძე (1870-1937) – მწერალი, პუბლიცისტი, გამომცემელი, „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, დახვრიტეს 1937 წელს.

დარწმუნება საქართველოს რეალობაში მარქსიზმის იდეების სარგებლიანობაში და ვერც ერთიანი პროგრამის შემუშავება მოხერხდა. როგორც ისიდორე რამიშვილი და ნოე ჟორდანიას თავიანთ მოგონებებში წერდნენ, პირველ კონფერენციაზე ხალხოსნურმა იდეებმა გაიმარჯვა<sup>1</sup>.



1893 წლის თებერვალში თბილისში, მიხა ცხაკაიას ბინაში, ჯგუფის მეორე კონფერენცია გაიმართა, რომელზეც, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღეს ნოე ჟორდანიას მიერ შეთავაზებული პროგრამა, რომელსაც დიდი ალბათობით „რა ვაკეთოთ?“ ერქვა<sup>2</sup>. პროგრამის თავდაპირველი ვერსია არ გავრცელებულა, თუმცა ამ პროგრამაზე დაყრდნობით 1894 წელს ნოე ჟორდანიამ ვრცელი წერილები გამოაქვეყნა ჟურნალ „მომამბეში“ სახელწოდებით – „ეკონომიკური წარმატება და ეროვნობა“, სწორედ ეს ტექსტი ითვლება პირველი ქართული მარქსისტული პროგრამის ძირითად ბაზად. აღნიშნული ტექსტი, გარდა ეკონომიკური განვითარების კუთხით მარქსისტული ხედვებისა, მცირე, ჩაგრული, არაკონსოლიდირებული ერის წინაშე არსებული გამოწვევების გადალახვის ერთგვარ მაორიენტირებელ რუკასაც წარმოადგენს. სტივენ ჯონსი ჟორდანიასეული პროგრამის შესახებ წერს – **„პროგრამა თერგდალეულთა იდეებით იყო შთაგონებული,**



<sup>1</sup> ნოე ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990. გვ. 24

<sup>2</sup> ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), „მერიდიანი“, 1999. გვ. 21-22

*მაგრამ მარქსისტულ კრედოსაც შეიცავდა. მასში ხაზგასმული იყო კაპიტალიზმისა და ურბანიზაციის პროგრესული ბუნება, ინონებდა კლასობრივ დაყოფას და არგუმენტები ეკონომიკური დეტერმინიზმიდან მოჰყავდა“<sup>1</sup>.*

პროგრამაზე, ისევე, როგორც თავად სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფზე, თერგდალეულთა გავლენა სრულიად ლოგიკური იყო, რადგანაც ამ ჯგუფის წევრთა უმრავლესობა თერგდალეულთა მიერ შექმნილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების ყოფილი მოსწავლეები ან/და მოქმედი პედაგოგები იყვნენ. ისინი აღიზარდნენ თერგდალეულთა ლიტერატურით, პრესაში მათივე მიერ გამოქვეყნებულ პუბლიცისტიკას ეცნობოდნენ და ზოგიერთ მათგანს ამავე თერგდალეულების მხარდაჭერით ჰქონდა სწავლა გაგრძელებული უნივერსიტეტებში. გარდა თერგდალეულთა გავლენისა, რა თქმა უნდა, მათზე იდეოლოგიური გავლენა მარქსისა და ფერდინანდ ლასალის იდეებსაც ჰქონდა, სწორედ ამიტომ ახდენდნენ თავიანთი თავის, როგორც „სოციალ-დემოკრატების“ იდენტიფიცირებას.

1893 წელს რუსეთის სიამპერიო საპოლიციო სამსახურების მიერ ჟორდანიასზე ძებნის გამოცხადების გამო, მას რუსეთის იმპერიის დატოვება მოუხდა. საინტერესოა, რომ ვარშავაში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა, მათ შორის ფილიპე მახარაძემ, დაგმეს ჟორდანიასეული პროგრამა და ის ჩათვალეს არა სოციალ-დემოკრატიულ, არამედ ნაციონალისტურ პროგრამად.

საჯარო სივრცესა და პრესაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოძრაობის პირველი წარდგენა 1894 წლის მაისში ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებას უკავშირდება, სწორედ

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 79

ამ პროცესიისას მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სილიბის-ტრო ჯიბლაძემ საზოგადოებას გააცნო ეგნატეს გარშემო შეკრებილი ჯგუფის არსებობა და მათი იდეები. ჯიბლაძემ განაცხადა – *„ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან... ის სწრაფად იზრდება ჩვენს ქვეყანაში... ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენლები, მეორე მხრით – მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა. მეორეთა კი – დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა... ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა ვითარება“<sup>1</sup>.*

მაღევე ცნობილმა პუბლიცისტმა გიორგი წერეთელმა<sup>2</sup> გაზეთ კვალში პირველი სტატია გამოაქვეყნა ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატების შესახებ. სწორედ გიორგი წერეთელმა უწოდა ამ ჯგუფს „მესამე დასი“. „მესამე დასელები“ მანამდე არსებული თერგდალეულთა ორი დასის<sup>3</sup> საქმიანობის გამგრძელებლად მიიჩნეოდნენ. წერეთელი ახალგაზრდა



გიორგი წერეთელი

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. რედ. ი. ანთელავა. თბ., 1970. გაზეთი „კვალი“. 1894. №27

<sup>2</sup> გიორგი წერეთელი (1842-1900) – ჟურნალისტი, მწერალი, პუბლიცისტი, „მეორე დასის“ წევრი, „კვალის“ გამომცემელი და რედაქტორი.

<sup>3</sup> „პირველი დასი“ – ილია ჭავჭავაძის გარშემო შემოკრებილი თერგდალეულები, რომლებიც კულტურული ნაციონალიზმის ფარგლებში განათლებისა და კულტურის შესახებ აქტიურობდნენ და ამ გზით ცდილობდნენ ერის კონსოლიდაციას; „მეორე დასი“ – ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და გიორგი წერეთლის ჯგუფი, რომლებიც, გარდა კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებისა, აქტიურად მსჯელობდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებზე, კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობაზე, სატრანსპორტო სისტემისა და მობილობის გააქტიურებასა და ურბანიზაციაზე.

სოციალ-დემოკრატებს ასე ახასიათებდა – „ამ დასში [სოციალ-დემოკრატებში] არიან მრავალი სოფლის მასწავლებელი, გონება-განვითარებულნი სემინარიელნი, სამოსწავლო ინსტიტუტში კურსდამთავრებულნი და მეოთხმოცდა ათე წლების ზოგიერთი სტუდენტობა... (...)ამ მესამე დასმა საგნათ აღირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელს ხალხში მოჭფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებისაგან გამორკვეული ნათელი აზრები...“<sup>1</sup>

1893-1897 წლებში სოციალ-დემოკრატები ძირითადად პუბლიცისტური და საორგანიზაციო საკითხებით შემოიფარგლებოდნენ. ნოე ჟორდანია „ივერიაში“, „მოამბესა“ და „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებდა ვრცელ სტატიებს ევროპული სოფლის მეურნეობის, თვითმმართველობის, ეკონომიკისა და სხვა სფეროების შესახებ. ჟორდანია მოგზაურობდა საფრანგეთში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში, ეცნობოდა




ჟან ჟორესი

მარქსისტულ ლიტერატურას და ევროპულ წყაროებს საქართველოს შესახებ, ესწრებოდა ლექციებს პარიზში და გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, სწავლობდა საარქივო მასალებს ლონდონის სამეფო ბიბლიოთეკაში. 1893-1897 წლებში ჟორდანია უშუალოდ გაიცნო და დაუახლოვდა ევროპელ სოციალისტთა ლიდერებს, მათ შორის ფრანგ სოციალისტთა ლიდერებს, ჟან ჟორესს<sup>2</sup>,

<sup>1</sup> გაზ. „კვალი“, 1894 წლის 15 მაისი, №21, გვ. 4

<sup>2</sup> ჟან ჟორესი (Jean Jaures) (1859-1914) – ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამფუძნებელი, სოციალისტური გაზეთის “L’Humanite”-ს რედაქტორი, პაციფისტი.

პოლ ლაფარგს<sup>1</sup>, ჟიულ გედს<sup>2</sup>, თვეების განმავლობაში შტუტგარტში სტუმრობდა კარლ კაუცკის<sup>3</sup>. ემიგრაციაში მყოფი ჟორდანია განსაკუთრებით ინტერესდებოდა სოციალისტი თეორეტიკოსების მიერ მცირე ერების შესახებ დაწერილი ნაშრომებით. ჟორდანიას მიერ შედგენილ პირველ პროგრამაშივე გამოიკვეთა, რომ ის საქართველოში კლასობრივ ჩაგვრასთან ერთად ეროვნული ნიშნით მიმდინარე ღია თუ ფარულ ჩაგვრაზეც ამახვილებდა ყურადღებას<sup>4</sup>.



პოლ ლაფარგი

1890-იანი წლების მეორე ნახევარში სოციალ-დემოკრატიებმა პირველი კავშირი დაამყარეს ამიერკავკასიის რკინიგზის ტფილისის დეპოს მუშებთან. გამომდინარე იქიდან, რომ კავკასიელ მუშათა დიდი ნაწილი დაწყებით განათლებასაც კი მოკლებული იყო, სოციალ-დემოკრატთა ტაქტიკა ევროპელი კოლეგებისგან განსხვავ-



კარლ კაუცკი  
(თბილისში)

<sup>1</sup> პოლ ლაფარგი (Paul Lafargue) (1842-1911) – ფრანგი ეკონომისტი, ჟურნალისტი, სოციალისტი პოლიტიკოსი, კარლ მარქსის სიძე.

<sup>2</sup> ჟიულ გედი (Jules Guesde) (1845-1922) – ფრანგი ჟურნალისტი და სოციალისტი პოლიტიკოსი.

<sup>3</sup> კარლ კაუცკი (Karl Kautsky) – გერმანელი ფილოსოფოსი, სოციალისტი თეორეტიკოსი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან, 1920 წლის სექტემბერ-დეკემბერში იმყოფებოდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველო – გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“, ევროპულ პრესაში ათობით წერილი გამოაქვეყნა საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ.

<sup>4</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 80

ვდებოდა, რადგანაც შეუძლებელი იყო მუშებთან ესაუბრათ მარქსიზმზე მაშინ, როდესაც წერა-კითხვის ცოდნის პრობლემა იდგა. თავდაპირველად სოციალ-დემოკრატები მუშებისათვის აწყობდნენ წერა-კითხვის წრეებსა და ბიბლიოთეკებს.

1890-იანი წლების მიწურულს სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი მძლავრი ორგანიზაცია შექმნეს ბათუმის მუშებს შორის, ორგანიზაციას ბათუმის ბიუროკრატად მომუშავე ნიკოლოზ ჩხეიძე და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ქართული სკოლის პედაგოგი ისიდორე რამიშვილი ხელმძღვანელობდნენ. სოციალ-დემოკრატებმა მალევე შექმნეს ორგანიზაციები ქიათურის მაღაროებში დასაქმებულთა შორის. ამავე პერიოდიდან სოციალ-დემოკრატიული გაერთიანებები შეიქმნა სოფლადაც, თავდაპირველად, ძირითადად, გურიაში. ამის მიზეზი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერთა წარმომავლობა იყო.

1897 წლის ბოლოს ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა ნოე ჟორდანიას, როგორც თავად ამბობს, მარქსიზმში მნიშვნელოვნად განსწავლული და გაათვითცნობიერებული. მან მიზნად არსებული „მესამე დასის“ გაძლიერება და ფართო მასებში გასვლა დაისახა.

1898 წლის 1 იანვარს ქართული სოციალისტური მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ამ დღეს გამოვიდა გაზეთ „კვალის“ ნომერი, რომელსაც უკვე სოციალ-დემოკრატები რედაქტორობდნენ. „კვალი“ გახდა ფაქტობრივად რუსეთის იმპერიაში სოციალ-დემოკრატების მიერ მართული პირველი ლეგალური პერიოდული გამოცემა<sup>1</sup>. ნოე ჟორდანიას გაზეთის რედაქტორობა გიორგი წერეთელმა გადააბარა. 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჟორდანიას რე-

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 86-87



ეკონომიკისა თუ ზოგადად პოლიტიკის შესახებ. ჟორდანიას „კვალის“ პირველივე ნომრებში ვრცლად წერდა –

...რაკი საზოგადოებაში ფული გაბატონდა, ცხადია, **”**ერიც უნდა ყოფილიყო თანახმათ ამ ლითონის ქონისა. ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა – აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილი. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ კლასს: ბურჟუა და მუშა ხალხი, აი ეს ორი ახალი კლასია თანამედროვე ცხოვრების მატარებელი, ესენი, როგორც ახალი პირობების შვილნი, პირდაპირ ებრძვიან წოდებრივ დამოკიდებულებას...”

...ბრძოლა ახალი კლასების ძველ წყობილებასთან **”**და ბრძოლა მათი ერთმანეთთან აი რა შეიცავს თანამედროვე ისტორიის ღერძს. მაშასადამე, დღევანდელი ეროვნული აღორძინება არის ამ ორ კლასთა აღორძინება, ეს კლასთა განხეთქილებაა, რაც ავითარებს მათში მეტ შრომას და ენერჯიას, აუკეთესებს საბრძოლველ იარაღებს დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული ხელოვნებით, რომ მითი ასე განახლებულ გაახალგაზრდავებული ერთმანეთს შეებრძოლონ. მოშალეთ ეს ბრძოლა და მოიშლება ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ წარმატება. აშკარაა, კლასთა ბრძოლა – ეს ისტორიის უდიდესი ჩარხია. ჩვენ ამ გზაზე შევდექით და ჩვენი აქედან გამომვარდნა, სხვა გზისკენ გადასვლა, ადამიანის ყოველ ღონეს აღემატება...”

საითკენაც კი მიიხედავთ, სოფელია ეს თუ ქალაქი, **”მრენველობა თუ მეურნეობა, ყველგან ერთი და იმავე ძირითად მიდრეკილებას ვხედავთ: შრომის განვითარებამ ერთი მხრით დააყენა კაპიტალისტ-მრენველი და კაპიტალისტ-მეურნე, ხოლო მეორე მხრით პროლეტარი-მრენველი და პროლეტარი-მეურნე. ეს პროცესი ჯერ კიდევ არსად არ არის დასრულებული, ჩვენ მხოლოდ ახლა შევდექით ამ გზაზე და საშინელი სისწრაფით წინ მივექანებით. რამდენად ჩვენი ნაციონალური შრომა ვითარდება, ძალა და ენერჯია მატულობს, რამდენად ჩვენ ამ პროცესს ჩქარა ვაკეთებთ, იმდენად ჩვენ ვევროპიელდებით ეკონომიურად, იმდენად ჩვენი გონებრივი გაევროპელება აუცილებელია. ხოლო ამ გაევროპელების პირველი მცნებაა შრომის წარმომადგენელთა ერთად დგომა და თავისი ინტერესებისათვის საკუთარი ძალდონით ბრძოლა. ჩვენი ნაციონალური ზრდა-წარმატებაც ერთიანად ამ პროცესში მდგომარეობს, ამას გარეთ არ არის არავითარი მოძრაობა, არავითარი მოვლენა, ყოველივე ამისანა არის შეკავშირებული, ყოველივე ამით და ამაში იბადება, ამით და ამაში იხსნება“<sup>1</sup>.**

1898 წლიდან სოციალ-დემოკრატები, „კვალის“ საშუალებით პოლიტიკური იდეების გავრცელების გარდა, დაკავებული იყვნენ მუშათა წრეების პირველი გამოსვლების ორგანიზებით. სოციალ-დემოკრატმა მუშებმა დაიწყეს 1 მაისის, როგორც მშრომელთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა

<sup>1</sup> გაზ. კვალი, 1898 წლის 1-18 იანვარი, №1, №2, №3 და №4

ნა და გაფიცვების ორგანიზება. ამ პროცესმა ხელისუფლება შეაშფოთა და სამილიციო კონტროლი დაუნესა არაერთ აქტივისტს. ოხრანკამ დაარბია 1899 და 1900 წლების საპირველმასისო გამოსვლები. მუშათა მიძიმე ხვედრზე ღიად დაინყო წერა „კვალმა“ და სხვა გამოცემებმა.<sup>1</sup>

1901 წელს, ცენზურის გამკაცრების შემდეგ, ჟორდანიას სამილიციო დევნის მსხვერპლი აღმოჩნდა, გაზეთს კი დახურვის საფრთხე დაემუქრა. ჟორდანიას შემდეგ გაზეთს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ახალგაზრდა ლიდერი ირაკლი წერეთელი<sup>2</sup> (გიორგი წერეთლის ვაჟი) და ყოფილი რედაქტორის, გიორგი წერეთლის ქვრივი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი<sup>3</sup> ხელმძღვანელობდნენ. 1904 წელს საიმპერიო ხელისუფლებამ გაზეთი საბოლოოდ დახურა.

1900-1901 წლებში გაზეთ „კვალის“ ფურცლებიდან ნოე ჟორდანიას ღიად უპირისპირდებოდა ქართულ ეროვნულ-ბურჟუაზიულ გამოცემებს, განსაკუთრებით კი „ივერიას“ და უშუალოდ ილია ჭავჭავაძეს, ეს დაპირისპირება დასაწყისში ნმინდად იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა, თუმცა არაერთი ურთიერთგამოხმაურების შემდეგ პიროვნული დაპირისპირების ნიშნებიც მკაფიოდ გამოჩნდა. ეს პოლემიკა ფაქტობრივად ცენზურის მიერ „კვალის“ დროებით დახურვამ შეაჩერა.

1902-1903 წლებში ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა,

<sup>1</sup> საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933, გვ. 12-13

<sup>2</sup> ირაკლი წერეთელი (1881-1959) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, გაზეთ „კვალის“ რედაქტორი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფისა და შინაგან საქმეთა მინისტრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე.

<sup>3</sup> ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932) – მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი, გაზეთ „კვალის“ რედაქტორი.

შიდა წინააღმდეგობების მიუხედავად, დაიწყო დაახლოება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რაც, საბოლოოდ, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან გაერთიანებით დასრულდა. თუმცა ნოე ჟორდანიას შემდეგში ლიად წერდა, რომ როგორც ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი შეერთების პროცესში არ მონაწილეობდა და, პირიქით, სკეფსისით უყურებდა ამ პროცესს. 1902 წელს ის დაპატიმრებული იყო „კვალში“ საქმიანობის გამო. ჟორდანიას თქმით, მისი პესიმისტური განწყობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან შეერთების მიმართ გამომდინარეობდა იქიდან, რომ რუს სოციალ-დემოკრატებს არც საგლეხო საკითხი აინტერესებდათ და, მით უფრო, არც ეროვნული საკითხი, ეს თემები კი ქართველი სოციალისტებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. ჟორდანიას შეფასებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები იდეოლოგიურადაც განსხვავდებოდნენ რუსი თანაპარტიელებისაგან<sup>1</sup>. ქართული სოციალ-დემოკრატიის მკვლევრის, პროფესორ სტივენ ჯონსის შეფასებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები თითქმის მუდმივად ევროპელ სოციალ-დემოკრატთა ზეგავლენას განიცდიდნენ და იდეური კავშირი მათთან უფრო ჰქონდათ, ვიდრე რუს სოციალ-დემოკრატებთან<sup>2</sup>. 1903 წლის შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია სრულად შეუერთდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. 1903 წლის ლონდონის კონფერენციაზე რსდმპ „ბოლშევიკურ“ და „მენშევიკურ“ ფრაქციებად დაიყო. ქართველ სოციალ-დემოკრატთა დიდი ნაწილი რსდმპ-ის ფრაქციულ

<sup>1</sup> ნოე ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990, გვ. 40

<sup>2</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 87, 100



გიორგი პლехანოვი



ვლადიმერ ლენინი



არჩილ ჯორჯაძე

ბრძოლებში „მენშევიკურ ფრაქციას“ მიემხრო<sup>1</sup>. ნოე ჟორდანის მეთაურობით ქართველ სოციალ-დემოკრატთა დიდი ნაწილი ეთანხმებოდა მარტოვისა და პლехანოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლენინისეული ხედვები – პარტიაში ცენტრალიზმის შემოღება და შიგნით ორგანიზებული რევოლუციური ჯგუფის, „ავანგარდის“ შექმნა არ მოუტანდა სიკეთეს მუშათა კლასს, არც თავად პარტიას და მოკლავდა პარტიულ დემოკრატიზმს. ამასთან, ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის უფრო მისაღები აღმოჩნდა „მენშევიკთა“ ხედვები, არალეგალურ საქმიანობასთან ერთად გაეგრძელებინათ ლეგალური საქმიანობა – გამოეცათ ლეგალური ყურნალ-გაზეთები (რომლებსაც ხშირად ხურავდა საიმპერიო რეჟიმი), მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის არჩევნებში (ამ დროს უკვე გააჩნდათ გამოცდილება ბათუმში, სადაც საბჭოს წევრად ნიკოლოზ ჩხეიძე აირჩიეს). ქართველ სოციალ-დემოკრატთა საბოლოო არჩევანზე, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა მათი ლიდერის, ნოე ჟორდანის, გადანყვეტილებამაც, რომელიც აკრიტიკებდა ლენინისეულ ცენტრალ-

<sup>1</sup> საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933, გვ. 20-21

იზმს და მიიჩნევდა, რომ ეს მიდგომა პარტიულ დიქტატურას დაამყარებდა.

1904 წელს ქართულ პოლიტიკურ ველზე კიდევ ერთი სოციალისტური მიმართულების პოლიტიკური ჯგუფი გამოჩნდა. 1890-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ საზოგადოებრივ წრეებში გამოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც, ერთი მხრივ, სიმპათიები გააჩნდათ სოციალიზმის იდეების მიმართ,



სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო (ბლოკისტური) პარტიის პირველი კონფერენცია ჟენევაში. დგანან სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი. სხედან არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი და გიორგი დეკანოზიშვილი

მეორე მხრივ კი, გაურბოდნენ მის ინტერნაციონალურ ხასიათს. ამ ჯგუფის ჩამოყალიბება 1895 წლიდან გადასახლებიდან დაბრუნებულმა ყოფილმა ხალხოსანმა გიორგი ლასხიშვილმა დაიწყო. შემდგომში ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის ლიდერი მასთან ერთად გახდა არჩილ ჯორჯაძე. ეროვნული მიმდინარეობის სოციალისტური იდეებით მოქმედი ახალგაზრდები ჯერ ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ მუშაობდნენ, შემდეგ კი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო მოიყარეს თავი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ჯგუფის წევრებს ჯერ ახალგაზრდა ივერიელებად მოიხსენიებენ, ხოლო შემდეგ – ცნობისფურცლელებად, რადგან ისინი გარკვეულ ეტაპამდე სახელით თვითიდენტიფიკაციას ერიდებოდნენ.

1904 წელს იგივე ახალგაზრდების ჯგუფმა პოლიტიკური პარტიის დაარსება განიზრახა. მათ ჯერ 1903 წელს პარიზში ქართულად და ფრანგულად გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა დაიწყეს<sup>1</sup>, შემდეგ კი ჟენევაში პარტიული კონფერენცია გამართეს, სადაც სხვადასხვა მიმდინარეობის პოლიტიკოსები, მათ შორის ნოე ჟორდანიაც მიიწვიეს. საბოლოოდ, კონფერენციის შემდეგ შეიქმნა „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“<sup>2</sup>. პარტია აერთიანებდა ნაციონალისტურად (ავტონომისტურად) განწყობილ სოციალისტებს, ანარქისტებსა და ნაციონალისტებს (ეროვნულ-დემოკრატიებს). პარტია 1905 წლიდან საარჩევნო კონკურენციაში იყო სოციალ-დემოკრატებთან, აკრიტიკებდა მათ დამოკიდებულებას ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის საკითხის შესახებ. სოციალისტ-ფედერალისტებმა არჩევნებში ორჯერ მოახერხეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევ-

<sup>1</sup> დიმიტრი შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში – ფედერალისტები, თბილისი, არსი, 1993. გვ. 103

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19

რის მანდატის მოპოვება – 1906 წელს იოსებ ბარათაშვილმა<sup>1</sup>, 1912 წელს კი – ვარლამ გელოვანმა<sup>2</sup>. პარტიას შემდგომ წლებში გამოეყენენ ანარქისტული და ნაციონალისტური ფრაქციები. ეს პოლიტიკური ძალა, თავისი ელექტორალური გავლენებით მეორე ადგილზე იყო ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალ-დემოკრატების შემდგომ<sup>3</sup>. პარტიის ლიდერები და მათი პრესის ორგანოები მუდმივად იღვენებოდა საიმპერიო ხელისუფლების მიერ. სოციალ-ფედერალისტთა დასაყრდენს ძირითადად ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია წარმოადგენდა. მათ მუშებთან ნაკლები კავშირი ჰქონდათ, თავადებისა და მსხვილი ბურჟუაზიისათვის კი ისინი ხშირად მიუღებლები იყვნენ. ისინი თავიანთ იდეოლოგიას არ უკავშირებდნენ მარქსისეულ კლასთა ბრძოლის თეორიას და ძირითადი სამოქმედო პროგრამად 1901 წელს არჩილ ჯორჯაძის მიერ გამოქვეყნებულ „საერთო მოქმედების ნიადაგს“ ეყრდნობოდნენ<sup>4</sup>.

1904-1917 წლებში სოციალ-დემოკრატებსა და ნაციონალისტური მიმართულების პოლიტიკურ ჯგუფებს შორის პოლემიკამ საკმაოდ მწვავე სახე მიიღო. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერები და ჯერ კიდევ 1917 წლამდე სისტემურად ერთი პარტიის ქოლგის ქვეშ ჩამოუყალიბებელი ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის პოლიტიკოსები

---

<sup>1</sup> იოსებ ბარათაშვილი (1874-1937) – პოლიტიკოსი, იურისტი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1920-იან წლებში საბჭოთა სასამართლოებში იცავდა პოლიტიკურ პატიმრებს. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> ვარლამ გელოვანი (1878-1915) – პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

<sup>3</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიხ ბოლის ფონდი, 2021, გვ. 21

<sup>4</sup> დიმიტრი შველიძე, პოლიტიკურ პარტიების წარმოშობა საქართველოში – ფედერალისტები, თბილისი, არსი, 1993. გვ. 57

აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატთა იდეებს კლასთა ბრძოლის საკითხების გააზრების თვალსაზრისით. ფედერალისტები და ნაციონალისტები თვლიდნენ, რომ ისედაც მცირერიცხოვან ერში კლასთა ბრძოლის იდეის პროპაგანდა გამოიწვევდა ერის დანაწილებას. ფედერალისტები ემხრობოდნენ კლასთა თანამშრომლობის იდეას. 1900-იან წლებში არც თავად ქართველი სოციალ-დემოკრატები აყენებდნენ წინა პლანზე კლასთა შორის ბრძოლის საკითხს და უფრო მეტად კონცენტრირდებოდნენ იმპერიის დემოკრატიზაციის საჭიროებაზე, გლეხთათვის მიწების გადაცემაზე, მუშათა უფლებებსა და განათლების ხელმისაწვდომობაზე.

ნაციონალური და სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების პოლიტიკოსები სოციალ-დემოკრატებს განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ „ნაციონალურ საკითხში“, რადგანაც 1900-იანი წლებიდან გააქტიურდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოსთვის კულტურული ან/და ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მინიჭების საკითხი.

სოციალ-დემოკრატები (ძირითადი ბირთვი და არა მთელი პარტია) დიდწილად უარყოფდა ავტონომიის მოთხოვნას და ემხრობოდა დეცენტრალიზაციასა და იმპერიის ყველა კუთხისათვის ფართო თვითმმართველობის მინიჭებას. ნოე ჟორდანიას ხედვებმა ავტონომიასა და, ზოგადად, ნაციონალისტურ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ განიცადა ტრანსფორმაცია, თუმცა ძირითადად ის უარყოფდა ნაციონალური ავტონომიის საკითხს იმ მიზეზით, რომ ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მრავლად ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფები და ეს ავტონომია ეთნიკურ ჯგუფებს შორის შესაძლოა დაპირისპირების საგანი გამხდარიყო.

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1905 წლის რევოლუციასა და გურიის გლეხთა მოძრაობას. 1905 წელს პეტერბურგში დაწყებული რევოლუციის ტალღამ საქართველომდეც მოაღწია. რევოლუციურ ალში გაეხვია თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, სოხუმი, ჭიათურა, შორაპნის მაზრა და, განსაკუთრებით, ოზურგეთის მაზრის სოფლები. 1902 წლიდან 1905 წლამდე ბათუმში მიმდინარე მუშათა გაფიცვების ფონზე საიმპერიო რეჟიმმა მკაცრ ზომებს მიმართა და, ფაქტობრივად, ქალაქიდან განდევნა მუშების უდიდესი ნაწილი. თბილისში ხელისუფლებამ რევოლუციის ორომტრიალში ეთნიკური შუღლი გააღვივა, სომხებსა და მუსლიმებს (აზერბაიჯანელებს) შორის ფაქტობრივად საომარი მდგომარეობა ჩამოაგდო. სოციალ-დემოკრატებმა თბილისში მიმდინარე კონფლიქტში ერთგვარი მედიატორის როლი იტვირთეს, მათმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა ალაგმა სომეხ-მუსლიმთა დაპირისპირება. ამავე პერიოდში გურიაში რევოლუციური მოძრაობა წარმატების გზაზე იდგა<sup>1</sup>.

გურია 1905 წელს გახდა სოციალ-დემოკრატიული, ლამის პირდაპირი დემოკრატიით მართული პოლიტიკური ნებობების ერთგვარი მოდელი. გურულმა გლეხებმა და ბათუმიდან გამოდევნილმა გურულმა მუშებმა, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიით, თვეების განმავლობაში შეძლეს ადგილობრივი დემოკრატიული ხელისუფლებისა და მმართველობითი სისტემის შენარჩუნება. გურულებმა ფაქტობრივად უარყვეს საიმპერიო ხელისუფლება, შემოიღეს დემოკრატიული მმართველობა, ქალები ჩაერთნენ პოლიტიკურ მოძრაობებში. გურიის სოფლის მცხოვრებლებმა შეიმუშავეს

---

<sup>1</sup> საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933, გვ. 25



ბენიამინ ჩხიკვიშვილი



გრიგოლ ურატაძე

მანიფესტები (სხვადასხვა სასოფლო თემის მანიფესტი ერთმანეთს ძალიან ჰგავდა), რომლებშიც გაცხადებული იყო იმ პერიოდის პროგრესული იდეები – სქესთა თანასწორობა, უფასო და სავალდებულო განათლება, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გაყოფა, ფართო თვითმმართველობა და პროგრესული გადასახადები. აღნიშნულ მანიფესტებს შორის ყველაზე ცნობილი და პოპულარული გახდა ბახვის თემის მიერ შემუშავებული „ბახვის მანიფესტი“. გურიის გლეხთა მოძრაობას სოციალ-დემოკრატი აქტივისტები, მასწავლებლები და სტუდენტები – ბენია ჩხიკვიშვილი<sup>1</sup>, გრიგოლ ურატაძე<sup>2</sup>, ნოე

<sup>1</sup> ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი (1880-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გურიის რევოლუციური მოძრაობის ლიდერი, მოიხსენიებდნენ „გურიის პრეზიდენტად“, 1917 წელს იყო სოხუმის ქალაქის თავი და ქუთაისის გუბერნატორი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1919-1921 წლებში – თბილისის ქალაქის თავი, საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმის ოლქში. 1921-1924 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, ოკუპირებულ საქართველოში დაბრუნდა აჯანყების ორგანიზებისათვის, საბჭოთა რეჟიმმა დახვრიტა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ.

<sup>2</sup> გრიგოლ (გრემა) ურატაძე (1878-1959) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების დროს.

ხომერიკი<sup>1</sup>, ელისაბედ ბოლქვაძე<sup>2</sup> და სხვები მეთაურობდნენ. გურულების გამოსვლებმა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს სოციალისტების ყურადღება მიიპყრო. არაერთი სტატია, მოგონება და ნიგნი გამოქვეყნდა რუსეთსა და ევროპაში გურიის გლეხთა მოძრაობის შესახებ, მათ შორის ყველაზე ცნობილია იტალიელი ჟურნალისტის, ლუიჯი ვილარის პუბლიკაციები<sup>3</sup>.



ნოე ხომერიკი

გურიის გლეხთა მოძრაობამ ყურადღება მიიქცია ევროპის მემარცხენე ძალებში, გურია იყო ერთგვარი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა ჩართულიყვნენ ჩაგრული გლეხები რევოლუციებსა და გამოსვლებში. მართალია, მარქსისტული გაგებით გლეხები შესაძლოა



ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე

<sup>1</sup> ნოე ხომერიკი (1883-1924) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მინათმოქმედების მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინათ-მოქმედებისა და შრომის მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, 1923 წელს დაბრუნდა ემიგრაციიდან აჯანყების მოსამზადებლად. საბჭოთა „ჩეკამ“ დააპატიმრა და დახვრიტა 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ.

<sup>2</sup> ელისაბედ (ლიზა) ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937) – პოლიტიკოსი, გურიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიის ქალთა ორგანიზაციების ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1926 წელს იყო საბჭოთა საქართველოში არალეგალურად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე. მრავალჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს, დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>3</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 172-173

კონტრრევოლუციური ძალის თანამოაზრეებს წარმოადგენდნენ, თუმცა ქართულ რეალობაში, პირიქით, გლეხებმა იტვირთეს თუნდაც მცირე ხნით წარმატებული რევოლუციის ძირითადი ტვირთი. ამასთან 1890-იანი წლებიდან ქართული სოციალ-დემოკრატიის შემადგენლობაში გლეხები მუდმივად შედიოდნენ, 1900-იან წლებში კი პარტიის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ, რაც საქართველოს მსგავს აგრარულ ქვეყანაში სულაც არ იყო გასაკვირი. პირიქით, ქართველი გლეხები არ იყვნენ საკუთრების მფლობელები, მიწაზე მუშაობისას განიცდიდნენ ფაქტობრივ ჩაგვრას და ამ ჩაგვრის ხარისხით ლამის მრენველობაში ჩართულ მუშებს უთანაბრდებოდნენ.

გურული გლეხების, როგორც რევოლუციური ძალისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასაყრდენის, პრეცედენტმა, მნიშვნელოვანი გამოცხილი ჰპოვა სოციალისტური პარტიების პროგრამებშიც. მანამდე მარქსისტული ხედვებით აღიარებული რევოლუციური ძალის – მუშების – „პროლეტარიატის“, კვალდაკვალ გურიის მოვლენებმა აჩვენა, რომ „ნახევრად-პროლეტარული“ გლეხები არანაკლებ სანდო დასაყრდენია რევოლუციისა და სოციალისტური მოძრაობისთვის. თუმცა, ამ საკითხის განხილვაში ორი ნიუანსი მუდმივადაა გასათვალისწინებელი: 1. გურული გლეხები ფაქტობრივად მიზეზურ საკუთრებას ფლობდნენ, მათ ხელში მიწათა მცირე ნაგლეჯები იყო და ძირითადად დაქირავებული შრომით იღებდნენ სარჩოს, 2. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები დიდწილად გურიიდან იყვნენ და მათი უმრავლესობა გლეხური წარმომავლობის იყო, რაც ზრდიდა სანდოობას პოლიტიკურ ძალასა და რევოლუციაში ჩართულ გლეხებს შორის. აქვე ისიც კიდევ ერთხელ გასათვალისწინებელია, რომ გურული გლეხები ნამდვილად „ნახევრად-პროლეტარები“ იყვნენ, რადგანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დროგამოშვე-

ბით (განსაკუთრებით რევოლუციისა და სადამსჯელო ზომების დანერგვამდე) ბათუმისა და ფოთის პორტებსა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში მუშაობდა, სადაც ისინი აქტიურად ეცნობოდნენ სოციალისტურ თეორიებს, მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებულ კითხვის წრეებსა და სხვა პარტიულ აქტივობებში.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ რამდენჯერმე დააკავა ლამის ყველა პოლიტიკური ლიდერი, დაშალა პოლიტიკური მოძრაობები<sup>1</sup>, გადაწვა და დაანგრია გურია და რევოლუციურ მოძრაობაში ჩართული სხვა მხარეები. 1905 წლის რევოლუციამ, მარცხის მიუხედავად, რუსეთში მოიტანა საკანონმდებლო ორგანოს შეზღუდული არჩევნები.



1906 წლიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს – დუმის

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 192



პირველი სახელმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატები. დგანან (მარცხნიდან) – ივანე გომართელი და სიმონ წერეთელი; სხედან – იოსებ ბარათაშვილი, ნოე ჟორდანიას, სერგი ჯაფარიძე და ისიდორე რამიშვილი

არჩევნებში<sup>1</sup>. 1906 წელს სათათბიროს დეპუტატები გახდნენ ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი<sup>2</sup>, სიმონ წერეთელი<sup>3</sup> და სერგი ჯაფარიძე<sup>4</sup> (მათთან ერთად სოციალისტ-ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი). სახელმწიფო სათათბირო იმპერატორმა მალევე დაითხოვა და დეპუტატების

<sup>1</sup> ბოლშევიკები გამოდნენ არჩევნებში მონაწილეობას.

<sup>2</sup> ივანე გომართელი (1876-1938) – ექიმი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მწერალი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი („ალიონის“ ფრაქციის წევრი), რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

<sup>3</sup> სიმონ წერეთელი (1870-?) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

<sup>4</sup> სერგი ჯაფარიძე (1870-1937) – პოლიტიკოსი, იურისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დახვრიტეს 1937 წელს.

ნინაალმდეგ საქმე აღძრა. კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა მეორე სახელმწიფო სათათბიროს 7 ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატის (მეორე სათათბიროში 7 სოციალ-დემოკრატი იყო არჩეული: ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე<sup>1</sup>, კონსტანტინე კანდელაკი<sup>2</sup>, სევერიან ჯუღელი<sup>3</sup>, გერასიმე მახარაძე<sup>4</sup>, ჭოლა ლომთათიძე<sup>5</sup> და ნიკოლოზ კაციაშვილი<sup>6</sup>, ასევე თბილისელი სოციალ-დემოკრატი არშაკ ზურაბოვი<sup>7</sup>) ბედი: ირაკლი წერეთელი დააპატიმრეს და 1917 წლამდე გადასახლებაში იყო, არჩილ ჯაფარიძე და სევერიან ჯუღელი პატიმრობაში გარდაიცვალნენ, სხვა დეპუტატებს კი ხანგრძლივი პატიმრობები მიესაჯათ. 1908 და 1912 წელს სათათბიროში ორჯერ

<sup>1</sup> არჩილ ჯაფარიძე (1875-1908) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, 1907 წლიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ დააპატიმრეს, გარდაიცვალა საპყრობილეში.

<sup>2</sup> კონსტანტინე კანდელაკი (ეფემის ძე) (1879-1938) (\* კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკი იყო სხვა პროვინება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>3</sup> სევერიან ჯუღელი (1877-1909) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, 1907 წლიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ დააპატიმრეს, გარდაიცვალა საპყრობილეში.

<sup>4</sup> გერასიმე მახარაძე (1881-1937) – პოლიტიკოსი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთში. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>5</sup> ჭოლა ლომთათიძე (1879-1915) – მწერალი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, 1907 წლიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ დააპატიმრეს და გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

<sup>6</sup> ნიკოლოზ კაციაშვილი (1875-1919) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

<sup>7</sup> არშაკ ზურაბოვი (1873-1920) – პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რუსეთის მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

აირჩიეს ნიკოლოზ ჩხეიძე, 1908 წელს მასთან ერთად აირჩიეს ევგენი გეგეჭკორი<sup>1</sup>, ხოლო 1912 წელს – აკაკი ჩხენკელი<sup>2</sup>.

ოთხივე სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ და მუშათა ფრაქციებს ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი და ნიკოლოზ ჩხეიძე თავმჯდომარეობდნენ. 1906-1917 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონი მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას ხმის მიცემის უფლების გარეშე ტოვებდა, ყველა გამართულ არჩევნებში ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამარჯვებას სოციალ-დემოკრატები აღწევდნენ. ხშირად ისინი ახერხებდნენ ქართული ადმინისტრაციული ერთეულებისათვის განსაზღვრული მანდატების 70-80%-ის მოპოვებას. ამავე პერიოდში რუსეთის იმპერიის ციხეები და გადასახლების ადგილები სავსე იყო ქართველი სოციალ-დემოკრატებით. არაერთხელ დააპატიმრეს ნოე ჟორდანიაც. კარლ კაუცკი წერდა, რომ ჟორდანია, პლენხანოვისგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიაში რჩებოდა და ისე იბრძოდა რეჟიმის წინააღმდეგ<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ევგენი გეგეჭკორი (1882-1954) – პოლიტიკოსი, დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის მარტიდან ემიგრაციაში მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

<sup>2</sup> აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – პოლიტიკოსი, დიპლომატი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი, ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი (შინაგან საქმეთა კომისარი), ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

<sup>3</sup> კარლ კაუცკი, საქართველო – გლენტა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 66

1905 წლის რევოლუციის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი საქმიანობის გარკვეული ლეგალიზაციის უფლება მიიღეს, თუმცა მცირე ხნით. 1906-1907 წლებში სოციალ-დემოკრატების ორგანიზებით შეიქმნა პროფესიული კავშირები, მანამდე ფარულად მომუშავე წრეები და ბიბლიოთეკები გაფართოვდა, შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტები<sup>1</sup>. თუმცა რეჟიმი მალევე გამკაცრდა – დაიხურა სოციალ-დემოკრატიული და სხვა მიმდინარეობის გაზეთები, შევიწროვდა სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობა, ფაქტობრივად, შეიზღუდა და გაუქმდა პროფესიული კავშირები, გაძლიერდა პოლიტიკურ აქტივისტთა დევნა და გახშირდა დაპატიმრების პრაქტიკა. 1907-1917 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა და გავლენიან წევრთა უდიდესი ნაწილი მუდმივად დევნისა და დაპატიმრების რეჟიმში იყვნენ მოქცეულნი.

1903-1918 წლებში ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დამოუკიდებლად აღარ არსებობდა და ის რუსეთის სდმპ-ის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს წარმოადგენდა, თუმცა მის „მენშევიკურ“ ფრაქციაში, ფაქტობრივად, სრულად ქართველები შედიოდნენ (მცირე რაოდენობით სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები). 1908 წელს ქართველ „მენშევიკ“ სოციალ-დემოკრატებს შორის განხეთქილება მოხდა, მცირე ჯგუფმა, ძველი რევოლუციონერის, ვლადიმერ დარჩიაშვილისა<sup>2</sup> და ივანე გომართელის მეთაურობით, დაიწყო ერთგვარი ავტონომისტური გაზეთ „ალიონის“ გამოცემა. ჯგუფი თანაპარტიელთა ცენტრალურ ხაზს აკრიტიკებდა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით და საქართველოს ავტონომიას ემხ-

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 260

<sup>2</sup> ვლადიმერ დარჩიაშვილი (1872-1916) – ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ჟურნალ „ალიონის“ რედაქტორი.

რობოდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში<sup>1</sup>. ზოგადად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერები ნაციონალური საკითხის შესახებ იშვიათად თანხმდებოდნენ. ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი და ირაკლი წერეთელი ხშირად წერდნენ ნაციონალური საკითხის გარშემო, მათი ნაწერები კი ძალიან განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან.

1908-1917 წლებში ქართველ სოციალ-დემოკრატთა (მენშევიკთა) შორის არსებობდა მცირე შიდა დაპირისპირებები, თუმცა ისინი ერთიანობას და უდიდეს პოლიტიკურ გავლენას ინარჩუნებდნენ. 1917 წელს „ალიონის“ ფრაქცია ნაწილობრივ გავიდა პარტიიდან და ღიად დაიწყო პარტიის კრიტიკა, თუმცა 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ „ალიონელები“ კვლავ დაუბრუნდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას<sup>2</sup>.

1903 წლიდან მოყოლებული, მართალია, ფორმალურად საქართველოში მოქმედი „ბოლშევიკური“ და „მენშევიკური“ მიმდინარეობის ფრაქციები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტში ერთიანდებოდნენ, თუმცა მათ ერთობას იდეური დაპირისპირებების გამო რეალობაში ნაკლებად ესხმებოდა ხორცი. 1900-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ორივე ფრაქციას ხშირად სხვადასხვა პრესის ორგანო გააჩნდათ. მართალია, ერთმანეთის ჟურნალ-გაზეთებში დროდადრო აქვეყნებდნენ სტატიებს, თუმცა თავად ამ გამოცემებს მკაფიო „ბოლშევიკური“ და „მენშევიკური“ მიმართულებები ჰქონდათ. იდეური დაპირისპირება კვლავ პარტიის ცენტრალიზმისა და

<sup>1</sup> სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, გვ. 290

<sup>2</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021, გვ. 16

დემოკრატიზმის ხაზზე, საიმპერიო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობასა და ბოიკოტირებაზე გადიოდა. ბოლშევიკები, მენშევიკ სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, არ იღებდნენ მონაწილეობას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ბოიკოტს უცხადებდნენ რეჟიმს და კვლავ არალეგალურ საქმიანობას ეწეოდნენ. მენშევიკები, მართალია სისტემატურად მონაწილეობდნენ არჩევნებში, სხვადასხვა დროს იყენებდნენ ლეგალურ საშუალებებს – პროფესიული კავშირების ორგანიზებას, სახალხო უნივერსიტეტების შექმნას, ლეგალური პრესის ორგანოების დაარსებას, მუშათა კლუბების ფორმირებას, – თუმცა, ასევე, რევოლუციისა და შემდგომ პერიოდში არალეგალურ საქმიანობაზეც არ ამბობდნენ უარს.

1917 წლის 23 თებერვალს (ახალი სტილით 8 მარტს) პეტერბურგში რევოლუცია დაიწყო. მალევე საიმპერიო ხელისუფლება დაემხო. პეტერბურგში მყოფმა ქართველმა სოციალ-დემოკრატმა სტუდენტმა გოგიტა ფალავამ<sup>1</sup> საქართველოში თანაპარტიელებს ამცნო – „მთავრობაძე გარდაიცვალა“. საიმპერიო ხელისუფლება სრულად ჩამოიშალა, ძალაუფლება ფორმალურად სახელმწიფო სათათბიროსა და დროებით მთავრობას გადაეცა, თუმცა ფაქტობრივად ძალაუფლებას დიდწილად მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების საბჭოები ფლობდნენ, სადაც ძირითადად სოციალისტური მიმდინარეობის პარტიები დომინირებდნენ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციისას ქართველი სოციალ-დემოკრატები პროცესების სათავეში აღმოჩნდნენ,

<sup>1</sup> გოგიტა ფალავა (1895-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, 1921 წლის თებერვალ-მარტში იბრძოდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ. 1922 წელს იყო ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრის – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელი და ლიდერი. დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე ჯერ პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, ხოლო შემდგომ სრულიად რუსეთის საბჭოების გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, ირაკლი წერეთელმა კერენსკის დროებითი ხელისუფლების მინისტრის პორტფელი მიიღო. ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, ამავდროულად სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ საგუბერნიო და საქალაქო მუშათა საბჭოებში და დროებითი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში.

#### **რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ *ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990*
- ◆ *სტივენ ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში: სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018*
- ◆ *დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში – ფედერალისტები, თბილისი, არსი, 1993*
- ◆ *საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933*
- ◆ *ნოე ჟორდანია, ეკონომიკური წარმატება და ეროვნობა, მემარცხენეობის ქრესტომათია, ტომი I, თბილისი, თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015*

## VII თავი – სოციალ-დემოკრატიული იდეები მოქმედებაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი სოციალ-დემოკრატები ახალი მმართველობის სათავეში აღმომჩნდნენ, როგორც ცენტრალურ დონეზე, ჩხეიძე-ნერეთლის სახით, ისევე ამიერკავკასიის დონეზე, დროებითი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს, ე.წ. „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ – (Особый Закавказский комитет (ОЗАКОМ)) წევრად აკაკი ჩხენკელის ყოფნის სახით. ამავე ორგანოს წევრი იყო სოციალისტ-ფედერალისტი ივანე (კიტა)<sup>1</sup> აბაშიძე<sup>2</sup>.

1917 წლის მარტში თბილისში „მენშევიკური“ და „ბოლშევიკური“ მიმდინარეობის სოციალ-დემოკრატებმა სცადეს გამაერთიანებელი კრების გამართვა. ეს ტენდენცია სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ დონეზეც მიმდინარეობდა. თუმცა 1917 წლის აპრილშივე გამოიკვეთა, რომ ამ ორ მიმდინარეობას შორის იდეური დაპირისპირება არ ტოვებდა შერიგების შესაძლებლობას და, ფაქტობრივად, ეს მცდელობები სრული გათიშულობით დასრულდა<sup>3</sup>, ძირითადი დაპირისპირების საგანი კვლავინდებურად ცენტრალიზმისა და დემოკრატიზმის საკითხი აღმოჩნდა, ამასთან გამოიკვეთა, რომ უკვე ჩამოშლილ იმპერიაში „ბოლშევიკები“ ემხრობოდნენ სწრაფ რევოლუციურ ცვლილებებს

<sup>1</sup> ივანე (კიტა) აბაშიძე (1870-1917) – პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი.

<sup>2</sup> დიმიტრი შველიძე, კიტა აბაშიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 8-9

<sup>3</sup> შოთა ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი, მეცნიერება, 2001, გვ. 23

და მარქსისეული პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, მაშინ, როდესაც „მენშევიკები“ დემოკრატიზაციის საკითხს, დამფუძნებელი კრების მოწვევას და საკანონმდებლო ორგანოს ხელით სოციალურ გარდაქმნებს ემხრობოდნენ. „მენშევიკთა“ ხედვები ახლოს იყო ევროპაში ამ დროს გაბატონებულ ლასალიანურ მიმდინარეობებთან.

მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც ოქტომბრის გადატრიალება მოხდა და ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, მენშევიკი სოციალ-დემოკრატები ღიად გამოხდნენ და აკრიტიკებდნენ ბოლშევიკურ გადატრიალებას და რუსეთში არადემოკრატიული რეჟიმის დამყარებას<sup>1</sup>. გადატრიალების შემდეგ რუსი ბოლშევიკები თავიანთ თავს უკვე „კომუნისტებად“ მოიხსენიებენ, რაც პარტიის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების) შემდეგ ქართული სოციალ-დემოკრატია ფაქტობრივად სრულიად ჩამოშორდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (მათ შორის რუსეთში უკვე დევნილ მენშევიკურ ფრაქციასაც). ფორმალურად ჯერ კიდევ არსებობდა რსდმპ-ის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, თუმცა 1917 წლის ბოლოს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატთა მიერ წარდგენილი საკანდიდატო სი-დანაც ნათლად ჩანს, რომ ეს კომიტეტი 80-90%-ით ქართველებითაა დაკომპლექტებული<sup>2</sup>.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიელი (ძირითადად ქართველი) სოციალ-დემოკრატები, ფაქტობრივად, ჩამოშორდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრა-

<sup>1</sup> შოთა ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბილისი, მეცნიერება, 2001, გვ. 23-24

<sup>2</sup> გაზ. ერთობა, 1917 წლის 9 ნოემბერი, N192, გვ. 3

ტიულ მუშათა პარტიას და რეგიონში დამოუკიდებლად გააგრძელეს მუშაობა, თუმცა იურიდიულად ქართველი სოციალ-დემოკრატები რსდმპ-ის წევრებად კიდევ ლამის ერთი წლის განმავლობაში ითვლებოდნენ. 1918 წლის ნოემბერში თბილისში გამართული ყრილობის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ოფიციალურად გამოეყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და უკვე იურიდიულადაც დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა.

თავდაპირველად ქართველი სოციალ-დემოკრატები ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ერთად მართავდნენ ამიერკავკასიას და ცდილობდნენ რეგიონის წინაშე არსებული მძიმე სამხედრო (მათ შორის ხშირად ეგზისტენციალური), პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამონწვევების დაძლევას. 1917 წლის 15 ნოემბერს ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის დროებითი მმართველობითი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის თავმჯდომარეადაც სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი აირჩიეს. კომისარიატის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი და სოციალისტ-ფედერალისტი შალვა ალექსი-მესხიშვილი<sup>1</sup>. კომისარიატის სამივე ქართველი წევრი სოციალისტურ პარტიებს წარმოადგენდა<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები, თავიანთი ინტერნაციონალისტური პოლიტიკიდან გამომდინარე, ემხრობოდნენ ერთიანი დემოკრატიული რუსეთის შექმნას და,

<sup>1</sup> შალვა ალექსი-მესხიშვილი (1884-1960) – იურისტი, პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი იუსტიციის მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, როგორც ადვოკატი, ხშირად იცავდა პოლიტიკურ პატიმრებს.

<sup>2</sup> შოთა ვადაჭკორია, ამიერკავკასიის სემი, საქართველოს-დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 21-22

უკიდურეს შემთხვევაში, ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის ერთა შორის დიდი განხეთქილება იყო. სოციალ-დემოკრატებმა და სხვა ქართულმა პარტიებმა 1917 წლის აპრილიდან დაიწყეს საქართველოს ინტერპარტიული კრებების გამართვა, რომელმაც მოამზადა საქართველოს ეროვნული ყრილობა. 1917 წლის 19-22 ნოემბერს თბილისში საქართველოს ეროვნული ყრილობა გაიმართა, რომელზეც აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს 67 წევრი და 61 კანდიდატი. არჩეულ წევრთაგან 26 სოციალ-დემოკრატი იყო, 10 – ფედერალისტი, 7 – სოციალისტ-რევოლუციონერი, 4 კი – „ალიონელი“ სოციალ-დემოკრატი. გარდა ამისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქიდან და ოსური თემიდან არჩეული იქნა სხვადასხვა მიმდინარეობის 6 სოციალისტი წევრი. 67-კაციან საბჭოში 53 წევრი სოციალისტურ პარტიებს წარმოადგენდა, ეროვნული საბჭოს მთავარი ორგანოს – აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 6 წევრიდან 5 სოციალისტი იყო, პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტს კი ნოე ჟორდანიას იკავებდა. ეროვნულ საბჭოში აირჩიეს ქალი წევრებიც: მინადორა ტოროშელიძე<sup>1</sup>, მარიამ ჩხეიძე<sup>2</sup> და ოლლა სანიკიძე-ვალაბუევა<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967) – ექიმი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ჟენევაში იყო პლენარის მოსწავლე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალთა ორგანიზაციის ლიდერი. პოლიტიკური წითელი ჯვრის ხელმძღვანელი, საბჭოთა რეპრესიებს შეეწირა მისი კომუნისტი ქმარი და ვაჟები, 12 წელი იმყოფებოდა გადასახლებაში.

<sup>2</sup> მარიამ ჩხეიძე (1888-1937) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) წევრი. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>3</sup> ოლლა სანიკიძე-ვალაბუევა (1883-???) – პოლიტიკოსი, პედაგოგი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს.

მიუხედავად დიდი სკეფსისისა, სოციალ-დემოკრატებმა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს და ქართულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ხმების 70-75% მოიპოვეს, თუმცა რუსეთის დამფუძნებელ კრებას არც უმოქმედია, ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება 1918 წლის 5 იანვარს გარეკეს. დამფუძნებელი კრების გარეკვის მიზეზი ლენინისა და კომუნისტებისათვის კრების არჩევნების არასასურველი შედეგი აღმოჩნდა, რადგანაც არჩევნებში პირველ ადგილზე რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია გავიდა, ხოლო კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას მხოლოდ მესამე ადგილი და სრული უმცირესობა ერგო წილად.



აკაკი ჩხენკელი



ნოე ჟორდანია

1918 წლის იანვარში ნოე ჟორდანიამ წამოაყენა იდეა, ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატებს გაემართათ თათბირი და შეექმნათ ამიერკავკასიის დროებითი წარმომადგენლობითი-საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (სახელწოდება ინსპირირებული იყო პოლონეთის სეიმით). 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმის პირველი სხდომა გაიმართა, სეიმში ყველაზე დიდი ფრაქცია სოციალ-დემოკრატებს ჰყავდათ და თავმჯდომარედაც ნი-



ნოე რამიშვილი

კოლოზ ჩხეიძე აირჩიეს. სეიმში აზერბაიჯანულ და სომხურ პარტიებთან ერთად შედიოდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები (ეთნიკურად რუსი, ქართველი და სომეხი) და 1 წარმომადგენელი სოციალისტ-ფედერალისტთაგან<sup>1</sup>. ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და ფრონტის ხაზი უშუალოდ ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებზე გადიოდა, სოციალ-დემოკრატებისა და სხვა ამიერკავკასიური პარტიების მიერ მართულ რეგიონს ეგზისტენციალური საფრთხეები ემუქრებოდა ოსმალეთის იმპერიის მიერ. 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, ახალი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ კი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი დაამტკიცა. მთავრობაში კი ჩხენკელის გარდა კიდევ 3 სოციალ-დემოკრატი შეიყვანეს – ჩხენკელი თავმჯდომარეობასთან ერთად საგარეო საქმეთა მინისტრობას ითავსებდა, ნოე რამიშვილი



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის 26 მაისი


<sup>1</sup> შოთა ვადაჭკორია, ამიერკავკასიის სეიმი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018. გვ. 22-23

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა, ნოე ხომერიკი – მინათმოქმედების, ხოლო გრიგოლ გიორგაძე<sup>1</sup> სახედრო მინისტრი იყო<sup>2</sup>.

გართულებული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობისა და ამიერკავკასიის ერთა შორის არსებული ანტაგონიზმის გამო ამიერკავკასიის ფედერაციულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სიცოცხლე 1918 წლის 26 მაისს შეწყვიტა. 1918 წლის 26 მაისს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აცნობა. 26 მაისიდან საქართველო გახდა ევროპაში პირველი სახელმწიფო, რომლის სათავეშიც სოციალ-დემოკრატები იმყოფებოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ეროვნული საბჭოს ორი ქალი დეპუტატიც აწერდა ხელს – სოციალ-დემოკრატი მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე და სოციალისტ-რევოლუციონერი ოლღა სანიკიძე-ვალაბუევა. სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი იქნა არჩეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ, ნოე რამიშვილი დაახლოებით ერთ თვეში ნოე ჟორდანიამ შეცვალა (რამიშვილი უცვლელად იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე ითავსებდა სამხედრო და განათლების მინისტრის პორტფელს). კოალიციურ მთავრობაში სოციალისტი

<sup>1</sup> გრიგოლ გიორგაძე (1879-1937) – პოლიტიკოსი, იურისტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სამხედრო მინისტრი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბათუმის ოლქში, დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> შოთა ვადაჭკორია, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერალისტური რესპუბლიკა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018. გვ. 20-21



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები.  
მარცხნიდან მარჯვნივ – შალვა ალექსი-მესხიშვილი,  
ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანიას, გიორგი ლასხიშვილი  
და გიორგი ჟურული

მინისტრები დომინირებდნენ. მინისტრის 8 პორტფელიდან ოთხს – სოციალ-დემოკრატები, ორს – სოციალისტ-ფედერალისტები, ხოლო თითო-თითოს სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატები ფლობდნენ<sup>1</sup>.

1918-1921 წლებში, საქართველოში ცალსახად მემარცხენე პოლიტიკური ძალები დომინირებდნენ. მთელი პოლიტიკური სპექტრის თითქმის 95%-ს მემარცხენე-ცენტრისტული (სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური) და რადიკალური მემარცხენე (სოციალისტ-რევოლუციური) პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. ამავე პერიოდში

<sup>1</sup> ბონდო კუპატაძე, მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, თსუ, 2018. გვ. 273-274



სენაკის მაზრის ერობის ყრილობა

პოლიტიკური პროცესებიდან, ფაქტობრივად, ჩამოშორებული იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია, მისი წევრები არ მონაწილეობდნენ არჩევნებში (მხოლოდ კოდორის მაზრის ერობის არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და 1 მანდატი მოიპოვეს), დიდწილად ბოიკოტს აცხადებდნენ, ამასთან, იდეენობოდნენ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან, რადგანაც დაუფარავად აცხადებდნენ არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის სურვილს.

1918-1921 წლებში საქართველოში ცენტრალური და რეგიონული დონის 50 (51) არჩევნები გაიმართა, მათგან ერთი ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების იყო, ერთი – სოხუმის ოლქის სახალხო საბჭოსი, ადგილობრივი თვითმმართველობის კი – 21 საერობო (ზუგდიდის მაზრაში ორჯერ გაიმართა) და 27 – საქალაქო საბჭოს (უკანასკნელი ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქ ოზურგეთში გაიმართა). გარდა ამისა, სასოფლო დონეზე 350-მდე თვითმმართველობა აირჩიეს. 1919 წლის 14-16 თებერვალს

დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულ-მა პარტიამ ხმების 81% მიიღო. ეს ლოგიკურიც იყო, რადგანაც დაახლოებით ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა პარტიას 1917 წლამდე გამართულ დუმის არჩევნებში, 1917 წლის ზაფხულში ჩატარებულ საქალაქო და ამავე წლის მიწურულს გამართულ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე. 1919 წელს დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან 109 სოციალ-დემოკრატი იყო, 8 – სოციალისტ-ფედერალისტი, ხოლო 5 – სოციალისტ-რევოლუციონერი, კრებაში მხოლოდ 8 წევრი ჰყავდა მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

სოციალ-დემოკრატებმა ცენტრალური ხელისუფლები-სადმი კეთილგანწყობილ სხვა მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებთან ერთად იმარჯვეს სოხუმის ოლქის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებზე.




საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 20 მაზრიდან 19-ში (ზუგდიდის გარდა) მოიპოვა უმრავლესობა, ცალკეულ მაზრებში ხმების 90%-ც კი მიიღო. სამაზრო დონეზე სო-

ციალ-დემოკრატები თანამშრომლობდნენ ფედერალისტებთან. 26 ქალაქიდან სოციალ-დემოკრატები მხოლოდ ახალციხეში დამარცხდნენ სომხურ დაშნაკცუთიუნთან, ხოლო ზუგდიდში, ონსა და კოჯორში უმრავლესობა სოციალისტურ პარტიებსა და უპარტიო დეპუტატებთან კოალიციით შეკრეს<sup>1</sup>. სოციალ-დემოკრატთა სიით ქალაქების საბჭოს წევრებად აირჩიეს ქალი ხმოსნები.

საინტერესოა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, მიუხედავად მისი უდიდესი ელექტორალური უპირატესობისა, 1919 წლიდანაც ცდილობდა ცალკეულ თანამდებობებზე ოპოზიციური პარტიის წევრთა არჩევას. მაგალითად, 1919 წლის მაისში სახელმწიფო ფინანსების მთავარი მაკონტროლებელი ორგანოს – სახელმწიფო კონტროლის – ხელმძღვანელად ხელმეორედ აირჩიეს პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი<sup>2</sup>, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი<sup>3</sup>. 1920 წელს სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელად იასონ ლორთქიფანიძე<sup>4</sup> აირჩიეს, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა უმრავ-



ფილიპე გოგიჩაიშვილი

<sup>1</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2021, გვ. 15-16

<sup>2</sup> ფილიპე გოგიჩაიშვილი (1872-1950) – ეკონომისტი, პუბლიცისტი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორი (მთავარი აუდიტორი).

<sup>3</sup> ბექა კობახიძე, ირაკლი ირემაძე, ირაკლი ხვადაგიანი, დავით ხვადაგიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი, თბილისი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2020, გვ 32

<sup>4</sup> იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949) – ფინანსისტი, იურისტი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის ბანკის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო ბანკის მმართველი.

ლესობა პარტიული კუთვნილებით სოციალ-ფედერალისტი და ეროვნულ-დემოკრატი იყო. დამფუძნებელ კრებაში 3 ვიცე-სპიკერის თანამდებობიდან 2 ოპოზიციას ეკუთვნოდა, ოპოზიციონერი წევრები აირჩიეს კრების კომისიათა ხელმძღვანელებად. 1919 წელს უმაღლესი სასამართლოს წევრებად აირჩიეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გრიგოლ გველესიანი<sup>1</sup> (სფპ) და ივანე ზურაბიშვილი<sup>2</sup> (ეღპ). სოციალ-დემოკრატთა ამგვარი ქცევა არ იყო გასაკვირი, რადგანაც ნოე ჟორდანიას 1918 წლის ზაფხულშივე აცხადებდა, რომ რესპუბლიკის მშენებლობის საქმეში ყველა ძალა უნდა ჩართულიყო და ეს არ იყო მხოლოდ ერთი პარტიის საქმე და პასუხისმგებლობა. ოპოზიციონერი დეპუტატები ჩართული იყვნენ კონსტიტუციის შექმნაში და ადგენდნენ კონსტიტუციის ცალკეული თავების პროექტებს.

1919 წელს მთელ საქართველოში გამართულ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებში სულ 15 პარტია მონაწილეობდა. მათგან 9 პარტიას (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო, საქართველოს ეროვნული პარტია, შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტია, დამოუკიდებელთა/უპარტიოთა კავშირი, ბორჩალოს მაზრის მუსულმანები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა, ელინთა დემოკრატიული პარტია) საკანდიდატო სიაში ქალი კანდიდატი არ ჰყავდა წარმოდგენილი. 6 პარტიის საკანდიდატო სიაში 26 ქალი კანდიდატი იყო შეყვანილი, რაც ცალსახად პროგრე-

<sup>1</sup> გრიგოლ გველესიანი (1870-1926) – პოლიტიკოსი, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, უმაღლესი სასამართლოს – სენატის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე.

<sup>2</sup> ივანე ზურაბიშვილი (1872-1940) – პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, იურისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს მდივანი, სენატის წევრი.

 V. L. ZHUKOV	<p><b>მუშებია!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>	 V. L. ZHUKOV	<p><b>მოქალაქეა!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>
 V. L. ZHUKOV	<p><b>მოქალაქეა!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>	 V. L. ZHUKOV	<p><b>მოქალაქეა!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>
 V. L. ZHUKOV	<p><b>მოქალაქეა!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>	 V. L. ZHUKOV	<p><b>მოქალაქეა!</b></p> <p>მხარეობს ხელისუფლების აღდგენას და მშენებლობის საქმეებს.</p> <p>საპარტიო მუშაობისთვის მზად არის.</p> <p><b>სს სკეო-ს მუშაობისთვის მზად არის</b></p> <p><b>№ 1.</b></p>

**სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სააგიტაციო პლაკატი**

სულ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. კრების დეპუტატობის კანდიდატ ქალთა რაოდენობით ლიდერობდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (9 ქალი: ნინო ნაკაშიძე, მელანია გველესიანი, ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა, თამარ ფალავანდიშვილი, ელენე იმნაძე, თამარ მაჭავარიანი, აგრაფინა ბახტაძე, ლიუბა ჩხენკელი, ანა იურკევიჩი) და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (6 ქალი: ელენორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, ანა სოლოლაშვილი, მარიამ (მაშო) ბერიანიძე). დანარჩენი პარტიების მონაცემები ასე გამოიყურება: საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია – 5 ქალი (მარიამ ჩხეიძე, ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილი, ოლღა

სანიკიძე-ვალაბუევისა, სოფიო ზარიძე, ნინა ნადირაძე); სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ – 2 ქალი (დარია თადეოსიანი, სირანუშ ამირბეგიანი); საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ქალი (ნადეჟდა შალამბერიძე); საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მასშვრალთა პარტია 3 ქალი (ნინო დგებუაძე, შუშანიკა ქავთარაძე, ნადეჟდა ჩიკვაიძე).

არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში ქალი დეპუტატების გაყვანა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა. ყველა მათგანი განათლებული, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში გამოცდილი ადამიანი იყო. სწორედ ამიტომ მათ გამორჩეული წვლილი შეიტანეს საკანონმდებლო საქმიანობაში, სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საკითხებში.



ბორჩალოს სამაზრო ერობის ყრილობა

1918 წლის მაისიდანვე საქართველოში დაიწყო სისტემური რეფორმების გატარება დემოკრატიზაციის მიმართულებით. პირველი რეფორმა, რომელიც წამოიწყო ხელისუფლებამ, შეეხებოდა ფუნდამენტურ პოლიტიკურ და ფისკალურ დეცენტრალიზაციას. მოქალაქეებს ადგილებზე სამაზრო, საქალაქო და სასოფლო-სათემო თვითმმართველობების საშუალებით შეეძლოთ გადაეწყვიტათ მნიშვნელოვანი პრობლემები და საჭიროებები. მთავრობის წევრები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ისინი სრულ დეცენტრალიზაციას ემხრობოდნენ. 1921 წელს კარლ კაუცკი წერდა – *„რევოლუციამ საქართველოს ერობებსა (თემებსა) და მაზრებს სრული თვითმმართველობა მოუტანა. ეს თვითმმართველობა სულ თავიდან უნდა შექმნილიყო ძველი, ცენტრალიზებული, მეურვეობაზე დაფუძნებული ბიუროკრატიის ადგილზე. ამისათვის გამოცდილება და ზოგჯერ საჭირო რესურსიც კი არ არსებობდა“*<sup>1</sup>. ნოე ჟორდანიას მრჩეველი ვლადიმერ ვოიტინსკი მოქალაქეებისათვის რეფორმის მნიშვნელობას ამგვარად აფასებდა – *„საქართველოში თითოეულმა გლეხმა იცის, რა მისცა რევოლუციამ და რევოლუციიდან შობილმა ახალგაზარდა რესპუბლიკამ – მინა და დემოკრატიული თვითმმართველობა: მინა – ანუ თავისუფლად მუშაობის უფლება შიშის გარეშე, რომ სხვა მოვა და შენი შრომითა და ოფლით დათესილ ხორბალს წაგართმევს; თვითმმართველობა – რწმენა იმისა, რომ ცხოვრება უფრო და უფრო ნათელი, ადვილი და ცივილიზებული გახდება“*<sup>2</sup>.

1918 წლიდან საქართველოში 20 სამაზრო ერობა, 26 საქალაქო თვითმმართველობა და 350-ზე მეტი სასოფლო-სათემო თვითმმართველობა შეიქმნა. ევროპის საუკეთესო გამოც-

<sup>1</sup> კარლ კაუცკი, საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, თსუ, 2018, გვ 93

<sup>2</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 271

დილებაზე დაყრდნობით ადგილობრივ თვითმმართველობებს მიენიჭათ ფართო უფლებები განათლების, სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით. 1918 წლიდან თვითმმართველობები აარსებდნენ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, აფთიაქებს, ამბულატორიებსა და საავადმყოფოებს, ღარიბი მოქალაქეებისათვის ქმნიდნენ სასურსათო მომარაგების შეღავათიან დაწესებულებებს. თვითმმართველობები იყენებდნენ ეკონომიკურ უფლებებს და აარსებდნენ საწარმოებს მოქალაქეთა დასასაქმებლად, გაჰყავდათ გზები და წყალსადენები. 1919 წლიდან, აგრარული რეფორმის პარალელურად, სამაზრო თვითმმართველობებმა მიიღეს ცალკეული მიწის ნაკვეთების მუნიციპალიზაციის (ძირითადად სამრეწველო ტყეები და საშუალო ზომის ყოფილი საეკლესიო თუ საიმპერიო მამულები) უფლებაც, რომლისგან მიღებული შემოსავლებიც კვლავ მუნიციპალურ საქმიანობას ხმარდებოდა<sup>1</sup>.

სოციალ-დემოკრატებისათვის (და, ზოგადად, ქართული პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე ნაწილისთვის), რომლებსაც წარსულში მძიმე გამოცდილება მიეღოთ განათლებაზე ხელმიუწვდომლობის კუთხით, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა განათლების რეფორმის გატარება. რესპუბლიკამდე არსებულ მდგომარეობას საინტერესოდ აფასებდა ვლადიმერ ვოიტინსკი – *ქართული დემოკრატიის უმთავრესი საზრუნავი იყო განათლების ძირფესვიანი რეორგანიზაცია. ცარისტული რუსეთის სკოლებს მიზნად ჰქონდათ ორი რამ – სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ახალ სკოლას უნდა განემტკიცებინა სოციალური თავისუფლება და ხელი შეეწყო ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად, პირ-*

<sup>1</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 199-200

ველ რიგში, საჭირო იყო, ხალხს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა მისცემოდა“<sup>1</sup>.



საქართველოს რესპუბლიკის პირველი განათლების სამინისტრო  
სახალხო განათლების სამინისტროს თანამშრომლები,  
ცენტრში მინისტრი გიორგი ლასხიშვილი

1914-1917 წლებში საქართველოში სხვადასხვა ტიპის სულ 864 სკოლა არსებობდა<sup>2</sup>. სოციალ-დემოკრატთა მნიშვნელოვანი ნაწილი პროფესიით პედაგოგი იყო, მათ შორის პარტიის დამფუძნებელთა უმრავლესობა – დამფუძნებელ კრებაში 18 პედაგოგი იყო არჩეული – ამიტომ ზედმინევენით კარგად იცოდნენ იმპერიის განათლების სისტემაში არსებული პრობლემები: სკოლების სიმცირე, ქართული ენისა და, ზოგადად, მცირე ერთა ენების შევიწროება, პედაგოგთა სიმცირე, სახელმძღვანელოების არარსებობა და, ზოგადად, დაწყებითი განათლების ხელმიუწვდომლობა. საიმპერიო პოლიტიკა მიმართული იყო განაპირა მხარეებში განათლების გავრცელების შეზღუდვისაკენ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2018. გვ. 262

<sup>2</sup> ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა. თბილისი, მემატიანე, 2001, გვ. 266

<sup>3</sup> Irakli Iremadze, „Education System Construction in the Democratic Republic of Georgia“ (Article), in the book „Modern History of Georgia“. KEW (The College of Eastern Europe), Wrocław, 2018, pp. 292

საყოველთაო სასკოლო განათლების მიმართულებით სისტემური რეფორმა 1919 წელს დაიწყო და მის ნარატიულ დოკუმენტში გაცხადებული იყო სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიური მისწრაფებები – *„დემოკრატიზმი სოციალურის ინერციით – აი მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული და კერძო ბუნების, მისი ნებისყოფის განვითარება – აი უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს! თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველად შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკერძოებულს ერის ყოველ წრეს, ყოველ კლასს, ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისთვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი აუცილებლად კულტურულ თანასწორობას ჰგულისხმობს, და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს. ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლაა საჭირო თავისი შინაარსით, თავისი პროგრამით... (...) ყველასათვის ერთი ისეთი სკოლა უნდა შეიქმნას, რომელიც როგორც თავისის შინაარსით, ისე შემადგენლობითაც ერთიანი იქნება“<sup>1</sup>.*



ნოე ცინცაძე

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1028 დღე იარსება. ამ პერიოდის განმავლობაში ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა დაახლოებით 1170-მდე სკოლა გახსნეს. ამავდროუ-

<sup>1</sup> სცსა, ფონდი 1935, ანან. 1, საქმე 509, ფურც. 6-11

ლად, ფაქტობრივად, სრულად სეკულარული გახდა სასკოლო განათლება, ისევე, როგორც მოხდა სასწავლო პროცესის ერთგვარი „ნაციონალიზაცია“ – „გაქართულება“. ახლად შექმნილ სკოლათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე ფუნქციონირებდა. გარდა სკოლებისა, გაიხსნა 300-ზე მეტი ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა. თბილისის უნივერსიტეტს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი და უმაღლესი განათლების კუთხით განისაზღვრა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება. სახელმწიფო ზრუნავდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე სახალხო უნივერსიტეტის ქსელის გაფართოების მიმართულებით. სოციალ-დემოკრატიულ ხედვით, რეალური სოციალური გარდაქმნები და საზოგადოების სოციალური მობილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებოდა, თუ განათლება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1921 წლის კონსტიტუციაში გაიწერა 110-ე მუხლი – *„პირველდანიწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდანიწყებითი სკოლა საფუძველია საშველო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა“*; 111-ე – *„სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდანიწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მიეცეს. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავის შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველ წლიურად“*<sup>1</sup>.

მემარცხენე პოლიტიკური ძალებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა შრომის სფეროს რეფორმირება,

---

<sup>1</sup> საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 476

მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოში, ისევე, როგორც მთელი რუსეთის იმპერიაში, მშრომელთა უფლებები ფაქტობრივად სრულად უარყოფილი იყო. 1919 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის პროგრამაში შრომის საკითხების შესახებ ჩაწერა – *„8 საათის სამუშაო დღე ყველა დაქირავებულ მუშებისთვის სავალდებულო ყოველკვირეული დასვენებით არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტ მუშაობის სრულიად მოსპობა იქ, სადაც ის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს; 16 წლამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა; მცირე წლოვანთა და ქალთა შრომის შეზღუდვა; მრეწველთა მიერ ზედმეტი ყვლეფისაგან მუშათა დაცვა და მრეწველთა პასუხისმგებლობა უბედურ შემთხვევის გამო. აგრეთვე მოითხოვენ სახელმწიფოებრივ დაზღვევას – ავადმყოფობისა, მოხუცებულობისა და უმუშევრობისაგან. სოც-დემოკრატები მოითხოვენ შრომის ინსპექციის დაწესებას მუშათაგან არჩეულ პირთა მონაწილეობით და სასტიკ სანიტარულ თვალყურის დევნებას იმ შენობებისას, სადაც მუშაობა სწარმოებს და მუშები ცხოვრობენ. დასასრულ, მოითხოვენ შრომის კანონის დარღვევისათვის დამქირავებელთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობაში მიცემას, მომრიგებელ კამერებისა და შრომის ბირჟების ყოველ ადგილას დაარსებას და სხვ“<sup>1</sup>. სოციალ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ და საწარმოთა მართვაში მუშების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვდნენ.*

დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალ-დემოკრატების მიერ გატარებული რეფორმა რადიკალურად ცვლიდა არსებულ რეალობას. შრომის სფეროს რეფორმირებისას გან-

<sup>1</sup> ირაკლი ირემაძე, ლევან ლორთქიფანიძე, სოფიკო შუბითიძე, ზვი-ჩა ყაზაიშვილი, ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, თბილისის ფაბიანური საზოგადოება, 2015, გვ. 143

საზღვრული და დაცული იქნა მ-საათიანი სამუშაო დღის პრინციპი, დაინერგა შრომითი პირობების ინსპექციის ინსტრუმენტი, შეიზღუდა არასრულწლოვანთა შრომა, ორსული და მეძუძური ქალებისათვის განისაზღვრა სპეციალური შრომითი პირობების შექმნის აუცილებლობა. პროფესიულ კავშირებს მიეცათ შრომით დავებში ჩართვის სრული უფლება. შეიქნა „სატარიფო პალატა“, რომელიც შედგებოდა პროფკავშირების, დამსაქმებლებისა და შრომის სამინისტროს წარმომადგენლებისაგან. ეს ინსტიტუტი ზრუნავდა არა მხოლოდ შრომითი დავების დარეგულირებაზე, არამედ ეკონომიკური კრიზისისა და ინფლაციის პირობებში ხელფასების კალკულაციასა და დასაქმებულთათვის შეღავათიან სასურსათო უზრუნველყოფაზე.



1919 წლის პირველი მაისი – მუშათა მსვლელობა

სატარიფო პალატის შესახებ კარლ კაუცკი წერდა – „სატარიფო პალატის ძალისხმევისა და მ-საათიანი სამუშაო დღის დაწესების გარდა, გაფიცვები ადვილად იქნა არიდებული მთავრობის მიერ მუშებისათვის საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის მიზეზითაც. საარსებო საშუალებები, როგორცაა პური და მარილი, ყველა მუშისათვის იაფად იყო ხელ-

*მისანვდომი და ოჯახის თითოეული წევრი მას განსაზღვრული როდენობით იღებდა. დარჩენილ სხვაობას კი, გასაყიდ ფასსა და მთავრობის მიერ გადახდილ თანხას შორის, ანაზღაურებდა ის დამქირავებელი, ვისთანაც მუშა მუშაობდა*<sup>1</sup>. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატები ხელისუფლებაში ყოფნის უამს უფრთხოდნენ და გამობდნენ გაფიცვებს. სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოსა და ცალკეულ პროფკავშირთა კომიტეტებში, მხოლოდ რამდენიმე პროფესიულ გაერთიანებაში გააჩნდა შედარებითი უპირატესობა სოციალ-ფედერალისტთა პარტიას. ასევე, 1920 წელს სულ ერთი (ტყავის ფეიქართა) პროფესიული კავშირის სათავეში აღმოჩნდნენ ბოლშევიკები.

სოციალური სფეროს რეფორმირების ძირითადი ღერძი 1918-1921 წლების საქართველოში აგრარული საკითხის გადაჭრაზე გადიოდა. რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი თავის კვლევაში 1960 წელს წერდა – *„ორი დიდი საკითხის გადაჭრას მოელოდა საზოგადოება რევოლიუციიდან: თავისუფლების და მინის საკითხის. დიდი ხანია, მრავალი ათეულ წლის განმავლობაში, ამ საკითხებს აყენებდნენ თავის პროგრამაში, როგორც ძირითად მოთხოვნილებას, თითქმის ყველა მონინავე პარტიები*<sup>2</sup>. რესპუბლიკის მოსახლეობის 70%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაში იყო ჩართული, გლეხების უმრავლესობას კი არ გააჩნდა კერძო საკუთრება.

სოციალ-დემოკრატების პროგრამა გულისხმობდა გლეხებისათვის მინის კერძო საკუთრებად გადაცემას (სხვადასხვა

<sup>1</sup> კარლ კაუცკი, საქართველო – გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 85

<sup>2</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, პარიზი, Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 145



ყარაიის ვარდიელები ხნავენ.

სახალხო გვარდიელები ამუშავებენ ყარაიის ველს

მაზრაში საშუალოდ 2-დან 10 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთების). ხელისუფლებამ გლეხებისათვის მიწების გადაცემამდე შექმნა მიწის ფონდი, რომელშიც შედიოდა ის ნაკვეთები, რომლებსაც ხელისუფლება ჩამოართმევდა ეკლესიასა (ეკლესია დიდ მამულებს ფლობდა) და თავადაზნაურობას (მთავრობის მიერ დაწესებულ კონკრეტულ ნორმაზე მეტი ვისაც გააჩნდა). ამავე ფონდში შედიოდა ყოფილი საიმპერიო მამულები.

1919 წლიდან გლეხები სიმბოლურ ფასად კერძო საკუთრებაში იღებდნენ მიწას. ამ რეფორმამ შედეგი გამოიღო ქვეყნის შიგნით სტაბილურობის კუთხით, რადგანაც 1918 წელს რამდენიმე მცირე ზომის აჯანყება მოხდა სწორედ აგრარულ ნიადაგზე. გარდა მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემისა,

შემოღებული იქნა მიწის ფლობის კიდევ ორი ფორმა: საშუალო მამულები და სამრეწველო ტყეების ნაწილი გადაეცა სამაზრო თვითმმართველობებს, განხორციელდა ე.წ. მუნიციპალიზაცია; ხოლო გამორჩეულად დიდი მამულები, დიდი სამრეწველო ტყეები და სხვა ეკონომიკურად დიდი მნიშვნელობის მიწის ნაკვეთები დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში და არცთუ მცირე როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. აგრარული რეფორმის შედეგად 1920 წლის ბოლოს შემცირდა სასურსათო დეფიციტი.

სოციალ-დემოკრატთა შეხედულებები საქართველოში სოციალური უფლებების დაცვის მიმართულებით აისახა 1921 წლის კონსტიტუციაში, რომლის მე-13 თავი სრულად დაეთმო სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. 113-ე მუხლში გაცხადებული იყო – *„რესპუბლიკა ზრუნავს თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისთვის“*, 117-ე მუხლი კი აცხადებდა – *„შრომა საფუძველია რესპუბლიკის არსებობისა და მისი უზრუნველყოფა რესპუბლიკის განსაკუთრებული მოვალეობაა“*. კონსტიტუციაში აისახა ყველა ის ძირითადი დებულება, რომელიც შრომის სამართლებრივი რეგულირების მიმართულებით მანამდე არსებობდა.

რესპუბლიკის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენდა ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც მთავრობა ვერ უმკლავდებოდა. კონსტანტინე კანდელაკი კრიზისს, ძირითადად, საგარეო ფაქტორებს – მსოფლიო ომს, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, რუსეთის სამოქალაქო ომს, სომხეთ-აზერბაიჯანის ომებსა და, ზოგადად, რეგიონში შექმნილ მძიმე ვითარებას უკავშირებდა, რომელმაც მოსპო ექსპორტ-იმპორტის არხები<sup>1</sup>, თუმცა, იქვე აღიარებდა, რომ ქვეყანაში განხორციელებუ-

<sup>1</sup> კონსტანტინე კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი მეორე, დამოუკიდებელი საქართველო: მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, პარიზი, Institute for the study of the USSR, Paris, 1960, გვ. 12-13

ლი ეკონომიკური რეფორმები ნაკლებ წარმატებული იყო. ამას სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განაპირობებდა. მთავრობა ცდილობდა ევროპელი კაპიტალისტების შემოყვანას კრიზისის დასაძლევად და სავალუტო რესურსების გასაჩენად. ევროპელი კაპიტალისტები 1920 წლის მიწურულამდე რეგიონში არსებული მდგომარეობის გამო თავს არიდებდნენ სერიოზული წარმოებების წამოწყებას. 1921 წლის იანვარში რამდენიმე დიდი პროექტი დაიწყო, თუმცა ოკუპაციამ რესპუბლიკის გეგმები დაამსხვრია. სუბიექტური ფაქტორები კი უფრო მთავრობის სიხისტესა და მოქალაქეთა განწყობებს უკავშირდებოდა, რის გამოც ჩავარდა რესპუბლიკაში გამოცხადებული თამბაქოსა და აბრეშუმის მონოპოლიზაცია, სასურსათო ფასების თითქოს კონტროლის მექანიზმები, სამაგიეროდ, ფართო გზა გაეხსნა სპეკულაციასა და კონტრაბანდას. რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმები სისტემურად ვერ განხორციელდა, 3 წლის განმავლობაში რესპუბლიკის სავალუტო რესურსებს ხშირად მხოლოდ ვალუტის კუპიურების გაუთავებელი ბეჭდვა წარმოადგენდა<sup>1</sup>.

რესპუბლიკისათვის ასევე უდიდეს პრობლემას ქმნიდა კორუფცია და სახელმწიფო ქონების განიავება სახელმწიფო სტრუქტურების საშუალო და ქვედა დონეზე დასაქმებულთა მიერ. კორუფციას ადგილი ჰქონდა მილიციის რიგებში, წვრილ ადმინისტრაციულ დანაყოფებში, განსაკუთრებით კი სურსათისა და მომარაგების დაწესებულებებში. ხარჯების კონტროლისა და ეფექტურობისათვის აქტიურად მუშაობდა სახელმწიფო კონტროლის (აუდიტის) სამსახური, რომელსაც, გარდა საბოლოო შედეგების შეფასებისა, პრევენციის მექანიზმებიც ჰქონდა ხარჯების დაგეგმვის დროს. ამ გზით

---

<sup>1</sup> ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990, გვ. 114

სახელმწიფომ ასობით მილიონი მანეთი დაზოგა და გადაარჩინა არამიზნობრივად დახარჯვისა თუ კორუფციული გარიგებისაგან. ადმინისტრაციის გაუმართაობაზე თავად დამფუძნებელი კრება და მთავრობაც საუბრობდა, თუმცა პრობლემის საბოლოო აღმოფხვრას გარკვეულ დროში ვარაუდობდნენ, რომელიც ოკუპაციის გამო არ დადგა.

გარდა აღნიშნული რეფორმებისა, სოციალ-დემოკრატებმა გაატარეს სხვა რეფორმები დემოკრატიზაციასთან მიმართებით. შეიქმნა ახალი ტიპის დემოკრატიული სასამართლო სისტემა უმაღლესი სასამართლოთი – „სენატი“ და ნაციც-მსაჯულთა სასამართლოთი, არჩეულ იქნა მომრიგებელ – „მედიატორ“ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

1918-1921 წლებში საქართველოში 200-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა ქართულ, სომხურ, რუსულ, თურქულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, თითოეულ პარტიას გააჩნდა თავისი პრესის ორგანო. ოფიციალური ცენზურა ან რაიმე მარეგულირებელი ორგანო არ არსებობდა, თუმცა უსაფრთხოების სამსახურმა 3-ჯერ დახურა სომხური, ეროვნულ-დემოკრატიული და ნაციონალისტური მიმართულების გაზეთები. ყველა შემთხვევაში ამ გამოცემებს მიეცათ მუშაობის გაგრძელების საშუალება. რესპუბლიკაში არსებობდა ასობით თავისუფალი საზოგადოებრივი გაერთიანება და კლუბი, სადაც მიმდინარეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა.

1920 წლის სექტემბერში საქართველოს ევროპულ სოციალისტთა ლიდერები ეწვივნენ: საფრანგეთიდან – სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პიერ რენოდელი<sup>1</sup>, მუშათა

---

<sup>1</sup> პიერ რენოდელი (Pierre Renaudel) (1871-1935) – ფრანგი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, გაზეთის “L’Humanite” რედაქტორი, სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი.

მოძრაობის წარმომადგენელი ალბერტ ინგელსი<sup>1</sup> და სოციალისტური პარტიის წევრი ანდრე მარკე<sup>2</sup>; ბელგიიდან – მეორე ინტერნაციონალის ლიდერები და ბელგიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები – ემილ ვანდერველდე და კამილ ჰიუსმანსი, ასევე პროფესორი ლუი დე ბრიუკერი<sup>3</sup>; დიდი ბრიტანეთიდან – ლეიბორისტული პარტიის ლიდერი რამსეი მაკდონალდი<sup>4</sup>, მუშათა გაერთიანების ლიდერი ტომას შოუ<sup>5</sup> და ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ეთელ სნოუდენი<sup>6</sup>. მალე მათ გერმანიიდან ცნობილი სოციალისტი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი შემოუერთდა. 1920 წელს საქართველოში ჩამოსვლას ედუარდ ბერნშტეინიც გეგმავდა, რამდენიმე წერილიც მოიწერა მან, რომლებიც გაზ. „ერთობაში“ გამოქვეყნდა. ბერნშტეინი განსაკუთრებით ინტერესდებოდა სოციალ-დემოკრატების მიერ გატარებული რეფორმებით და თავის ევროპულ კოლეგებს სთხოვდა ვრცელი ანგარიშები გაეზიარებინათ მისთვის. ბერნშტეინმა 1920 წელს ვრცელი შესავალი გაუკეთა გერმანულად გამოცემულ ნოე ჟორდანიას

---

<sup>1</sup> ალბერტ ინგელსი (Albert Inghels) (1872-1941) – პოლიტიკოსი, პროფკავშირელი, საფრანგეთის მუშათა გაერთიანებების ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთის პარლამენტის წევრი.

<sup>2</sup> ანდრე მარკე (1884-1955) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, ექიმი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრი, ქალაქ ბორდოს მერი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

<sup>3</sup> ლუი დე ბრიუკერი (Louis de Brouckère) (1870-1951) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პროფესორი, ბელგიის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბელგიის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და გაზეთის რედაქტორი.

<sup>4</sup> რამსეი მაკდონალდი (James Ramsay MacDonald) (1866-1937) – პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი (1924, 1929-1935).

<sup>5</sup> ტომას შოუ (1872-1938) – პოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის წევრი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო და შრომის მდივანი (მინისტრი).

<sup>6</sup> ეთელ სნოუდენი (Ethel Snowden-Annakin) (1881-1951) – ბრიტანელი ფემინისტი, ჟურნალისტი, მწერალი, სოციალისტი. ფემინისტური და სუფრაჟისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

პროგრამას „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“ (ქართულად 1918 წელს გამოქვეყნდა). ბერნშტეინი ამ პროგრამას უწოდებს ერთგვარ გზამკვლევს სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესისათვის.

ევროპელი სოციალისტები რესპუბლიკაში 2 კვირა დარჩ-



ევროპელი სოციალისტები საქართველოში



კარლ კაუცკი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან ერთად

ნენ და მოიარეს ქვეყანა, კაუცუკი კი საქართველოში 3 თვეს დარჩა. დელეგაციის წევრებმა ევროპულ პრესაში ათობით სტატია გამოაქვეყნეს საქართველოზე, მის სოციალისტურ მთავრობასა და აქ მიმდინარე რეფორმებზე<sup>1</sup>, ხოლო კარლ კაუცუკიმ წიგნიც კი გამოსცა საქართველოზე, რომელიც 1921 წელს ოკუპაციის შემდეგ დაიბეჭდა გერმანულად და ინგლისურად. დელეგაციის წევრი ემილ ვანდერველდე 1921 წელს წერდა – *„ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა, ჭეშმარიტმა სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს, დაემყარებინათ დემოკრატია, რომელიც ეროვნულ დამოუკიდებლობას დაეფუძნებოდა“*<sup>2</sup>.

1920 წლის გაზაფხულზე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჩამოყალიბდა შიდა ოპოზიციური ფრაქცია, რომელმაც 1-ელი მაისიდან დაიწყო გაზეთ „ახალი სხივის“ გამოცემა. ამ ჯგუფს „ახალსხიველებად“ მოიხსენიებდნენ. ჯგუფი მოუნოდებდა პარტიის ხელმძღვანელობასა და მთავრობას, რომ მომხდარიყო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სრული გამიჯვნა, არ შესძლებოდათ მინისტრებს ცენტრალური კომიტეტის წევრობა და, ზოგადად, პარტიის შიგნით ძალაუფლების გადანაწილება მომხდარიყო. 1920 წლის განმავლობაში ეს ჯგუფი, ძირითადად, ზომიერად აკრიტიკებდა ცალკეულ მინისტრებს, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილს, იუსტიციის მინისტრ რაჟდენ არსენიძესა და შრომისა და მომარაგების მინისტრ გიორგი ერადეს.

„ახალსხიველთა“ მოთხოვნები და კრიტიკა პარტიის ცენტრალურმა ორგანომ დისციპლინურ დარღვევებად და იდეოლოგიურ ღალატად ჩათვალა. პარტია თავდაპირველად ზომიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა, თუმცა 1920 წლის ბოლოს

<sup>1</sup> ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 291-292

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14

ყოფით ნიადაგზე კიდევ უფრო გამწვავდა ჯგუფის ლიდერის, კირილე ნინიძისა<sup>1</sup> და ნოე რამიშვილის ურთიერთობები, კონფლიქტის გადაჭრა ვერც ნოე ჟორდანიას ავტორიტეტმა შეძლო. 1921 წლის 19 იანვარს პარტიის კონფერენციაზე ცენტრალურმა კომიტეტმა შიდაოპოზიციური ფრაქციისა და გაზეთის გაუქმება მოითხოვა. საპასუხოდ კი 1921 წლის თებერვალში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დამფუძნებელი კრების 10-ზე მეტი წევრი გამოაკლდა და ცალკე „დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატთა პარტია“ ჩამოყალიბდა, თუმცა ამ პროცესიდან სულ 1-2 დღეში საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს შემოუტია და ეს პოლიტიკური ჯგუფი რეალურ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას რესპუბლიკის პირობებში აღარ შესდგომია<sup>2</sup>.

## სოციალ-დემოკრატი კანონმდებელი ქალები



**ქრისტინე შარაშიძე (1889-1973) – 1905-1906 წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილე; დამფუძნებელ კრებაში პრეზიდენტის წევრი და კრების უმცროსი მდივანი. საკანონმდებლო საქმიანობაში იგი აქტიურად მონაწილეობდა, ქმნიდა კანონპროექტებს განათლების სისტემის რეფორმირებისათვის. 1921 წლის ოკ-**

<sup>1</sup> კირილე ნინიძე (1878-1937) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, იურისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. გაზეთ „ახალი სხივის“ რედაქტორი და სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოყოფილი დამოუკიდებელი ფრაქციის ლიდერი.

<sup>2</sup> ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, 2021, გვ. 18-19

უპაციის შემდეგ ჩართული იყო წინააღმდეგობის მოძრაობაში, რის გამოც არაერთხელ დააპატიმრეს. გარდაცვალებამდე სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში, საჯარო ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში. იგი მრავალი ისტორიული, ქრონოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული გამოკვლევისა და მონოგრაფიის ავტორია.

**მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967)** წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია დაამთავრა. სამედიცინო განათლების მისაღებად იგი ჟენევის უნივერსიტეტში გაემგზავრა. სწორედ აქ გაეცნო იგი სოციალისტურ იდეებს და დაუახლოვდა ქართველ სოციალისტებს. მეგობრობდა გიორგი პლესხანოვის ოჯახთან. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს. დამფუძნებელ კრებაში შრომისა და ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობდა. საბჭოთა რეჟიმმა იგი ჯერ მცირე ხნით გადაასახლა, ხოლო 1937 წელს კი – 8 წლით, შრომა-გასწორების კოლონიაში. მისი მეუღლე, ცნობილი ბოლშევიკი მალაქია ტოროშელიძე (რომელიც ცოლის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ციხეში იყო გამომწყვდეული) და ორი შვილი (ლევანი და გიორგი) კომუნისტებმა სიკვდილით დასაჯეს. მინადორა გადასახლებიდან 1950 წელს დაბრუნდა. 1967 წლის 19 ოქტომბერს კი გარდაიცვალა.



**ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე (1885-1937)** სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1904 წელს გაწევრიანდა. იყო გურიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1907 წლიდან გადასახლებული



იყო კავკასიიდან. 1917 წლიდან „გურიის ქალთა საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა. დამფუძნებელ კრებაში შრომის კომისიის წევრი იყო, 1920-იან წლებში – სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი. ბოლშევიკებმა ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, ხოლო 1937 წელს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ბრალდებით დახვრიტეს.



**ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე**

(1875-1937?) რევოლუციურ საქმიანობაში XX საუკუნის დასაწყისშივე ჩაერთო.

1905 წელს იყო სოხუმში რევოლუციური გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1908 წელს ამის გამო დააპატიმრეს და გადასახლებას ფეხმძიმობის გამო გადაურჩა.

1910-იან წლებში იგი კიდევ რამდენჯერმე მოხვდა საპატიმროში. დამფუძნებელ

კრებაში ჩართული იყო შრომისა და ჯანმრთელობის საკითხების კომისიების მუშაობაში. საბჭოთა ოკუპაციის წლებში იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს და 1926 წელს გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობდა. მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია.

**ანა სოლოლაშვილი (1882-1937)**

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში 1903 წელს გაწევრიანდა. მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების მუშაობაში. 1900-იან წლებში ანა და მისი და, ევგენია აქტიურად მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო მოძრაობაში: საჯარო ლექციებით გამოდიოდნენ საკვი-



რაო სკოლებში, აფუძნებდნენ სახალხო ბიბლიოთეკებს და აორგანიზებდნენ სახალხო წარმოდგენებს ღარიბი მოქალაქეებისთვის. 1918 წლიდან იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი. 1919 წელს დამფუძნებელ კრებაში ათობით საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა განათლებისა და სოციალური საკითხების შესახებ. ოკუპაციის შემდეგ ანა სოლოლაშვილი ვერ გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს. იგი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ლიდერ რამიშვილთან კავშირის, შოვინისტური შეხედულებებისა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდისტობისთვის დახვრიტეს 1937 წლის 27 ნოემბერს.

#### **რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ♦ *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი (1918-1921) (სამეცნიერო რედაქტორი დიმიტრი შველიძე), თბილისი, თსუ, 2018*
- ♦ *კარლ კაუცკი, საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა – შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი, თბილისი, თსუ, 2018*
- ♦ *ვლადიმერ ვოიტინსკი, ქართული დემოკრატია, თბილისი, თსუ, 2018*
- ♦ *ალექსანდრე ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბილისი, მემათიანე, 2001*
- ♦ *ირაკლი ირემაძე, პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2021*
- ♦ *პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, ავტორ-შემდგენლები: ირაკლი*

ირემაძე, სალომე ჭანტურიძე, თსუ, ცესკო, USAID, IFES, თბილისი 2017

- ♦ ირაკლი ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრების წევრი ქალების (ქრისტიანე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე, ელეონორა ტერფარსეგოვა-მახვილაძე, ანა სოლოლაშვილი) ბიოგრაფიები, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის პროექტი „50 ქალი საქართველოდან“ (ხელმისაწვდომია ინტერნეტ რესურსებში)

- ♦ ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში: 1918-1921, (პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედ: ლელა გაფრინდაშვილი), WIE/ FES, თბილისი, 2018

- ♦ ნოე ჟორდანია, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, თბილისი, 1918. გვ. 44-75.  
– [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe\\_Jordania\\_Tomi\\_XIII.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271957/1/Noe_Jordania_Tomi_XIII.pdf)

## VIII თავი – საჭკოთა ოკუპაცია და სოციალ-დემოკრატიული იდეების დევნა საქართველოში

1918 წლის 26 მაისს დაწყებული რეფორმები და პოლიტიკური სისტემის მშენებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრითა და ოკუპაციით შეწყდა. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების სათავეში ის პირები აღმოჩნდნენ, რომლებიც 1892 წლის დეკემბრიდან მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ფორმირებაში, თუმცა 1900-იანი წლებიდან უკვე თავს „ბოლშევიკებს“ უწოდებდნენ, 1921 წელს კი თავიან თავს „კომუნისტებად“ მოიხსენიებდნენ. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებაში შედიოდა ყვირილის კონფერენციის მონაწილე



წითელი არმია თბილისში, 1921 წლის თებერვალი

მიხა ცხაკაია და „კვალის“ ერთ-ერთი მთავარი პუბლიცისტი ფილიპე მახარაძე. 1918-1921 წლებში კომუნისტები საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების მიერ იდენტიფიცირდნენ, რადგანაც ისინი ღიად მოუწოდებდნენ მოქალაქეებს ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა წყობილების დამყარებისაკენ. 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, კომუნისტთა დიდი ნაწილი გათავისუფლდა ქართული ციხეებიდან და კომუნისტური პარტიის ლეგალიზება მოხდა, თუმცა მათ კვლავ განაგრძეს არალეგალური საქმიანობა და ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდება, რის გამოც მათი უმრავლესობა კვლავ საპყრობილეში აღმოჩნდა 1921 წლის თებერვალ-მარტამდე.

დაპირისპირება კომუნისტებსა (ბოლშევიკებსა) და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს შორის, რომლებიც უკვე მმართველ ძალას წარმოადგენდნენ 1918-1921 წლებში, ფუნდამენტურ საკითხებს უკავშირდებოდა. კომუნისტები უარყოფდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამ რესპუბლიკას და მის მესვეურებს მოიხსენიებდნენ იმპერიალისტთა ლაქიებად. ცდილობდნენ რესპუბლიკის დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას. კომუნისტთათვის მიუღებელი იყო რესპუბლიკის მიერ განხორციელებული რეფორმები, განსაკუთრებით გამოხდნენ მინების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ყოფილი მემამულეებისათვის მინების ნორმების დატოვებას. რესპუბლიკის არსებობის განმავლობაში არაერთხელ სცაადეს მუშებისა და გლეხების ამბოხება (გლეხთა მცირე მასშტაბების ამბოხებები რამდენჯერმე გამოუვიდათ კიდეც), კომუნისტების საქმიანობა საქართველოში უკავშირდებოდა მხოლოდ ერთ

მიზანს, დემოკრატიული რესპუბლიკის მოსპობას და სოციალ-დემოკრატთა გაძევებას ხელისუფლებიდან.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ყოფილი „მენშევიკების“) წევრთა რაოდენობა 1921 წლის თებერვალში 80 ათას აღწევდა. 1921 წლის გაზაფხულიდან სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ნადირობა გამოცხადდა, 1921 წლის მარტში ემიგრაციაში 30 სოციალ-დემოკრატი პოლიტიკოსიც კი არ წასულა. პარტიის ლიდერთა დიდი ნაწილი ქვეყანაში დარჩა და ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. საბჭოთა საქართველოს „ჩეკამ“ 1921 წლის აპრილიდანვე დაიწყო პოლიტიკოსთა დაპატიმრება, პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა მაის-ივნისში, ციხეებში აღმოჩნდა 15 დეპუტატზე მეტი. ზაფხულში დააკავეს მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე<sup>1</sup> და სამხედრო მინისტრი პარმენ ჭიჭინაძე<sup>2</sup>. ეს უკანასკნელი ციხეში გარდაიცვალა 1921 წლის ოქტომბერში, მისი დასაფლავება დიდუბის პანთეონში ნამდვილ ანტისაბჭოთა დემონსტრაციად იქცა<sup>3</sup>.



პარმენ ჭიჭინაძე

<sup>1</sup> გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937) – პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, პედაგოგი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და განათლების მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე (1873-1921) – პოლიტიკოსი, ექიმი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) და სამხედრო მინისტრი.

<sup>3</sup> პარმენ ჭიჭინაძის დასაფლავება – ანტისაბჭოთა დემონსტრაცია – „რესპუბლიკა 100“ <https://civil.ge/ka/archives/460301> (ინახა 24.09.2023)

1921 წლის მაისში დააკავეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც მეტეხის საპატიმროდან ემიგრაციაში წერდა თანაპარტიელებს – *„საკვირველი ხალხია [ბოლშევიკები], რამდენადაც იძულებული არიან ჩვენი მენშევიკების მეთოდით [დემოკრატიულით] შეცვალონ თავიანთი ბუნტალური, იმდენათ უფრო და უფრო მკაცრათ გვეპყრობიან“*<sup>1</sup>. სილიბისტრო ჯიბლაძე 1921 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს. მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, ის თვეების განმავლობაში იმალებოდა, 1922 წლის თებერვალში კი საიდუმლო ბინაში გარდაიცვალა. საბჭოთა რეჟიმმა ჭიჭინაძის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯიბლაძის ნეშტი მოიპარა და საიდუმლოდ დაკრძალა ანტისაბჭოთა დემონსტრაციის პრევენციისათვის<sup>2</sup>.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა წინააღმდეგ ფართო რეპრესიები განხორციელდა 1921 წლის ივლისში, ამის მიზეზი საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა კომისრის, კომუნისტთა ერთ-ერთი ლიდერის, იოსებ სტალინის თბილისში არცთუ წარმატებული ვიზიტი იყო. სტალინი ივლისის დასაწყისში თბილისელ მუშებს ნაძალადევის კლუბში შეხვდა, სადაც სოციალ-დემოკრატმა პოლიტიკოსებმა და მუშებმა სრული ობსტრუქცია მოუწყვეს. ამ პროცესში მთავარი სპიკერები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ისიდორე რამიშვილი და დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის (თავდაპირველად სოციალ-დემოკრატთა

---

<sup>1</sup> 12 ივნისი, 1921. სილიბისტრო ჯიბლაძე: ბოლშევიკები უფრო და უფრო მკაცრად გვეპყრობიან – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/422313> (ინახა 24.09.2023)

<sup>2</sup> 17 თებერვალი, 1922: საიდუმლო ბინაში გარდაიცვალა სილიბისტრო ჯიბლაძე – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/473252> (ინახა 24.09.2023)

სამხედრო დაჯგუფება იყო) ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე დგებუაძე<sup>1</sup> იყვნენ. მუშებმა სტალინს წითელი არმიის გაყვანა და თავისუფალი არჩევნების (რეფერენდუმის) ჩატარება მოსთხოვეს<sup>2</sup>. შეხვედრიდან მალევე ისიდორე რამიშვილი და სხვა პოლიტიკოსები დააკავეს და შემდგომ არაერთხელ გადაასახლეს<sup>3</sup>. ისიდორე რამიშვილი 78 წლის ასაკში 1937 წელს დახვრიტეს.

1921 წელს დააპატიმრეს არაერთი სოციალ-დემოკრატი მუშა აქტივისტი, მათ შორის პროფესიული კავშირების ქალთა ჯგუფის ლიდერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი მარიამ (მაშო) ბერიანიძე<sup>4</sup>, რომელიც საპყრობილეში გარდაიცვალა კიდეც. პარიზში გამომავალი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ წერდა – **„მუშათა კლასის სახელით“ ბოროტ-მოქმედებმა ჩაკლეს მუშათა წრის საუკეთესო წარმომადგენელთაგანი.**



<sup>1</sup> ალექსანდრე დგებუაძე (1882-1937) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეთაური, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის თებერვალ-მარტში ხელმძღვანელობდა სახალხო გვარდიის ნაწილებს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1921 წლიდან მუდმივად დაპატიმრებული და გადასახლებული იყო. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> საბჭოთა საქართველოში ანტისაბჭოთა მუშათა მოძრაობა ფართოვდება – თფილისელი მუშები სტალინს პროტესტით შეხვდნენ – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/430490> (ინახა 24.09.2022)

<sup>3</sup> 13 ივლისი, 1921: საბჭოთა რეჟიმმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები დააკავა – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/431489> (ინახა 24.09.2022)

<sup>4</sup> მარიამ (მაშო) ბერიანიძე (1875-1922) – პოლიტიკოსი, მუშა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

მაგრამ ისტორია ამ მსხვერპლს სულ სხვა შედეგს უმზადებს, მუშათა კლასი მას გულში ჩაიკრავს, როგორც თავის ძვირფას მონინავე ამხანაგს, ხოლო მისი სიცოცხლის მომშხამველთ – ზიზლით მოიხსენიებს. მისი ამხანაგები – მის ადგილს ერთი ასად გააფთრებული შეებრძოლებიან დაუნდობელ რეჟიმს, რომელმაც ასე ძვირფასი განძი მოსტაცა ხელიდან თფილისის მუშათა კლასს საერთოთ და თფილისის პროლეტარ ქალთა მოძრაობას კერძოთ<sup>1</sup>.

1921 წლის დეკემბერში მხოლოდ მეტეხის საპყრობილეში გამოკეტილი იყო 221 პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დგებუაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, დამფუძნებელი კრების პირველი ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ლომთათიძე<sup>2</sup>, განათლების რეფორმის ავტორი, სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე ნოე ცინცაძე, გენერალი შალვა მალლაკელიძე და სხვა მრავალი. ადგილობრივი სოციალ-დემოკრატი პოლიტიკური ლიდერებითა და აქტივისტებით გადავსებული იყო ციხეები სხვა ქალაქებშიც<sup>3</sup>.

1921 წლის სექტემბერში ქართველმა მუშებმა საქართველოს რევკომს დელეგაცია გაუგზავნეს, რომელსაც სპეციალურ მოთხოვნათა ჩამონათვალიც (დეკლარაცია) გაატანეს.

---

<sup>1</sup> მარიამ ბერიანიძე – საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი მუშა – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/473125> (ინახა 24.09.2023)

<sup>2</sup> ალექსანდრე ლომთათიძე (1882-1924) – პოლიტიკოსი, პედაგოგი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, კრების ვიცე-სპიკერი, თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, 1921 წლიდან პატიმრობაში და გადასახლებაში იყო, გარდაიცვალა 1924 წელს ტაშკენტის ციხეში.

<sup>3</sup> 1921 წლის დეკემბერი: მხოლოდ მეტეხის ციხეში 221 პოლიტიკური პატიმარია დატყვევებული – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/462591> (ინახა 24.09.2023)

მუშები ნითელი არმიის გაყვანას, ქართული ენის დაცვას, პოლიტპატიმართა გათავისუფლებას და თავისუფალ არჩევნებს მოითხოვდნენ. დელეგაციის წევრები საბჭოთა რეჟიმმა დააპატიმრა<sup>1</sup>.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1921 წლის გაზაფხულიდან ემიგრაციაში ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიურო, საქართველოში კი პარტიის საქმიანობამ იატაკქვეშ გადაინაცვლა. ნოე რამიშვილის და სხვა მინისტრების აქტიური მუშაობის შედეგად, 1920-იან წლებში საზღვარგარეთის ბიუროსა და საქართველოში მოქმედ არალეგალურ ორგანიზაციას შორის კავშირები მუდმივად არსებობდა. საბჭოთა საქართველოში მხოლოდ პარტიების არალეგალური იატაკქვეშა ორგანიზაციები ფუნქციონირებდა. 1950-იან წლებში პარტიის ლიდერებისა და თავად დამფუძნებლის, ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს საქმიანობა ფაქტობრივად გაჩერდა, ფორმალურად ორგანიზაცია დღემდე არსებობს.

ემიგრაციაში მყოფი რესპუბლიკის ყოფილი ლიდერები ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ევროპელ კოლეგებთან. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დაგმო დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიათა უდიდესმა ნაწილმა, სპეციალური განცხადებები გამოაქვეყნეს გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა<sup>2</sup>. საქართველოს ოკუპაცია დაგმეს და ქართველ სოციალ-დემოკრატებს სოლიდარობა

---

<sup>1</sup> საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933, გვ. 34-35

<sup>2</sup> გერმანელი სოციალისტები საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას აპროტესტებენ, – „რესპუბლიკა 100“, <https://civil.ge/ka/archives/413479> (ინახა 24.09.2023)

გამოუცხადეს შვედმა და დანიელმა სოციალ-დემოკრატებმა<sup>1</sup>. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერი არაერთი სტატია გამოაქვეყნეს კარლ კაუცკიმ, პიერ რენოდელმა, რამსეი მაკდონალდმა, კამილ ჰიუსმანსმა და ემილ ვანდერველდემ.

ევროპულ პრესაში იბეჭდებოდა საბჭოთა პროპაგანდისტული სტატიები, რის საპასუხოდაც არაერთ სტატიასა და მოხსენებას ამზადებდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერები. ერთ-ერთ ასეთ სტატიას ნიკოლოზ ჩხეიძე ამგვარად ასრულებდა – *„თუ ჩვენი ხალხი ბოლშევიკური დიქტატურის მომხრეა, მაშინ რათ ეყრდნობიან ამ იდეის მატარებელნი რუსის ხიშტებს? რატომ ვერ ბედავენ ამ ხიშტების იქიდან გაყვანას და ჩვენი ხალხისთვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ მან თავის ბედი თითონ გადასწყვიტოს თავისუფლათ?“*<sup>2</sup>

1921-1938 წლებში საბჭოთა რეჟიმმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არაერთი ლიდერი მრავალჯერ დააპატიმრა და დიდი ნაწილი დახვრიტა კიდეც. საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა დემოკრატიული რესპუბლიკის 6 მინისტრი, დამფუძნებელი კრების 50-ზე მეტი წევრი, ერობებისა და ქალაქის თვითმმართველობის ლიდერები.

სოციალ-დემოკრატთა არალეგალური და საზღვარგარეთული ჯგუფების მოქმედებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკავა ნოე რამიშვილს. 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურების ორგანიზებით მისი მკვლელობის შემდეგ კავშირები და ამ ორგანიზაციათა მოქ-

---

<sup>1</sup> შვედეთისა და დანიის სოციალისტური პარტიები საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას გამოხენ – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/413769> (ინახა 24.09.2023)

<sup>2</sup> კარლო ჩხეიძე საბჭოთა რუსეთის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას პასუხობს – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/417268> (ინახა 24.09.2023)



ნოე რამიშვილის დაკრძალვა

მედებები ნაკლებად ეფექტური იყო. ნოე რამიშვილი იყო სოციალ-დემოკრატთა ლიდერის, ნოე ჟორდანიას მთავარი დასაყრდენი და მარჯვენა ხელი, განსაკუთრებით საორგანიზაციო და კავშირების თვალსაზრისით. საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ რამიშვილის მკვლელობის ორგანიზებას, სავარაუდოდ, სწორედ ამ კავშირებისა და საორგანიზაციო საკითხების დაზიანება და თავად რამიშვილის, როგორც ლიდერის, ჩამოშორება იყო. არსებობს საარქივო წყაროებზე დაყრდნობილი მოსაზრებები, რომ რამიშვილის მკვლელობის აქტის მომზადებაში უშუალოდ იყვნენ ჩართული საქართველოს საგანგებო კომიტეტის – „ჩეკას“ ხელმძღვანელები, მათ შორის ლავრენტი ბერიაც<sup>1</sup>.

1924 წლის აჯანყებისას დახვერეთილ დაახლოებით 1000

<sup>1</sup> გელა სულაძე, საქართველოს პირველი პრემიერის – ნოე რამიშვილი მკვლელობა – Assassination of the first Prim-Minister of Georgia Noe Ramishvili, თბილისი, წიგნიერი, 2018

(დაუზუსტებელი რიცხვია) პირთა შორის უმრავლესობა სწორედ სოციალ-დემოკრატი გლეხი, მუშა და მასწავლებელი იყო. 1924 წელის აჯანყების შემდეგ მალევე დახვრიტეს მინათ-მოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, თბილისის დემოკრატიულად არჩეული პირველი თავი (მერი) ბენია ჩხიკვიძელი და სახალხო გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი<sup>1</sup>, ჯამში – დამფუძნებელი კრების 11 სოციალ-დემოკრატი წევრი<sup>2</sup>. 1920-იან წლებში რეპრესიებს ემსხვერპლნენ პროფკავშირული მოძრაობის ლიდერები.

1936-1938 წლებში „დიდი ტერორის“ პერიოდში დახვრეტილ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ყოფილი სოციალ-დემოკრატი, საბჭოთა ხელისუფლების შეფასებით, „მენშევიკი კონტრრევოლუციონერი“ იყო.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტებში 1920-იან წლებში ქალი პოლიტიკოსები დომინირებდნენ, კომიტეტს სხვადასხვა დროს დამფუძნებელი კრების ყოფილი დეპუტატები ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა მეთაურობდნენ.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ სოციალ-დემოკრატმა ქალებმა ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარებით შექმნეს ჯერ მხარდამჭერი ორგანიზაციები, შემდგომ კი „პოლიტიკური წითელი ჯვარი“, რომლის მთავარი ფუნქციაც პოლიტპატიმართა და საბჭოთა რეჟიმის მიერ დაკავებულ

<sup>1</sup> ვალიკო ჯუღელი (1887-1924) – პოლიტიკოსი, სამხედრო პირი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის ლიდერი, 1924 წელს დაბრუნდა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზებისათვის, დახვრიტეს აჯანყების შემდეგ.

<sup>2</sup> 1924 წლის აგვისტოს აჯანყება: 11 დახვრეტილი ქართველი პარლამენტარი – „რესპუბლიკა 100“ – <https://civil.ge/ka/archives/318072> (ინახა 24.09.2023)

პირთა ოჯახების მხარდაჭერა იყო. პოლიტიკური წითელი ჯვრის ხელმძღვანელობაში, ძირითადად, დამფუძნებელი კრების ქალი დეპუტატები შედიოდნენ<sup>1</sup>.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოკლე ისტორია, პარიზი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გამოცემა, 1933
- ◆ რესპუბლიკა 100 (civil.ge) – <https://civil.ge/ka/respublica100~>
- ◆ ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, თბილისი, არტანუჯი, 2006
- ◆ გელა სულაძე, საქართველოს პირველი პრემიერის – ნოე რამიშვილი მკვლელობა – Assassination of the first Prime-Minister of Georgia Noe Ramishvili, თბილისი, ნიგნი+ერი, 2018

---

<sup>1</sup> საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი – Sovlab – <https://archive.ge/ka/project/4> (იხაზა 24.09.2023)

## IX თავი – „საბჭოთა საქართველო“: პირველი წლები – დემოკრატიული რესპუბლიკის დემონტაჟი

1921 წლის 24 თებერვლის გვიანი საღამოდან საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, გენერალ კვინიტაძის ბრძანებით, თბილისის დატოვება დაიწყეს – 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის XI წითელმა არმიამ დედაქალაქის ურბანული ნაწილი უბრძოლველად დაიკავა. მანამდე, კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ბრძოლები უშუალოდ თბილისის მისადგომებთან მიმდინარეობდა. დედაქალაქს ჯარის, სახალხო გვარდიის, სამხედრო სასწავლებლის იუნკერთა და მოხალისეთა ნაწილები იცავდნენ. დედაქალაქის დაკარგვის შემდეგ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლები კიდევ 20 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. 1921 წლის 18 მარტს მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საკუთარი მცირეხნიანი არსებობა შეწყვიტა და საბჭოთა წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ საქართველოში დაიწყო ისტორიის ახალი ეტაპი – საბჭოთა საქართველოსი, რომელმაც თითქმის 70 წელს გასტანა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ფორმალურად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, რადგანაც ის, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 21 მაისს აღიარა.

საბჭოთა საქართველოს დროებითი მმართველობითი ორგანო, რევოლუციური კომიტეტი (იგივე რევკომი), წითელი არმიის მიერ საქართველოზე თავდასხმის პარალელურად, 1921 წლის 16 თებერვალს, შულავერში შეიქმნა. რევკომი სწორედ ის დროებითი მმართველი ორგანო იყო, რომელსაც

საბჭოების არჩევნებამდე უნდა ემართა რესპუბლიკა და, თავის მხრივ, სწორედ მას უნდა გაენადგურებინა ძველი – დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შექმნილი სახელმწიფო ორგანოები და ჩაენაცვლებინა ახლით. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი<sup>1</sup>, შალვა ელიავა<sup>2</sup>, მიხეილ ოკუჯავა<sup>3</sup>, ლადო დუმბაძე<sup>4</sup>, საშა გეგეჭკორი<sup>5</sup>, ბესარიონ კვიციანი<sup>6</sup>, ამაიაკ ნაზარეტიანი<sup>7</sup> და ომარ ფაიკი<sup>8</sup>. თავის მხრივ „საქართველოს რევკომის“ წევრები 1921 წლის თებერვალში დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას ერის მოლაღატეებად ჰყავდა გამოცხადებული<sup>9</sup>.

<sup>1</sup> მამია ორახელაშვილი (1881-1937) – ბოლშევიკი, ე.წ. „საქართველოს რევოლუციური კომიტეტის“ წევრი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსსრ) განათლების სახალხო კომისარი, რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე (1921-1925), ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერალისტური საბჭოთა რესპუბლიკის (ასფსრ) სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> შალვა ელიავა (1883-1937) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, სსსრ-ის სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი, სსსრ-ის და ასფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>3</sup> მიხეილ ოკუჯავა (1883-1937) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, მუშაობდა საშუალო რგოლის პარტიულ თანამდებობებზე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>4</sup> ლადო დუმბაძე (1878-1936) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრი, შრომის სახელმწიფო კომისარი, დახვრიტეს 1936 წელს.

<sup>5</sup> ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887-1928) – ბოლშევიკი, 1918-1919 წლებში საქართველოში განხორციელებული ბოლშევიკური აჯანყებების მეთაური, საქართველოს რევკომის წევრი, სსსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო და მინათობქმედების კომისარი.

<sup>6</sup> ბესარიონ კვიციანი (1885-1937) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, სსსრ-ის შინაგან და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი, სსსრ-ის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>7</sup> ამაიაკ ნაზარეტიანი – ბოლშევიკი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის წევრი.

<sup>8</sup> ომარ ფაიკი ნაზიმზადე (ომარ ფაიკი) (1872-1937) – ბოლშევიკი, საქართველოს რევკომის წევრი, მუშაობდა საბჭოთა აზერბაიჯანში პარტიულ თანამდებობებზე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>9</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1921 წლის 23 თებერვალი, N41, გვ. 1

1921 წლის 26 თებერვალს რევკომმა პირველი დეკრეტი გამოსცა – დემოკრატიული საქართველოს არმიისა და გვარდიის დემოზილიზაცია, რომლის პარალელურად უნდა შექმნილიყო ქართული წითელი არმია. „რევკომის“ მმართველობა უფრო წააგავდა ხშირად ორჯონიკიძის მხრიდან ანდაც მოსკოვიდან მომავალი კონკრეტული ბრძანებების შესრულებას, რომელიც არ ექვემდებარებოდა განხილვას.

1921 წლის 24 მარტს რევკომმა გამოსცა N7 დეკრეტი, რომლის ძალითაც დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება დათხოვილი იყო. 1921 წლის აპრილში გაუქმდა სამინისტროები და მათ ნაცვლად „სახალხო კომისარიატები“ შეიქმნა, რომელთა გაერთიანების თავმჯდომარედაც ფილიპე მახარაძე დაინიშნა. საქართველოს საოკუპაციო რეჟიმმა დაშლილად გამოაცხადა დემოკრატიულად არჩეული მრავალპარტიული საქალაქო და სამაზრო თვითმმართველობები.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, ყოფილი მთავრობა და ოპოზიცია არ სცნობდა „რევკომის“ ძალაუფლებას, მას საოკუპაციო რეჟიმად მოიხსენიებდა და, ფაქტობრივად, ანტისაბჭოთა მოძრაობას იწყებდა<sup>1</sup>.



ვლადიმერ ჯობლაძე

1921 წლის 10 აპრილს „ჩეკას“ მეთვალყურეობის ქვეშ თბილისში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენცია, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში გამართული უკანასკნელი ლეგალური პარტიული ყრილობა იყო. მას დაესწრო ქვეყანაში დარჩენილი პოლიტიკური ლიდერების მნიშვნელოვანი ნაწილი.

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, ტომი 3, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯავარიძე, დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, გვ. 272

კონფერენციას სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვლადიმერ ჯიბლაძე<sup>1</sup> თავმჯდომარეობდა. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომელიც ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნდა:

1. *„ჩვენი პოლიტიკური ხაზი ახალ პირობებშია ც საერთოდ იგივე რჩება, როგორშიც წინეთ იყო. ეს ხაზი გამოიხატება ფორმულით – „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“.*

2. *საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დღესაც მიაჩნია თავის მოღვაწეობის ერთ-ერთ საფუძვლად. მისი მუშაობა წინებურად მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრებისაკენ.*

3. *სოციალ-დემოკრატიული პარტია მუდამ იყო მასიური, განსაკუთრებით საქართველოში, და დღესაც ამგვარივე რჩება. მას მიუღებლათ მიაჩნია შეთქმულებითი მეთოდები, ის სდგას იდეურ ლეგალურ მოღვაწეობის ნიადაგზე და გადაჭრით აფრთხილებს თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს შეიარაღებული გამოსვლებისგან.*

4. *ყოველგვარ თავისუფალ არჩევნებში, რომელშიც დაინტერესებულია ხალხის ფართო მასსები, ჩვენი პარტია მიიღებს მხურვალე მონაწილეობას და შეებრძოლება ბოიკოტისტურ მეთოდებს. წარმომადგენლობითი დაწესებულებებში ის სოციალ-დემოკრატიულ კრიტიკასთან ერთად აწარმოებს ორგანულ მუშაობასაც.*

5. *ჩვენ ეხლავე მივიღებთ მონაწილეობას ყოველგვარ კულტურულ ეკონომიურ სააღმშენებლო მუშაობაში და მოვუწოდებთ ამხანაგებს და თანამგრძნობთ გადაჭრით უარყოფნა საბოტაჟი.*

---

<sup>1</sup> ვლადიმერ ჯიბლაძე (1879-1938) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1921 წლის თებერვალში იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ. დახვრიტეს 1938 წელს.

6. საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო მუშათა კლასის თანაგრძნობასა და გადაჭრით ვუარყოფთ კავშირს იმპერიალისტურ ძალებთან.

7. ამავე დროს იმ არაჩვეულებრივ და რთულ პირობებში, რომელშიაც ამ ჟამად იმყოფება საქართველო და მისი მშრომელი ხალხი, ჩვენ მიზანშეწონილათ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მუშათა კლასის შინაურ ურთიერთობის მოგვარების საქმეში ამხანაგურათ და მეგობრულათ ჩავრიეთ მუშათა ინტერნაციონალი შემდეგი ფორმით: დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის ორივე ფრთა – სოციალისტური და კომუნისტური ადგენენ შერეულ კომისიას, რომლის კონტროლს ქვემ ხდება საქართველოში თავისუფალი არჩევნები მშრომელი ხალხის ნების გამოსახატავად. ამ საკონტროლო-საარბიტრაჟო კომისიის შემადგენლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტი შეუთანხმდება კომუნისტურ პარტიას<sup>1</sup>.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაგმო სოციალ-დემოკრატთა კონფერენციის დადგენილებები და უარყო შეთავაზება, საქართველოს სწევოდა შერეული მუშათა დელეგაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად.

1921 წლის 21 მაისს, საბჭოთა საქართველოსა და რუსეთს შორის „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება“ დაიდო, რომლის მიზანი სამხედრო და სამეურნეო კავშირის შექმნა იყო, თავის მხრივ, ერთიანდებოდა შეიარაღებული ძალებიც.

1921 წლის 26 მაისს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ „დამოუკიდებლობის დღე“ აღნიშნა. ამ თარიღის მოახლოებისთანავე დააპატიმრეს დამფუძნებელი კრების წევრები და პოლიტიკური აქტივისტები. „ზეიმი“, ფაქტობრივად, ჩეკას ტერორის ქვეშ ჩატარდა. საზეიმო მიმართვებში დაგმეს „მენ-შევიკთა“ (სოციალ-დემოკრატთა), ბურჟუაზიული დიქტატ-

<sup>1</sup> ჟურნ. თავისუფალი საქართველო, 1921 წლის 26 ივლისი, N4

ურა, მათი ლაქიაობა ევროპელი იმპერიალისტების წინაშე, 26 მაისი მიიჩნის რუსეთის რევოლუციების პირმშოდ და ქართველი ხალხის მიერ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევის თარიღად, თუმცა საბჭოთა საქართველოს ლიდერებმა იქვე აღნიშნეს, რომ „ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება“ ქართველმა ხალხმა და მისმა მუშათა კლასმა, მხოლოდ „გასაბჭოების“ შემდეგ შეიგრძნო.

1921 წელს მოსკოვში რუსეთის კომუნისტური პარტიის წინაშე გაგზავნილ ვრცელ ანგარიშში ფილიპე მახარაძე ვრცლად საუბრობს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და ღიად აცხადებს, რომ – *„როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განძრახვაზე არც ერთმა იაჩეიკმა, წარმოიდგინეთ პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არაფერი არ იცოდა და იჭვიც კი არ ქონდა. საქართველოში წითელის ჯარის შესვლამ და საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე; საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებისას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული იაჩეიკა, არც მეტი რომ არა ვთქვათ პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეჭვო, ან და პირდაპირ ბოროტმოქმედმა ელემენტებმა“<sup>1</sup>.*

ამავე მოხსენებაში მახარაძე აღიარებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მოქალაქეები აშკარად საოკუპაციო რეჟიმად აღიქვამენ და, ზოგადად, „მენშევიკთა“ ხელისუფლებაში ყოფნამ და განვლილმა სამმა წელმა მოქალაქეები დამოუკიდებლო-

<sup>1</sup> 1921: ფილიპე მახარაძის მოხსენება – <https://civil.ge/ka/archives/569180> (ინახა 26.11.2023), გამოქვეყნდა ჟურნალში: „თავისუფალი საქართველო“, N24, 1922 წლის 10 ივლისი

ბას შეაჩვია – „უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვი-  
ენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას. (...) საჭ-  
ირო იყო ამ მასებისათვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მართლაც  
დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, რომ შეუძლებელი  
იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი  
უარყოფა და მოსპობა“<sup>1</sup>.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, სულ რამდენ-  
იმე თვეში მოშალა არსებული დემოკრატიული ინსტიტუტე-  
ბი, დაიწყო მოსკოვთან თითქმის ყველა სფეროს დაკავშირება  
და მჭიდროდ მიბმა. თუმცა განაგრძო რამდენიმე რეფორმა,  
რომლებშიც ერთი შეხედვით მხოლოდ მცირე „კოსმეტიკური“,  
თუმცა იდეური ცვლილებები მოახდინა. მაგალითად, გააგრ-  
ძელა ახალი სკოლების შექმნის და, ზოგადად, განათლების  
რეფორმის ტემპები, თუმცა დაიწყო სასწავლო პროგრამების  
ცვლილება, მაგალითად, ტრანსფორმირდა სოციალური და  
ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით სასწავლო  
პროგრამები და შემდეგ წლებში სკოლის სასწავლო პროგრამა  
დაცალა „ბურჟუაზიული“ მსოფლმხედველობისაგან.

#### რეკომენდებული ლიტერატურა:

- ◆ რონალდ გრეგორი სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბე-  
ბა, თბილისი, გამომცემლობა „ზიარი“, 2022
- ◆ Stephen Jones, *Establishment of Soviet Power in the Caucasus*,  
1988
- ◆ Jeremy Smith, *Georgian Affair, 1922, 1998*

---

<sup>1</sup> 1921: ფილიპე მახარაძის მოხსენება – <https://civil.ge/ka/archives/569180>  
(ინახა 26.11.2023), გამოქვეყნდა ჟურნალში: „თავისუფალი საქართველო“,  
N24, 1922 წლის 10 ივლისი

## X თავი – 1924 წლის აჯანყება და მისი შედეგები

1920-იანი წლების პირველ ნახევარში ბოლშევიკები საქართველოში არა მხოლოდ შიდა პარტიულ კრიზისსა და დაპირისპირებებს განიცდიდნენ, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა საერთოდაც არ იყო მათდამი სიმპათიებით განწყობილი – ბოლშევიკებს ქვეყნის ოკუპაციამდე ხალხი მხარს ფაქტობრივად არ უჭერდა. თავის მხრივ, საქართველოში ჯერ კიდევ, მართალია, არალეგალურად, თუმცა მოქმედებდნენ პოლიტიკური პარტიები და კვლავაც ინარჩუნებდნენ საზოგადოებაზე დიდ გავლენას. განსხვავებით სხვა დაპყრობილი ტერიტორიებისგან და საკუთრივ საბჭოთა რუსეთისგან, ბოლშევიკებმა სრული პოლიტიკური წმენდები საქართველოში ვერ ჩაატარეს – მეტწილად მათ ეშინოდათ საერთაშორისო გამომხაურებისა და ადგილობრივი მოსახლეობის. მუშათა კლასი, რომელიც სხვა რესპუბლიკებში წარმოადგენდა ბოლშევიკთა დასაყრდენ ძალას, საქართველოში უკიდურესად მცირე იყო და ვინც იყო, ძირითადად, სოციალ-დემოკრატებს ემხრობოდა. მძიმე მდგომარეობა იყო პარტიული კადრების კუთხითაც. 1922 წლისთვის მარტო გურიაში სოციალ-დემოკრატებს რვიდან ათი ათასამდე წევრი ჰყავდათ, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში კომუნისტური პარტია მთელი საქართველოს მასშტაბით თავის რიგებში მაქსიმუმ 6000 წევრს ითვლიდა – ძირითადად სოფლის მოსახლეობას<sup>1</sup>.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ჯგუფთა ნაწილმა თავშესაფარი საფრანგეთში ჰპოვა და იქიდან აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ემიგრაციაში მყოფმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა 1921-1922

<sup>1</sup> Stephen Jones, Establishment of Soviet Power in the Caucasus, გვ. 629



ქართველი და რუსი პოლიტიკოსი ემიგრანტები – ნოე ჟორდანია, ვლასა მგელაძე, პაველ აქსელროდი, აიოლო, ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი და დავით საღირაშვილი

წლებში არაერთი მოწოდება და წერილი გამოაქვეყნეს საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო რეპრესიებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის საკითხის შესახებ. 1922 წლის 6 მარტს, პარიზში, დევნილობაში მყოფმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა დეკლარაცია გამოსცეს, რომელშიც რუსეთს მოიხსენიებდნენ ოკუპანტად, მოითხოვდნენ ჯარების გაყვანასა და საერთაშორისო კანონების დაცვას. დეკლარაციას ხელს აწერდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, საქართველოს დემოკრატიული (პარტია შეიქმნა 1921 წლის იანვარში ეროვნულ-დემოკრატების, ნაციონალისტური პარტიისა და უპარტიოების გაერთიანებით) და საქართველოს სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო

პარტიები<sup>1</sup>. თავის მხრივ, ამ პარტიების მიერ აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან. ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი და ირაკლი ნერთელი პირადად ხვდებოდნენ ევროპულ სახელმწიფოთა ლიდერებს, სოციალისტური პარტიების ლიდერებს და სთხოვდნენ მხარდაჭერას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

საქართველოში დარჩენილმა პოლიტიკურმა პარტიებმა კი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, იგივე „დამკომი“ ჩამოაყალიბეს. ის აერთიანებდა სოციალ-დემოკრატიულ (და-




ნოე ჟორდანია და ნიკოლოზ ჩხეიძე სომხეთთან ომისას დაღუპულ ჯარისკაცთა სასაფლაოზე

<sup>1</sup> მარტი, 1922: დევნილობაში მყოფი საქართველოს პოლიტიკური პარტიები დეკლარაციას აქვეყნებენ, <https://civil.ge/ka/archives/484610> (ინახა – 27.11.2023)



გოგიტა ფალავა



იასონ ჯავახიშვილი

მოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებსა(ც), ეროვნულ დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტთა, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებს. ერთობის მთავარ მიზნად განისაზღვრა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. შეთანხმების ტექსტს ხელს აწერდნენ: სოციალ-დემოკრატებიდან – გიორგი (გოგიტა) ფალავა, ეროვნულ-დემოკრატებიდან – იასონ ჯავახიშვილი, სოციალისტ-ფედერალისტებიდან – გრიგოლ რცხილაძე<sup>1</sup>, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან იოსებ გობეჩია<sup>2</sup>, დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატებიდან (1921 წლის იანვარში სოციალ-დემოკრატთაგან გამოყოფილი ფრაქცია) – მუხრან ხოჭოლავა<sup>3,4</sup>.

1924 წლის ივლისში გამართულ დამკომის სხდომაზე გაიჟღერა იდეამ საერთო სახალხო აჯანყების დაწყების თარიღის

<sup>1</sup> გრიგოლ რცხილაძე (1876-1934) – პოლიტიკოსი, იურისტი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში (სტამბულში). გარდაიცვალა თბილისში.

<sup>2</sup> იოსებ გობეჩია (1879-1963) – პოლიტიკოსი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1922 წელს დამკომმა მიავლინა საზღვარგარეთ პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის. გარდაიცვალა საფრანგეთში.

<sup>3</sup> იონა (მუხრან) ხოჭოლავა (1881-1922) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (მისგან გამოყოფილი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების ლიდერი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ბათუმში დიდი ბრიტანეთის სამხედრო (საოკუპაციო) მისიასთან. გარდაიცვალა თბილისში.

<sup>4</sup> ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 59

დაზუსტების შესახებ. მსგავსი იდეა ჯერ კიდევ გასულ წელს ჰქონდათ, მაგრამ მის შესახებ გაიგო საბჭოთა უშიშროებამ და ის ჩაიშალა. ამჯერად დამკომის წევრები მიიჩნევდნენ, რომ ემიგრაციაში წასულმა პოლიტიკოსებმა კარგი მუშაობა გასწიეს და საერთაშორისო კონტექსტი იძლეოდა ევროპული ქვეყნების მხარდაჭერის იმედს – ხოლო თუ აჯანყების შემდეგ ისინი ხელისუფლებას შეინარჩუნებდნენ 2 თვის განმავლობაში, ევროპიდან უკვე აქტიურ ფულად და პოლიტიკურ დახმარებასაც აღმოუჩენდნენ<sup>1</sup>. თავის მხრივ, გეგმის დამუშავება კოორდინირებულად მიმდინარეობდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთანაც.



გრიგოლ რცხილაძე



იოსებ გომბეჩია



მუხრან ნოჭოლავა

აჯანყების მომზადება და ორგანიზება ფაქტობრივად გაყოფილი იყო პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. პოლიტიკურ კოორდინაციას დამკომი და, შესაბამისად, პოლიტიკური პარტიები უძღვებოდნენ, ხოლო სამხედრო მეთაურობას – დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების – ჯარის და გვარდიის ყოფილი ოფიცრობა. აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყებას უხელმძღვანელებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელსაც თავისი რაზმების რიგებში დაახლოებით 600 შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდა. ის გეგმავდა, აეჯანყებინა კახეთის მხარე, დუშეთის მაზრა და მანგლისის რაიონი. გეგმის თანახმად, საქართ-

<sup>1</sup> ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 64

ველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია უხელმძღვანელებდა აჯანყებებს გურიასა და გარე კახეთში. 600 შეიარაღებული აჯანყებული უნდა გამოეყვანა სვანეთს, რამდენიმე ასეული გურიასა და სამეგრელოს. სამეგრელოს და სვანეთის რაზმებს უნდა დაეკავებინა აფხაზეთი. იმერეთში აჯანყება, ძირითადად, შორაპნის მაზრაზე იყო დამოკიდებული. თბილისში სოციალ-დემოკრატებს უნდა გამოეყვანათ 500, ედპ-ს – 150, ხოლო ესერებს 60 ადამიანი.

6 აგვისტოს საბჭოთა უშიშროების სამსახურებმა აჯანყების გეგმის ერთ-ერთი ავტორი, ვალიკო ჯუღელი დააპატიმრეს. იქვე მას უჩვენეს აჯანყების გეგმა – როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლებამ უკვე იცოდა დაგეგმილი მოვლენების შესახებ, სწორედ ამიტომაც ციხიდან ჯუღელმა თანამოაზრეებს მისწერა წერილი, რომ შეეწყვიტათ მომავალი აჯანყება. მიუხედავად ამისა, დათქმულ დროს (ჭიათურაში 1 დღით ადრე) სამხედრო მოქმედებები დაიწყო. ხელისუფლება, რომელმაც კარგად იცოდა ოპერაციის შესახებ, აჯანყებას მომზადებული დახვდა და სულ რაღაც ორ დღეში მთავარი შეტევის ფაზა წარმატებით მოიგერია. აჯანყება ყველაზე წარმატებული სენაკის მაზრაში აღმოჩნდა, სადაც აჯანყებულებმა ძალაუფლება ხელში აიღეს, ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები კი დაატყვევეს. 31 აგვისტოდან ხელისუფლებამ პოლიტიკური რეპრესიები დაიწყო – ჯერ დახვრიტეს ტყვედ ჩავარდნილი 44 აჯანყებული, ხოლო მოგვიანებით კი რეპრესიები მოედო მთელს ქვეყანას და, რაც მთავარია, პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ძალდატანებით ფაქტობრივად გააუქმეს. შეიძლება ითქვას, რომ 1924 წლის წარუმატებელი აჯანყების შედეგად, ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაეხსნა, დაესრულებინა მრავალპარტიული პოლიტიკური სივრცე და ამავდროულად ზეწოლა მოეხდინა ყველა მისთვის არასასურ-

ველ ადამიანზე. ფაქტობრივად, აჯანყების შედეგად, საბჭოთა ხელისუფლებამ სრული პოლიტიკური კონტროლი დაამყარა რესპუბლიკაზე, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა დიდი ხნით დაასამარა.

1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ სულ რამდენიმე დღეში საბჭოთა ხელისუფლებამ დახვრიტა პატიმრობაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 11 წევრი: გაბრიელ ცისკარიშვილი<sup>1</sup>, ვასილ გურჯუა<sup>2</sup>, ილია კოპალეიშვილი<sup>3</sup>, სარდიონ თევზაძე<sup>4</sup>, ვასო ცაბაძე<sup>5</sup>, ვასო ნოდია<sup>6</sup>, ალექსანდრე ჩიქავა<sup>7</sup> და

<sup>1</sup> გაბრიელ ცისკარიშვილი (1892-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, 1921 წლის თებერვალში იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ, მძიმედ დაიჭრა. დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>2</sup> ვასილ (ვასო) გურჯუა (1885-1924) – ეროვნებით აფხაზი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, აფხაზეთის ეროვნული საბჭოს წევრი. დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>3</sup> ილია კოპალეიშვილი (1865-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი). დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>4</sup> სარდიონ თევზაძე (1882-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>5</sup> ვასილ (ვასო) ცაბაძე (1872-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვეტერანი აქტივისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, გორის სამაზრო საერობო ყრილობის თავმჯდომარე. დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>6</sup> ვასილ (ვასო) ნოდია (1891-1924) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წლის თებერვალში იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ, ტყვედ ჩავარდნილმა თავს გაქცევაში უშველა, 1922 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა ქვეყნიდან გააძევეს, ამავე წელს ფარულად დაბრუნდა საქართველოში, 1924 წელს მიაკვლინეს საფრანგეთში აჯანყების სამზადისთან დაკავშირებით, საქართველოში დაბრუნდა აჯანყების ლიდერებთან ერთად. დახვრიტეს 1924 წელს.

<sup>7</sup> ალექსანდრე ჩიქავა (1882-1924) – პოლიტიკოსი, პედაგოგი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი, დახვრიტეს 1924 წელს.

აჯანყების მეთაურები – გოგიტა ფალავა, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი და ვალიკო ჯუღელი.<sup>1</sup> აჯანყების შემდეგ პატიმრობასა და გადასახლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატებისადმი რეპრესიები კიდევ უფრო გამკაცრდა, ბევრი მათგანი გადასახლებიდან კვლავ საპყრობილეებში დააბრუნეს.



ვასო  
ნოდია



გაბრიელ  
ჩხიკარიშვილი



ვასო  
ცაბაძე



ილია  
კობალეიშვილი



სარდიონ  
თევზაძე



ვასილ  
გურჯუა



ალექსანდრე  
ჩიქვა



გოგიტა  
ფალავა



გრიგოლ  
გიორგაძე



ნოე  
ხომერიკი



ვალიკო  
ჯუღელი

ქართველ ისტორიკოსებში არ არსებობს ერთი აზრი იმის შესახებ, თუ რატომ განხორციელდა აჯანყება მაშინ, როცა მისმა ავტორებმა იცოდნენ, რომ აჯანყების შესახებ ხელისუფლებას დეტალური ინფორმაცია ჰქონდა. ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს იყო ჰეროიკული აქტი, მეორე ჯგუ-

<sup>1</sup> 1924 წლის აგვისტოს აჯანყება: 11 დახვრეტილი ქართველი პარლამენტარი, <https://civil.ge/ka/archives/318072> (ინახა 27.11.2023)

ფი მას დიდ შეცდომად განიხილავს, ხოლო მესამე საერთოდაც მიიჩნევს, რომ აჯანყება ინსპირირებული იყო თავად ბოლშევიკური აგენტურის მიერ. ისტორიკოსი ლევან ჯიქია ამბობს – „1924 წლის აჯანყება 1921 წლიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის კულმინაციას წარმოადგენდა. მართალია, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები გადაჭარბებულად აფასებდნენ ევროპის როლს „საქართველოს საკითხში“, მაგრამ რაც მთავარია, ისინი საქართველოს გასათავისუფლებლად თავგანწირვით იბრძოდნენ. აქედან გამომდინარე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების „ავანტიურისტებად“ და 1924 წლის აჯანყების „ავანტიურად“ მონათვლა ნამდვილად ისტორიული უსამართლობა იქნება. 1924 წლის აჯანყების მონაწილეები ისეთივე გმირები არიან საქართველოსი, როგორც ცოტნე დადიანი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვა“<sup>1</sup>. მისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებს ალექსანდრე დაუშვილი – „ბოლო წლებში ქართველ ისტორიკოსთა შორის სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი, რომ 1924 წლის აჯანყება პროვოცირებული იყო კომუნისტური ხელისუფლების მიერ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ არაკომუნისტურ ოპოზიციას, დაენერგათ ქვეყანაში „შიშის სინდრომი“, დაეშინებინათ ინტელიგენცია და მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უზრუნველყოთ პირობები კომუნისტურ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად. ფაქტები ადასტურებს, რომ ყველა ეს ამოცანა მეტ-ნაკლები წარმატებით გადაიჭრა და ქვეყანაში დამკვიდრდა „პროლეტარული დიქტატურა“, ანუ ერთი პარტიის – კომუნისტური პარტიის შეუზღუდავი ხელისუფლება“<sup>2</sup>. პროფესორი დიმიტრი შველიძე საინტერესო მოსაზრებას

<sup>1</sup> ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 234

<sup>2</sup> ალექსანდრე დაუშვილი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. 4 თბ. 2012 წ. გვ. 290

გვთავაზობს 1924 წლის აჯანყებების შეფასებისათვის და მიიჩნევს, რომ მსგავსი მასშტაბის ეროვნული აჯანყების რაციონალურ გათვლებზე საუბარი ხშირად ფუჭია, რადგანაც აჯანყებებს უმეტესწილად სხვა ალტერნატიული გამოსავლების არარსებობა იწვევს – *„აჯანყება ყოველთვის არაა რაციონალური, გაანგარიშებული, ზუსტად გათვლილი ქმედება-აქტი. ის ხშირად იძულებითი, სხვა არსებული ვითარებიდან გამოსავლის თითქმის არარსებობის გამო მომხდარ-გამონევეული აქტია. ამიტომ მათი შეფასება, მიზანშეწონილობა-მიზანშეუწონლობის პრინციპიდან კი არა, არამედ, ბოროტებისადმი, უსამართლობისადმი წინააღმდეგობის განხილვისა და თავისუფლებისათვის შეტანილი საპატიო წვლილის ერთადერთი პრინციპით უნდა მოხდეს. სვანეთის, ხევსურეთ-კახეთის, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებებისა და აჯანყებულების მიმართ მხოლოდ ერთი შეფასება შეიძლება არსებოდეს, ისევე, როგორც ყველა ანალოგიური მოძრაობისადმი და რაც უნაკლოდ შეაფასა აჯანყების ერთ-ერთმა თავკაცმა იასონ ჯავახიშვილმა<sup>1</sup> თავის საბოლოო სიტყვაში ზემოაღნიშნულ სასამართლო პროცესზე: ამბობენ, როდესაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დაბეჩავებული ერები ებრძვიან იმპერიალისტურ ერებს, ეს პროგრესი არისო, როცა დაბეჩავებული ერები ებრძვიან საბჭოთა რუსეთს, ეს რეგრესიაო. ნამდვილად კი ბრძოლა დამპყრობელთა თუ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს ეს მჩაგვრელი: შავი თუ წითელი იმპერიალიზმი – დიდი დადებითი, პროგრესული მოვლენა“<sup>2</sup>.*

1924 წლის აჯანყების დასრულებითა და მის შემდგომ გან-

<sup>1</sup> იასონ ჯავახიშვილი (1887-1937) – პოლიტიკოსი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი, დააპატიმრეს 1924 წლის აჯანყებისას. გადაასახლეს ომსკის ოლქში, დახვრიტეს 1927 წელს.

<sup>2</sup> დიმიტრი შველიძე, საქართველოს უახლესი ისტორია, თბილისი, მერიდიანი 2021, გვ. 131

ვითარებული პროცესების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დასრულდა საქართველოს ისტორიის ერთი ეტაპი და დაიწყო მეორე – საბჭოთა საქართველოსი, ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეა კი დიდი ხნით დასამარდა.

1924 წლის სექტემბერში ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობას კიდევ ერთი დიდი დარტყმა მიაღდა ტაშკენტის საპრობილეში დამფუძნებელი კრების ვიცე-სპიკერის, ალექსანდრე ლომთათიძის გარდაცვალებით.

1924 წლის აჯანყების შემდეგ არალეგალური ორგანიზაციების მუშაობა კიდევ უფრო მძიმე და რთული გახდა, თავისუფალი სოციალ-დემოკრატთა მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა. 1924 წლამდე, როგორც წესი, პარიზსა და სტამბულში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო და მისი წარმომადგენლობები ნოე რამიშვილის, ნოე



ნომერიკის და სხვათა კოორდინირებით, მარტივად ახერხებდა ოკუპირებულ საქართველოში აგენტურული ქსელების საშუალებით არალეგალურად შემოტანილი ლიტერატურის გავრცელებასა თუ ანტისაბჭოთა პროპაგანდის წარმოებას.

1924 წლის აჯანყების შემდეგ „ჩეკამ“ გაამკაცრა სასაზღვრო ზონების კონტროლი, გამოავლინა საიდუმლო ორგანიზაციები და მინიმუმამდე დაიყვანა ანტისაბჭოთა პროპაგანდის გამოვლინების საშუალებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 1930 წლამდე, ნოე რამიშვილის მკვლელობამდე, საქართველოს პოლიტიკურ ემიგრაციასთან კავშირზე მყოფი აგენტურული და საიდუმლო ქსელების რაოდენობა საკმაო იყო. რამიშვილის მკვლელობით კი საბჭოთა ხელისუფლებამ

ჩამოიშორა არა მხოლოდ იდეოლოგიური მტერი (რომელიც 1918-1921 წლებში ენერგიულად ებრძოდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში კომუნისტურ პროპაგანდასა და რესპუბლიკის დამხობის გეგმებს), არამედ ამ საიდუმლო ქსელების მთავარი ორგანიზატორიც. მართალია, რამიშვილის მკვლევლობის შემდეგაც გაგრძელდა ემიგრაციასთან საიდუმლო კავშირი, თუმცა მისი ინტენსივობა მნიშვნელოვნად დაეცა. ამასთან თავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს და ემიგრანტული მთავრობის მოქმედებები შეიზღუდა. ევროპის სახელმწიფოებმა დიპლომატიური კავშირები დაამყარეს საბჭოთა კავშირთან.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ *ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, 2012*
- ◆ *ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, 2007*

## XI თავი – საბჭოთა დიდი ტერორი და სოციალ-დემოკრატები

საბჭოთა კავშირში 1936 წლიდან 1938 წლამდე მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა. დახვრეტილთა ზუსტი ციფრი უცნობია, თუმცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საერთო ჯამში 1 მილიონამდე ადამიანი დახვრიტეს, ხოლო გადასახლებულების ციფრი კი შეიძლება რამდენიმე მილიონსაც აჭარბებდეს. დღემდე უცნობია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს, თუმცაღა ფაქტია, რომ მისი ერთ-ერთი ამოცანა საზოგადოებაში მასობრივი შიშის დათესვა იყო. რეპრესიებს, ან დიდ ტერორსა და წმენდას, როგორც მას სხვაგვარად ეძახიან, ჰქონდა თავისი ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებაც. მეორე მხრივ, მსგავსი მასშტაბის პოლიტიკა ვერ იქნებოდა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის წარმოებული – მასში არ იყო ჩართული მხოლოდ ბიუროკრატების მაღალი ეშელონები, არამედ პოლიტიკას ჰყავდა თავისი გამტარები დაბალ რგოლებში – ქალაქებში, სოფლებსა და თემებში. თავის მხრივ, მოსახლეობა თავადვე აქტიურად იყო ჩართული რეპრესიების პროცესში, სწორედ რიგითი ადამიანები საკუთარი ნებით (სხვადასხვა მიზეზით), გამოგონილი ბრალდებით ასმენდნენ საკუთარ მეგობრებს, თანასოფლელებსა და უბრალოდ გარშემო მყოფ ადამიანებს.

სახელმწიფო ოფიციალურად და საჯარო პროპაგანდის დონეზე ხალხის მტრებს „ექვბდა“ – ზოგი კონტრრევოლუციონერი იყო, ზოგი – ტროცკისტი, გერმანელების აგენტი, ხოლო ზოგიც კი მენშევიკი (სოციალ-დემოკრატი). განაჩენის გამოტანა კი ვითომდა „ხალხის“ ლეგიტიმაციით ხდებოდა – მუშები, პროფკავშირები, გლეხები საბჭოთა პრესაში აქტიურად ითხოვდნენ დამნაშავეების დასჯას.

საქართველოში სულ 29 051 ადამიანი იქნა რეპრესირებული, აქედან 14 372 დახვრიტეს, 14 679 კი გადაასახლეს. რეპრესიების აბსოლუტური უმრავლესობა რიგით მშრომელ ადამიანებს შეეხო. 1937 წლის 7 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ლავრენტი ბერიას ბრძანებით განსაკუთრებული სამეული შეიქმნა, რომელიც განიხილავდა რეპრესიების პერიოდში არსებულ საქმეებს. მასში შედიოდნენ: საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ავქსენტი რაფავა, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი ილარიონ ტალახაძე და მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსი შალვა წერეთელი. მოგვიანებით, 1938 წელს მისი შემადგენლობა შეიცვალა – ავქსენტი რაფავა ჩანაცვლდა მისივე უფროსით – სერგო გოგლიძით<sup>1</sup>.

შედგენილი დოკუმენტებით კი გამოიყო რეპრესიების სამი ძირითადი ტიპოლოგია და მიმართულება: კულაკური ოპერაცია, ნაციონალური ოპერაცია, მილიციის სამეული<sup>2</sup>.

კულაკური ოპერაციები გულისხმობდა სისხლის სამართლის დამნაშავეებსა და ანტისაბჭოთა ელემენტებთან ბრძოლას – თავის მხრივ, ეს გულისხმობდა ძველ სოციალ-დემოკრატებს, ანარქისტებს, მღვდელმსახურებს, თეთრი არმიის ჯარისკაცებსა და სხვა პოლიტიკურად შეუთავსებელ პირთა დასჯას. სულ საბჭოთა კავშირის მასშტაბით 800 000-მდე საქმე იქნა აღძრული კულაკური ოპერაციის საფარქვეშ. ნაციონალური ოპერაციები გამოირჩეოდა ეთნიკური ხასიათით და შეეხო სულ 365 ათას ადამიანს. კულაკური ოპერაციის შემდეგ ყველაზე მასშტაბური

<sup>1</sup> დავით ჯიშკარიანი, 1937-1938 წლის მასობრივი რეპრესიები საქართველოში, გვ. 3-4

<sup>2</sup> მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი, ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, გვ. 31-37

მილიციის სამეულები იყო, რომლის დროსაც სასამართლოს მიღმა, სამეულის მიერ ხდებოდა განაჩენის გამოტანა. ოფიციალურად სამეულებს უნდა განეხილათ „საქმეები სისხლის სამართლის დეკლასირებული ელემენტებისა და საპასპორტო წესების ბოროტად დამრღვევთა შესახებ“. სამეულების სახელით რეპრესიები შეეხო 420-450 ათას ადამიანს.

საქართველოში, ისევე, როგორც ზოგადად საბჭოთა კავშირში, რეპრესიების უდიდესი ნაწილი კულაკურ ოპერაციებზე მოდიოდა – 21 107 საქმე; სტალინურ სიებზე<sup>1</sup> – 3 621; ნაციონალურ ოპერაციებზე – 2 119; მილიციის სამეულებზე – 2 204.

რეპრესიები შეეხო თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფს, მათ შორის ძველი თაობის ბოლშევიკებს – დახვრიტეს ბუდუ მდივანი<sup>2</sup>, მამია ორახელაშვილი, ლევან ლოლობერიძე<sup>3</sup>, მალაქია ტოროშელიძე<sup>4</sup>, სამსონ მამულია<sup>5</sup> და ა.შ. დიდი წნეხის წინაშე აღმოჩნდნენ ქართველი მწერლები – მწერალთა სახლი სა-

<sup>1</sup> „სტალინური სია“ – უშუალოდ იოსებ სტალინის მიერ ხელმოწერილი დასახვრეტთა სია.

<sup>2</sup> ბუდუ მდივანი (1877-1937) – ბოლშევიკი (კომუნისტი), რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერალისტური რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ანკარაში, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>3</sup> ლევან ლოლობერიძე (1898-1937) – ბოლშევიკი (კომუნისტი), ოკუპაციის შემდეგ იყო თბილისის რევკომის თავმჯდომარე, სსსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>4</sup> მალაქია ტოროშელიძე (1880-1937) – ბოლშევიკი (კომუნისტი), დაპატიმრებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ (მისი ცოლი სოციალ-დემოკრატი მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე ამ დროს დამფუძნებელი კრების წევრი იყო), ბათუმის რევოლუციური კომიტეტის წევრი, ცეკავშირის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სსსრ-ის სახალხო განათლების კომისიარი. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>5</sup> სამსონ მამულია (1891-1937) – ბოლშევიკი (კომუნისტი), დაპატიმრებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, სენაკის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი (1930-1921). დახვრიტეს 1937 წელს.



გრიგოლ  
ლორთქიფანიძე

სამართლო დარბაზს უფრო ჰგავდა, სადაც მწერლები ერთმანეთს უყენებდნენ ბრალს „ხალხის მტრობაში“.

დიდი ტერორის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილი პოლიტიკური ოპონენტების ფიზიკური მოსპობა. 1926 წლიდან საბჭოთა ძალოვან-მა უწყებებმა დაიწყეს იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გადასახლებული და იმჟამად თავისუფლებაში მყოფი ყოფილი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური აქტივისტების კვლავ დაკავება და განადგურება. ამ დროს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხეებსა და გადასახლებების ადგილებში ათობით გავლენიანი სოციალ-დემოკრატი იმყოფებოდა.

1937-1938 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების 40-ზე მეტი წევრი დახვრიტა. მათ შორის, გრიგოლ ლორთქიფანიძე – მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, მინათმოქმედების მინისტრი დავით ონიაშვილი<sup>1</sup> და გზათა მინისტრი, სოციალისტ-რევოლუციონერი ივანე ლორთქიფანიძე<sup>2</sup>. დიდი ტერო-



გრიგოლ  
გიორგაძე

<sup>1</sup> დავით ონიაშვილი (1883-1937) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რესპუბლიკის მინათმოქმედების მინისტრი, თბილისის მაზრის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარე, იყო არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე (1924). დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>2</sup> ივანე ლორთქიფანიძე (1890-1937) – ექიმი, პოლიტიკოსი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რესპუბლიკის გზათა მინისტრი. დახვრიტეს 1937 წელს.

რის დროს დახვრიტეს დამფუძნებელი კრების ქალი დეპუტატები – ანა სოლოლაშვილი და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ე.წ. „მენშევიკური კონტრ-რევოლუციური ცენტრის“ ციმბირის ჯგუფის ხელმძღვანელობის ბრალდებით ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი 1924 წლის აგვისტოში დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი<sup>1</sup> დააკავეს<sup>2</sup>. როგორც წესი, იდეოლოგიური მტრების მოსაშორებლად ძალოვანი უწყებები სტანდარტულ საბრალდებო საქმეებს ადგენდნენ. მაგალითად, ანა სოლოლაშვილს ბრალად ედებოდა ქ. ცხინვალში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელთან – ისიდორე რამიშვილთან კავშირი<sup>3</sup>.



დავით  
ონიაშვილი



ივანე  
ლორთქიფანიძე



კონსტანტინე  
ანდრონიკაშვილი

1924 და 1937-1938 წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100-ზე მეტ პოლიტიკოსს მკაცრი რეპრესიები შეეხო. რეპრესირებულ პოლი-

<sup>1</sup> კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (1876-1937/1938) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის ამხანაგი (მოადგილე), დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელი. დახვრიტეს დიდი ტერორის დროს.

<sup>2</sup> ირაკლი ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი, SovLab, 216, გვ. 154, 179

<sup>3</sup> იქვე, გვ. 366

ტიკოსთა 90%-ზე მეტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება არც სხვა პოლიტიკურ პარტიებს სწყალობდა, მათ შორის არც იმ მცირე ჯგუფებს, რომლებიც 1921 წლის თებერვალში მათ-დამი კეთილგანწყობილი იყო. 1924 და 1937-1938 წლებში, საერთო ჯამში, დამფუძნებელი კრების 51 წევრი დახვრიტეს, მათგან 43 სოციალ-დემოკრატი. საბჭოთა რეპრესიების შედეგად დახვრიტეს რესპუბლიკის 5 მინისტრი, ერთი, პარმენჭიჩინაძე, ციხეში გარდაიცვალა, ნოე რამიშვილი კი ემიგრაციაში მოკლეს<sup>1</sup>.

საბჭოთა დიდი ტერორის განხორციელების შემდეგ ემიგრაციაში მოქმედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს საქართველოში კავშირი სულ რამდენიმე მცირე ზომის არალეგალურ ჯგუფთან ჰქონდა (ძირითადად აჭარა-გურიასა და პორტებში). გამკაცრებული სასაზღვრო კონტროლის გამო სულ რამდენიმე პერსონა თუ ახერხებდა საბჭოთა კავშირის საზღვრებში შემოღწევას. ამ დროისათვის ყოფილ სოციალ-დემოკრატთაგან ცოცხალი სულ რამდენიმე ყოფილი დეპუტატიდა იყო შემორჩენილი, რომელთაც შიშით დიდი ხნის წინ ჰქონდათ შეწყვეტილი პოლიტიკური საქმიანობა.

დიდი ტერორის შედეგად, რესპუბლიკაში, ისევე, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, მოსახლეობა შიშმა მოიცვა. რეპრესიების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო ყველაფერი, შედეგი კი არ იყო მხოლოდ ინდივიდუალური – ის ეხებოდა მთელ ოჯახს. „ხალხის მტრის“ ოჯახის წევრობა, პასიური ბრალდება და განაჩენი იყო. მსგავსი სტატუსის ადამიანი არა მხოლოდ მონყვეტილი იყო საჯარო

---

<sup>1</sup> ირაკლი ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი, SovLab, 216, გვ. 45

სიკეთეებს, რაც კრიტიკულად ზღუდავდა მისი პიროვნული თუ კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, არამედ სხვა რიგითი ადამიანები არიდებდნენ თავს მათთან ურთიერთობას, რათა თავადვე არ გამხდარიყვნენ რეპრესიების მსხვერპლი. საერთო ჯამში, ტერორს საქართველოში ათიათასობით ადამიანი ემსხვერპლა – ის შეეხო საზოგადოების ყველა ფენას, განურჩევლად ეთნიკურობისა, სოციალური მდგომარეობისა, კლასისა თუ დამსახურებისა.

**რეკომენდებული ლიტერატურა:**



- ♦ *მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი, ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, 2015*

## **XII თავი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის შამდე**

მეორე მსოფლიო ომი გარდამტეხი აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკისათვის. ქართველ სოციალ-დემოკრატთა დიდი ნაწილი ომის დაწყებამდეც აკრიტიკებდა გერმანიის ნაცისტურ რეჟიმს. თუმცა, პარტიის ერთი ჯგუფი, რომელიც 1917 წლამდე ინტერნაციონალისტური იდეებით გამოირჩეოდა, ვლადიმერ ახმეტელაშვილის მეთაურობით, 1930-იანი წლებში უკვე წინააღმდეგობაში იმყოფებოდა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ცენტრალურ ხაზთან (ჟორდანია-ჩხენკელ-გეგეჭკორის). ახმეტელაშვილის იდეური ხელმძღვანელობით მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი 1930-იანი წლების ბოლოს დაუახლოვდა ნაცისტურ რეჟიმს, განსაკუთრებით ამ რეჟიმის აღმოსავლური პოლიტიკის განყოფილებას. ეს ჯგუფი სხვა ქართველ (განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის) აქტივისტებსა და ორგანიზაციებთან ერთად მომავალ საომარ ვითარებაში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შესაძლო ომის დროს ფსონს გერმანიაზე დებდა, ეიმედებოდა, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელი იყო. ამ დამოკიდებულებას კრიტიკოსები მრავლად ჰყავდა. ჟორდანია, მაგალითად, 1930-იანი წლებში გამოქვეყნებულ თავის წერილებში ნაციზმის, ფაშიზმისა და კომუნიზმის მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა.

ნოე ჟორდანია იყო ერთ-ერთი პირველი ავტორი ევროპაში, რომელმაც ვრცლად დაიწყო საბჭოთა რეჟიმის შესახებ წერა და საბჭოური კომუნიზმის კრიტიკა. მისი წერილები და წიგნები ქვეყნდებოდა ქართულად, რუსულად და ფრანგულად.

ლად. დროდადრო ნოე ჟორდანიასა და ემიგრაციაში მყოფ სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატ ლიდერებს ინვევდნენ აკადემიურ დანესებულებებში საბჭოთა რეჟიმის შესახებ ლექციების წასაკითხად.



ემიგრაციაში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო მეორე მსოფლიო ომის დროს ძირითადად ორი მიმართულებით (ჰუმანიტარული) მუშაობდა არაფორმალური გზებით. ერთი შეეხებოდა საქართველოდან ემიგრირებული ქართველი ებრაელების გადარჩენას, ამ პროცესში თავად ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელსა და სხვებთან ერთად დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე), სოციალ-დემოკრატი, ქართველი ებრაელი იოსებ ელიგულაშვილი<sup>1</sup> კურირებდა. ქართველ ებრაელთა გადარჩენის პროცესში სოციალ-დემოკრატები თავად



იოსებ ელიგულაშვილი

<sup>1</sup> იოსებ ელიგულაშვილი (1890-1952) – ქართველი-ებრაელი, პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი (მოადგილე), 1921 წელს ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული საგანძურის ტრანსპორტირებას საქართველოდან საფრანგეთში.

ნამშრომლობდნენ იმ ქართველ ემიგრანტებთან, რომლებიც თავის მხრივ ნაცისტური გერმანიის მხარდამჭერები იყვნენ. მეორე მხრივ, საზღვარგარეთული ბიურო ცდილობდა ტყვედ ჩავარდნილი ქართველების გადარჩენას, მათი ნაწილი საფრანგეთში გადაჰყავდა სხვადასხვა არაფორმალური გზით.

რეალური პოლიტიკური ქმედებებისთვის მსოფლიო ომის და შემდგომ პერიოდში სივრცე ნაკლებად რჩებოდა. მართალია, ჟორდანია, გეგეჭკორი და ჩხეიძე კვლავ აგრძელებდნენ მემორანდუმების გაგზავნას და ნაცნობ ევროპელ პოლიტიკოსებთან კომუნიკაციას, თუმცა მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებული საბჭოთა კავშირის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დასმა იდეალისტებისათვისაც კი წარმოუდგენელი იყო.



ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები კარლო ჩხეიძის კუბოსთან

1930-1940-იან წლებში, ზოგადად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო ძალზე დასუს-

ტებუღია. 1920-იან წლებში პირველი დარტყმა ბიურომ ნიკოლოზ ჩხეიძის თვითმკვლელობით მიიღო. მალევე პარტიის ცენტრალურ ხაზს დაუპირისპირდა ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი და, ფაქტობრივად, პარტია დატოვა. 1930 წელს ნოე რამიშვილის, როგორც პარტიის მთავარი მამოძრავებელი ძალის, მკვლელობა უდიდესი დარტყმა აღმოჩნდა ბიუროსათვის.



გიორგი ერაძე

შემდგომ პარტიას მარჯვნივ (გერმანიის მხარეს) გადახრილი ფრაქცია გამოაკლდა. ამასთან 1930-1940-იანი წლების მიჯნაზე საზღვარგარეთული ბიუროს რამდენიმე წევრი გარდაიცვალა. 1940-იანი წლების ბოლოს კი ბიურო ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, აკაკი ჩხენკელსა და რამდენიმე ყოფილ მინისტრსა თუ კრების წევრს ითვლიდა. 1953 წლის იანვარში გარდაიცვალა ნოე ჟორდანია, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ – ევგენი გეგეჭკორიც. საზღვარგარეთული ბიურო შეივსო რამდენიმე ახალგაზრდა წევრით (1920-1930-იანი წლებში ოკუპირებული საქართველოდან ემიგრირებული ახალგაზრდებით). 1959 წელს გარდაიცვალა აკაკი ჩხენკელი, ფაქტობრივად, პარტიის უკანასკნელი ლიდერი. საზღვარგარეთული ბიურო ფორმალურად კვლავ არსებობდა და ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებს და 1922 წელს პარიზთან ახლოს ემიგრანტ პოლიტიკოსთათვის შექმნილ ლევილის მამულში აგრძელებდა არაფორმალურ საქმიანობას. 1971 წელს გარდაიცვალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

უკანასკნელი ცოცხალი ყოფილი მინისტრი გიორგი ერაძე<sup>1</sup>. დამფუძნებელი კრების დეპუტატთაგან რეპრესიებს ცოცხლად გადარჩენილი უკანასკნელი დეპუტატი საქართველოში, სოციალ-დემოკრატი ქრისტინე შარაშიძე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს იძულებით 1922-1923 წელს ჩამოშორდა, 1973 წელს გარდაიცვალა თბილისში<sup>2</sup>. 1919-1921 წლებს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი ცოცხალი დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი მოსე დავარაშვილი<sup>3</sup> 1980 წელს გარდაიცვალა იერუსალიმში<sup>4</sup>.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიის დასასრული 1930-იანი წლებიდან დაიწყო, როცა პარტიას საქართველოშიც (არალეგალური) და ემიგრაციაშიც გავლენა თანდათან შეუმცირდა. 1930-იანი წლების მიწურულს საქართველოში მოქმედი პარტიის არალეგალური უჯრედები ფიზიკურად მოისპო, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა საერთაშორისო პოლიტიკამ საქართველოს საკითხი და პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს დანიშნულება მინიმუმამდე შეამცირა.

---

<sup>1</sup> გიორგი ერაძე (1882-1971) – პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, რესპუბლიკის შრომისა და მომარაგების მინისტრი. გარდაიცვალა საფრანგეთში.

<sup>2</sup> ირაკლი ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრება 1919, SovLab, 2016

<sup>3</sup> მოსე დავარაშვილი (1893-1980) – რაბინი, პოლიტიკოსი, ქართველი ებრაელი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი.

<sup>4</sup> ირაკლი ხვადაგიანი, დამფუძნებელი კრება 1919, SovLab, 2016

## შეჯამება

დაზუსტებული ქრონოლოგიური ჩარჩოს შედგენა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის ისტორიის შესახებ საკმაოდ რთულია, თუმცა ეს ქრონოლოგიური ჩარჩო ნამდვილად მოიცავს პერიოდს 1880-იანი წლების დასასრულიდან 1950-იანი წლების დასაწყისამდე. 1892 წლის 25 აგვისტო კი უდავოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული სოციალ-დემოკრატიის, როგორც სისტემური მოძრაობის, დაბადების თარიღად, მოძრაობის, რომელიც მინიმუმ 30 წლის განმავლობაში საქართველოში დომინანტ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენდა და რომელმაც, მიუხედავად წინააღმდეგობისა, ქვეყანაში მცხოვრებთა ყველა კლასი და ჯგუფი მოიცვა.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა სულ ათამდე კაცის შეკრებით დაიწყო საქართველოში და 1921 წლისათვის პიკს მიაღწია – მაშინ, როდესაც პარტიის ოფიციალურ წევრთა რაოდენობა 80 000 ადამიანს აღწევდა, ხოლო მათი მხარდამჭერთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 80%-ს აჭარბებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მართალია, თითქმის 15 წელი იყო რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მისი „მენშევიკური“ ფრაქციის) ნაწილი, თუმცა ის დიდწილად ინარჩუნებდა ავტონომიურობას. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ბევრად ადრე იყო შექმნილი, ვიდრე რუსეთისა. ამასთან, ქართულ სოციალ-დემოკრატიას თავისი გამოკვეთილი ლიდერი და იდეოლოგი ჰყავდა, რომელიც დიდწილად ევროპული სოციალ-დემოკრატიული იდეებით იყო მოხიზლული და მისი თეორიული საყრდენი ევროპელ მარქსისტთა და მარქსიზმის რევიზიონისტთა იდეებიდან მომდინარეობდა.

საქართველოში სოციალ-დემოკრატები 20 წელზე მეტ ხანს აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდნენ, უპირისპირდებოდნენ რუსეთის საიმპერიო რეჟიმს, მოქმედებდნენ არალეგალურად, ცალკეულ შემთხვევებში რეჟიმის წინააღმდეგ ტერორსა და ძალადობასაც არ ერიდებოდნენ. სათავეში ედგნენ მასების მობილიზებას, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობების გააქტიურებას. სოციალ-დემოკრატები ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით მუშათა შორის, აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. სოციალ-დემოკრატთა საქმიანობა გამორჩეულად აქტუალური იყო სოციალისტური მიმართულების პერიოდული გამოცემების ორგანიზების პროცესში, 30 წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატთა რედაქტორობით ათეულობით ჟურნალ-გაზეთი გამოვიდა.

სოციალ-დემოკრატები, გარდა არალეგალური და ანტისისტემური მოქმედებებისა, 1906 წლიდან აქტიურად იყენებდნენ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნას. საერთო ჯამში 15-მდე ქართველმა სოციალ-დემოკრატმა მოიპოვა სახელმწიფო სათათბიროს წევრის მანდატი საიმპერიო რეჟიმის მიერ შემოღებული არადემოკრატიული საარჩევნო სისტემის მიუხედავად. სოციალ-დემოკრატები აქტიურად მუშაობდნენ საქალაქო თვითმმართველობაში. ამგვარმა საქმიანობამ მათ არა მხოლოდ რევოლუციური და რადიკალური მოქმედებების, არამედ რეალური საჯარო პოლიტიკის შექმნის გამოცდილება შესძინა.

1892 წლიდან 1917 წლამდე სოციალ-დემოკრატები განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას, მათი ლიდერები არაერთგზის იყვნენ დაპატიმრებული და გადასახლებული, რამდენიმე ლიდერის სიცოცხლე კი სწორედ ამ რეპრესიებმა შეინირა. ამ პერიოდის განმავლობაში საიმპერიო რეჟიმმა დახურა პრესის

ათობით ორგანო, დაარბია ათობით მიტინგი და გაფიცვა, თუმცა ამგვარი რეპრესიების მიუხედავად, მათ შეძლეს საქართველოს ფართო მასების მიმხრობა და ცალსახად უალტერნატივო პოლიტიკურ ძალად იქცნენ.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მართავდნენ. სოციალისტი ევროპელი პოლიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულით ადრე ევროპელ მარქსისტებს სოციალიზმის რეალობაში განხორციელება მხოლოდ დასავლეთ ევროპაში ესაზებოდათ, სოციალ-დემოკრატთა ხელისუფლებაში მოსვლას კი პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ბრიუსელსა და ვენაში ვარაუდობდნენ და არა შორეულ თბილისში.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რესპუბლიკის არსებობის 1028 დღის განმავლობაში უამრავი გამოწვევის, მათ შორის ეგზისტენციალური საფრთხეების პირობებში შექმნა სახელმწიფო, რომელიც იგივე ევროპელი სოციალ-დემოკრატების (განსაკუთრებით ბერნშტეინისა და კაუცკის) შეფასებით, ერთგვარი მაგალითი და გამოცდილება უნდა ყოფილიყო მომავალში ევროპაში სოციალ-დემოკრატიული (საყოველთაო კეთილდღეობაზე) დამყარებული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.

ხელმისაწვდომი და საყოველთაო განათლება, საკუთრება მიწასა და რესურსებზე, შრომის უფლებების რეალიზება, მშრომელთა სამუშაო პირობების კონტროლი და მუშათა მხარდამჭერი მექანიზმების ფორმირება, სოციალური დაცვის სისტემის შექმნისათვის მუშაობა, ადამიანის ზოგადი უფლებების დაცვა, თავისუფალი არჩევნებისა და სასამართლოს ქონის უფლება, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დაცვის განსაკუთრებული გარანტიები, დეცენტრალიზაცია, –

ეს იმ მონაპოვართა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც სწორედ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (სხვა პარტიებთან თანამშრომლობით) საქმიანობის შედეგი იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით საქართველოში დასრულდა პროგრესული სოციალ-დემოკრატიული იდეების იმპლემენტაციის პროცესი. ბოლშევიკებმა დაიწყეს პროგრესული სოციალ-დემოკრატიული იდეების დემონტაჟი პოლიტიკური პროცესებიდან, ამასთან, ფაქტობრივად, დაიწყეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების (მოგვიანებით და შედარებით მსუბუქად სხვა პარტიებისაც) ფიზიკური დევნა, შევიწროება და, მოგვიანებით, სიცოცხლის მოსპობაც. სოციალ-დემოკრატები ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ოკუპირებულ საქართველოსა თუ ემიგრაციაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდნენ. მიუხედავად მასშტაბური რეპრესიებისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მცირე არალეგალური უჯრედები საბჭოთა დიდი ტერორის დაწყებამდე კვლავ მოქმედებდა. საბჭოთა ხელისუფლება 1921 წლიდან 1937-1938 წლამდე აპატიმრებდა და ასახლებდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, შემდეგ კი მათ ფიზიკურად განადგურებას მიჰყო ხელი. მისი სპეცსამსახურები ემიგრაციაშიც აგრძელებდნენ სოციალ-დემოკრატთა (მთავრობის ყოფილ წევრთა) შევიწროებას და, ცალკეულ შემთხვევებში, განადგურებასაც (ნოე რამიშვილის მაგალითი).

საბოლოოდ, დიდი ტერორის შედეგად საბჭოთა საქართველოსა და ემიგრაციაში რესპუბლიკის ყოფილ ლიდერთა გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის (პარტიის) ისტორია დასრულდა. მისი მეხსიერება მხოლოდ არქივებმა, პრესამ და წიგნებმა შემოგვინახა.

## სოციალ-დემოკრატია, თანასწორუფლებიანობის იდეა და ემანსიპაციის პოლიტიკური ისტორია

### თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის სათავეებთან

სოციალ-დემოკრატია, როგორც იდეა, სოციალური სამართლიანობისკენ მიისწრაფვის. ამ მიზნის მიღწევა კი სოციალური და მონაწილეობითი თანასწორობის გარეშე შეუძლებელია. ამის გამო იყო, რომ პოსტმონარქიულ და პოსტიმპერიულ ეპოქებში სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა საკუთარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად.

1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულმა საპროგრამო დუკუმენტმა „მამაკაცისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (*Déclaration des droits de l'Homme et du citoyen*) თავისუფლებისა და თანასწორობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს მიანიჭა. ამ უსამართლობას დაუპირისპირდნენ რევოლუციონერი და რესპუბლიკელი ქალები. 1791 წელს ოლიმპ დე გუჟმა გამოაქვეყნა „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ (*Olympe de Gouges, Déclaration des droits de la Femme et de la Citoyenne*), რომელიც სხვა უფლებებთან ერთად ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების მინიჭებას გულისხმობდა.

1792 წელს კი მერი უოლსტონქრაფტმა<sup>1</sup> ინგლისსა და

---

<sup>1</sup> მერი უოლსტონქრაფტი (Mary Wollstonecraft) (1759-1779) – ბრიტანელი მწერალი, ფილოსოფოსი და ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ფემინისტური ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. აქვეყნებდა ნაშრომებს საფრანგეთის რევოლუციის, ქალთა ყოფისა და მისი მიზეზების შესახებ.



მერი  
უოლსტონქრაფტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოაქვეყნა „ქალის უფლებების დაცვა: პოლიტიკური და მორალური საკითხების კრიტიკით“ (Mary Wollstonecraft, *A Vindication of the Rights of Woman: with Strictures on Political and Moral Subjects*). მან ქალების ჩამორჩენილობის მიზეზად განათლების შეუძლებლობა, მეუღლისა და დედის როლის გადაჭარბებული შეფასება დაასახელა, რაც ქალებს განვითარებისა და საჯარო სფეროში საქმიანობის ასპარეზს უხშობს.

გერმანიაში ქალების ემანსიპაციას ხელი შეუწყო თეოდორ გოთლიბ ფონ ჰიპელის<sup>1</sup> ნაშრომმა „ქალთა სამოქალაქო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (Theodor Gotlib von Hippel, *Über die bürgerliche Verbesserung der Weiber*, 1792), სადაც ავტორი ამ იდეის რეალიზების საქმეში მამაკაცების როლზე მიუთითებს.

ქალების სოციალურ-პოლიტიკური განთავისუფლება დაანინაურა უტოპიურმა სოციალიზმმა. მის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ კონკურენციული კაპიტალისტური საზოგადოება უნდა შეიცვალოს უფრო თანასწორად ორგანიზებული, კოოპერაციული და რაციონალური საზოგადოებით. ასეთი საზოგადოებრივი წესრიგისთვის, მათი აზრით, საჭიროა ადამიანების დარწმუნება და მათთვის პირადი მაგალითის ჩვენება და არა – კლასებს შორის კონფლიქტი და რევოლუცია.

საზოგადოების გარდაქმნისთვის უტოპიური სოციალისტები აუცილებლად მიიჩნევდნენ კერძო საკუთრების შეზ-

<sup>1</sup> თეოდორ გოთლიბ ფონ ჰიპელი (Theodor Gotlib von Hippel) (1741-1796) – გერმანელი მწერალი, იუმორისტი. მის გვიანდელ ნაწერებში მრავლად არის საუბარი ქალების ჩავგვის მიზეზებსა და იმაზე, რა შედეგებს მოიტანს მომავალში მათი ემანსიპაცია.

ლუდვას, ქალების ინტეგრირებას ყველა ტიპის შრომაში და კაცებისა – საოჯახო საქმეებში, ასევე ოჯახის, როგორც მამაკაცის ჰეგემონიისა და ქალის ჩაგვრის ბასტიონისა და არჩევანის თავისუფლების იძულებითი შეზღუდვის, გაუქმებას და თავისუფალი სიყვარულის, როგორც თავისუფალი საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრებას მოითხოვდნენ.

საეტაპო ნაშრომად იქცა უილიამ ტომპსონის<sup>1</sup> „ქალის უფლებათა დაცვისაკენ მოწოდება“ (William Thompson, *Appeal on Behalf of Women*, 1825). ავტორის აზრით, მამაკაცების მიერ საკანონმდებლო ძალაუფლების უზურპაცია ისეთივე უსამართლოა, როგორც ამ სფეროში მხოლოდ ქალების დომინაცია იქნებოდა. ეს ისეთსავე სისასტიკეს და უბედურებას გამოიწვევდა, როგორც ექსკლუზიურად მამაკაცურმა კანონმდებლობამ გამოიწვია.



უილიამ ტომპსონი

ტომპსონს სჯერა, რომ ქალის შეზღუდულობა მამაკაცის დესპოტიზმსა და მანკიერებას განაპირობებს, ხოლო ქალის განთავისუფლებას მისი გაბედნიერება და განვითარება შეუძლია. „ქმარი (მამაკაცი, „რომელმაც ქალს პატივი დასდო, იგი თავის სანაშენე მანქანად და ოჯახის მონად ექცია“) თავის ცოლზე ბატონობისთვის არა მხოლოდ სამართლებრივ ან ფიზიკურ ძალადობას იყენებს, არამედ მისი გონების კონტროლსაც ცდილობს – მის სიყვარულს და მორჩილებას მოითხოვს... აქ ქალები დესპოტ ქმრებს სისულელისა და აპათიის მდგომარეობამდე მიჰყავთ, რის გამოც აღარ შეუძლი-

<sup>1</sup> უილიამ ტომპსონი (William Thompson) (1775-1833) – ირლანდიელი ფილოსოფოსი, მწერალი, პოლიტიკური აქტივისტი, კაპიტალიზმის კრიტიკოსი. მისმა ნაწერებმა დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მუშათა და პოლიტიკურ მოძრაობებზე.

ათ პირუტყვთა ბედნიერებაზე უფრო მაღალი ხარისხის ბედნიერება განიცადონ“.

უტოპისტმა სოციალისტებმა თავიანთი პროგრესული იდეებით ბევრი ევროპელი და ამერიკელი ქალის გული მოიგეს, მაგრამ მათი იდეები მალე მიეცა დავინყებას, როგორც რეალობასა და რეალური ცვლილებებისგან დაშორებული შეხედულებები. თუმცა მათ შეძლეს ლიბერალური, სოციალისტური და ფემინისტური პრობლემების დაკავშირება. გარდა ამისა, ამ მიმდინარეობის მოაზროვნეებმა პირად/კერძო ცხოვრებასა და საზოგადოებრივ/პოლიტიკურ სუბორდინაციას შორის მსგავსება დაინახეს. ამიტომაც მათ ხედვებს ჩაგრული ჯგუფები და ქალთა ერთობები მაინც უბრუნდებოდნენ და იყენებდნენ თავიანთ ბრძოლაში.

## სუფრაჟიზმი: ქალების კონსოლიდირებული ბრძოლა პოლიტიკური უფლებებისთვის

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალები გააქტიურდნენ. მომრავლდა მათ მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი კამპანიები და აქციები განათლების, საკანონმდებლო რეფორმების, ხმის, საკუთრებისა და განქორწინების უფლების მოთხოვნით.

ევროპასა და ამერიკაში ქალების სამოქალაქო და პოლიტიკური გააქტიურების საქმეში დიდი როლი ითამაშა ჯონ სტიუარტ მილის<sup>1</sup> შეხედულებებმა ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის აუცილებლობის შესახებ (John Stuart Mill “The

<sup>1</sup> ჯონ სტიუარტ მილი (John Stuart Mill) (1806-1873) – ინგლისელი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, პოლიტ-ეკონომისტი, კლასიკური ლიბერალიზმის პოლიტიკური იდეების ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი, „უტილიტარიზმის“ თეორიის ავტორი.

Subjection of Woman”, 1869) და მისი მეუღლის, ჰარიეტ ტეილორის<sup>1</sup> ნაშრომმა „ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მინიჭება“ (Harriet Taylor, “Enfranchisement of Women”, 1851). ორივე



ჯონ სტიუარტ მილი და ჰარიეტ ტეილორი

მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ქალები ვერასდროს გახდებიან პოლიტიკური სუბიექტები, თუ მათ არ ექნათ საკუთარი პროფესია და შემოსავალი. მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ისინი დაქვემდებარებული მოსამსახურის პოზიციიდან დამოუკიდებელ პიროვნებებამდე ამაღლებას. როგორც მილი ამბობს: „გათხოვებისას ქალი უკვე ირჩევს საქმიანობის სფეროს ისევე, როგორც მამაკაცი პროფესიის არჩევისას. შეიძლება ითქვას, რომ იგი საკუთარ სიცოცხლეს მეურნეობის გაძღვლას, ბავშვების აღზრდას უძღვნის იმდენი წლის მანძილზე, რამდენიც ამ საქმეს სჭირდება.“

ამასობაში ქალი უარს ამბობს არა ყველა სხვა საქმეზე, არამედ მხოლოდ ისეთზე, რომელიც მის მიერ არჩეულ საქმიანობაში დააბრკოლებს. მუდმივი, სახლსმიღმური მოღვაწეობა დაოჯახებული ქალების გეგმაში არ შედის, თუკი საამისო საჭიროება სხვებს არ გაუჩნდათ...“

ქალთა სოციალური აქტიურობის ცენტრებად ინგლისი და ამერიკა იქცნენ. ამიტომაც ინგლისური ტერმინი „სუფრაჟიზმი“, რომელიც საარჩევნო უფლებას ნიშნავს, ისტორიაში შევიდა, როგორც ფემინიზმის პოლიტიკური მიმართულება.

<sup>1</sup> ჰარიეტ ტეილორი (Harriet Taylor Mill) (1807-1858) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის გამორჩეული თეორეტიკოსი და აქტივისტი.



ელიზაბეთ კეიდი  
სტენტონი

1848 წელს სენეკა ფოლზში ელიზაბეთ კეიდი სტენტონის<sup>1</sup> ორგანიზებით ჩატარდა ყრილობა, რომლის შედეგად 68 ქალმა და 32 მამაკაცმა ხელი მოაწერა „პოზიციებისა და რეზოლუციების დეკლარაციას“ (The Declaration of Sentiments and the Resolutions). იგი ქალებისათვის საკუთრების, განათლების, ანაზღაურებადი შრომის და პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებს მოითხოვდა. 1869 წელს ელიზაბეთმა და მისმა თანამოაზრემ 2 ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს: სუფრაჟისტ ქალთა ეროვნული ასოციაცია და ამერიკელ სუფრაჟისტ ქალთა ასოციაცია (The National Woman Suffrage Association and the American Woman Suffrage Association). მათი დაუღალავი შრომის შედეგად ამერიკის რიგ შტატებში ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება (1869 წელს ვაიომინგში, 1893 წელს – კოლორადოში, 1896 წელს – აიდაჰოსა და იუტაში).

1848 წელს, გერმანიაში ლუიზა ოტო პეტერსი<sup>2</sup> აფუძნებს „გერმანელ ქალთა კავშირს“. 1865 წელს კი იქმნება „გერმანელ ქალთა საყოველთაო კავშირი“ (*Allgemeiner Deutscher Frauenverein*) და მათი გაზეთი „Neue Bahnen“ (1866-1919). მალევე ის იწყებს ქალების დარაზმვას არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

<sup>1</sup> ელიზაბეთ კეიდი სტენტონი (Elizabeth Cady Stanton) (1815-1902) – ამერიკელი მწერალი და აქტივისტი, ამერიკის ქალთა მოძრაობის ლიდერი. ამერიკის ეროვნული ქალთა სუფრაჟისტული ასოციაციის პრეზიდენტი.

<sup>2</sup> ლუიზა ოტო პეტერსი (Louise Otto-Peters) (1819-1895) – გერმანელი ნოველისტი მწერალი, სუფრაჟისტი აქტივისტი. გერმანიის ქალთა კავშირის დამფუძნებელი.

1851 წელს ინგლისში ფუძნდება „ხმის უფლების მინიჭების შეფილდის ასოციაცია“, 1867 წელს – „ქალთა საარჩევნო უფლებების საზოგადოება“. ამ ორგანიზაციებში 5000-ზე მეტი ქალი იყო გაერთიანებული. ისინი აწყობდნენ დემონსტრაციებს, მსვლელობებს, ბანკეტებს, პიკნიკებს, მოგზაურობდნენ და ხვდებოდნენ ქალთა დარელიგიურ ორგანიზაციებს. საუკუნეთა მიჯნაზე მათი ზენოლით ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონები, რომლებითაც გაუთხოვარ შეძლებულ ქალებს უნივერსიტეტში, სამედიცინო სკოლებში სწავლის, საკუთრების ფლობისა და მართვის უფლება ენიჭებოდათ (1882 წლიდან), ხოლო 1894 წლიდან ქალებს მიეცათ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.



ლუიზა ოტო პეტერსი

1897 წელს ემელინ პანკჰერსტის<sup>1</sup> მიერ შექმნილმა „სუფრაჟისტ ქალთა ეროვნულმა კავშირმა“ ბრძოლა დაიწყო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. ამ საქმეში, უამრავ თანამოაზრესთან ერთად, მან ქალიშვილებიც ჩართო: ქრისტაბელი, ადელი და სილვია. კავშირის მანჩესტერის განყოფილება, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, 1903 წელს „ქალთა სოციალურ-პოლიტიკურ კავშირად“ (Women’s Social and Political



ემელინ პანკჰერსტი

<sup>1</sup> ემელინ პანკჰერსტი (Emmeliane Pankhurst) (1858-1928) – ბრიტანელი პოლიტიკური აქტივისტი, ბრიტანეთის სუფრაჟისტული მოძრაობის ლიდერი, ქალთა სოციალურ-პოლიტიკური კავშირის ლიდერი. ჟურნალ „თაიმის“ მიერ შეყვანილია XX საუკუნის 100 ყველაზე გავლენიანი პიროვნების სიაში.

Union) გარდაიქმნა, რამაც მებრძოლი სუფრაჟიზმი (suffragette) წარმოშვა. წევრებად მიიღებოდნენ მუშა ქალები, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის მებრძოლთა სოციალური ბაზა. თუმცა მათმა აგრესიულმა სტრატეგიამ (თავდასხმები პოლიტიკოსთა საკუთრებაზე, დარბევები) ორგანიზაციას სახელი გაუტეხა და ქალთა თანასწორობის მოწინააღმდეგეების არგუმენტები გააძლიერა. რადიკალური საშუალებების გამოყენების გარეშე, ქალების მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვების პერსპექტივამ (რომლის მაგალითიც იყო რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთი, 1905) აიძულა სუფრაჟისტები და ფედერაცია, საჯაროდ გამიჯნულიყვნენ მილიტანტებისაგან, რითაც 1918 წელს ხმის უფლება სუფრაჟისტთა მებრძოლი ფრთის თანამონაწილეობის გარეშე მოიპოვეს.

ახალ ზელანდიაში შეძლებულმა ქალებმა 1894 წელს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლებები მიიღეს, ხოლო ავსტრალიაში ქალებმა 1895-97 წლებში მოიპოვეს როგორც აქტიური, ისე პასიური ხმის უფლება.

საბოლოოდ გამოვიდა, რომ ქალები ერთი საუკუნე იბრძოდნენ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად და მათ ბრძოლას შედეგად მოჰყვა ამერიკასა და ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში ქალების არჩევნებში მონაწილეობა და მათი პოლიტიკის სუბიექტებად აღიარება. იხილეთ სტატისტიკა წლების მიხედვით:

1869 – აშშ, ვაიომინგის შტატი

1870 – აშშ, იუტას შტატი

1893 – აშშ, კოლორადო

1896 – აშშ, აიდაჰო

1894 – ახალი ზელანდია

1895-97 – ავსტრალია

- 1906 – ფინეთი
- 1908 – დანია
- 1913 – ნორვეგია, ისლანდია
- 1917 – რუსეთი
- 1918 – საქართველო
- 1918 – დიდი ბრიტანეთი
- 1919 – გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი
- 1920 – უნგრეთი, აშშ
- 1922 – ირლანდია
- 1933 – ესპანეთი
- 1944 – საფრანგეთი
- 1946 – იტალია, იუგოსლავია
- 1952 – საბერძნეთი
- 1972 – შვეიცარია
- 1984 – ლიხტენშტეინი

სოციალისტური ფემინიზმის საქმიანობაში დიდი როლი შეასრულა ავგუსტ ბებელის ნაშრომმა „ქალი და სოციალიზმი“ (1878). მისი აზრით, ქალების ჩაგვრა ოჯახში, სამსახურსა და საზოგადოებაში მხოლოდ პროლეტარული რევოლუციით აღმოიფხვრება. სოციალიზმი მოუტანს ქალს ეკონომიკურ, სოციალურ დამოუკიდებლობას, შეუმსუბუქებს საოჯახო შრომას და დაეხმარება მომავალი თაობის



კლარა ცეტკინი

აღზრდაში. ამ შეხედულებებს კლარა ცეტკინიც<sup>1</sup> იზიარებდა. თუმცა, მისი აზრით, რევოლუციამ მშრომელი, მუშა ქალები

<sup>1</sup> კლარა ცეტკინი (Clara Zetkin) (1857-1933) – გერმანელი კომუნისტი აქტივისტი და თეორეტიკოსი, ქალთა უფლებების აქტივისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების წევრი, გერმანიის რაიხსტაგი წევრი.

უნდა გაათავისუფლოს და არა – ბურჟუა ქალები. ცეტკინის აზრით, განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშა ქალები სოლიდარულები უნდა იყვნენ მუშა მამაკაცების მიმართ; ბურჟუა ქალები მათი თანამოაზრეები ვერ იქნებიან, რადგან ისინი ეთანხმებიან შრომის კაპიტალისტურ წესს.

სოციალიზმს ქალის საოჯახო შრომა საჯარო სფეროში უნდა გაეტანა (საბავშვო ბალები, საზოგადოებრივი სასადილოები) და ამ გზით თითქოს უნდა შეემსუბუქებინა ქალის ხვედრი, მაგრამ სინამდვილეში შინ შრომას ფაბრიკა-ქარხნებში შრომა დაუმატა და როლების პატრიარქალური გადანაწილება ხელუხლებელი დარჩა.

**XX** საუკუნის დასაწყისში, ქალთა გაერთიანებებისა და ბრძოლის თვალსაზრისით, მარქსისტი ფემინისტები უმცირესობას შეადგენდნენ, ხოლო ლიბერალური ფემინიზმი ვითარდებოდა და თანამოაზრეთა რიგებს აფართოებდა. ყველაზე დიდი ორგანიზაციები არსებობდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, ნაკლებად მასობრივი კი – სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, საფრანგეთში, კანადაში, კუბასა და მექსიკაში.

ქალთა მოძრაობის მასშტაბზე გავლენას ახდებდა მოძრაობის მიზანი, ქვეყანაში ქალაქის, განათლებული საშუალო კლასის წილი, გავლენიანი მამაკაცი-პოლიტიკოსების მხარდაჭერა, ქალების პრობლემების მიმართ მთავრობის ლოიალურობა (ან პირიქით – ქალების ორგანიზაციებში მონაწილეობის და ქალთა მოძრაობის პირდაპირი დარბევა), ქვეყნების კულტურული თავისებურებები (მოძრაობა მეტად განვითარებული იყო პროტესტანტულ ქვეყნებში).

## ქალთა უფლებების შესახებ პირველი დისკუსიები ქართულ სივრცეში

საქართველოში ქალის უფლებებთან დაკავშირებულ დისკუსიებში ქალების განათლებასა და პატრიარქალური ნორმების მიერ მისი განვითარების ასპარეზის დახშობას მოწინავე ადგილი ეჭირა. ამ შინაარსის სტატიების ავტორებად 1860-იანი წლებიდან გვევლინებიან იმჟამინდელი მწერლები, პუბლიცისტები და სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეში დანიშნულნი ადამიანები: ბარბარე ჯორჯაძე<sup>1</sup>, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი<sup>2</sup>, ანასტასია თუმანიშვილი<sup>3</sup>, ეკატერინე გაბაშვილი<sup>4</sup>, ანასტასია ერისთავი<sup>5</sup>. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალა საინტერესოდ და ყოველმხრივ აღწერდა „ქალთა საკითხის“ ევროპულ და ამერიკულ თავისებურებებს, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ქალების წინსვლის მაგალითებს და თანასწორობის იდე-

---

<sup>1</sup> ბარბარე ჯორჯაძე-ერისთავი (1833-1895) – ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, ფემინისტი. ქალთა უფლებების შესახებ აქვეყნებდა სტატიებს და პოლემიკას მართავდა მამაკაც ავტორებთან. მის მიერ პირველად გამოიცა ქართული სამზარეულოს სრული კრებული.

<sup>2</sup> სერგეი მესხი (1845-1883) – ქართველი მწერალი და ჟურნალისტი, ჟურნალ „დროების“ რედაქტორი, „მეორე დასის“ წევრი, აქვეყნებდა სტატიებს ქალთა უფლებების შესახებ.

<sup>3</sup> ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932) – მწერალი, პუბლიცისტი, დააარსა საზოგადოება „განათლება“, რომლის მიზანიც ქალთა შორის განათლების გავრცელება იყო, ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელი, გაზეთ „კვალის“ თანარედაქტორი.

<sup>4</sup> ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938) – მწერალი, პუბლიცისტი, ფემინისტი. ქართულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს ქალთა უფლებებისა და სოციალური საკითხების შესახებ. ქალთა გაძლიერებისათვის 1895 წელს საკუთარ სახლში დააარსა ქალთა ჭრა-კერვის სკოლა. საბავშვო ჟურნალების „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ თანადამაარსებელი.

<sup>5</sup> ანასტასია ერისთავი-ხოშტარია (1868-1951) – ნოველისტი მწერალი, აქტივისტი, პედაგოგი, ქალთა ორგანიზაცია „მანდილოსნის“ დამფუძნებელი.

ისადმი განმანათლებელთა, დასავლური საზოგადოებისა და რეფორმატორების დამოკიდებულებას.

„ქალთა საკითხისადმი“ ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდეს იმ ქალებმა, რომლებიც 1870-იან წლებში ევროპაში განათლების მისაღებად წავიდნენ (ოლლა გურამიშვილი<sup>1</sup>, ეკატერინე მელიქიშვილი<sup>2</sup>, ოლიმპიადა ნიკოლაძე<sup>3</sup>, ეკატერინე ნიკოლაძე<sup>4</sup>, ბოგუმილა ზემიანსკაია, ანასტასია ნაცვლიშვი-



ეკატერინე  
გაბაშვილი



ანასტასია  
თუმანიშვილი-  
წერეთელი



ბარბარე  
ჯორჯაძე-ერისთავი

<sup>1</sup> ოლლა გურამიშვილი-ნიკოლაძე (1855-1940) – ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, პოლიტიკური აქტივისტი, ხალხოსნური მოძრაობის წევრი. შვეიცარიაში მოქმედი ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „უღლის“ თანადამფუძნებელი.

<sup>2</sup> ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხი (1854-1928) – მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, ფემინისტი, საზოგადოება „უღლის“ დამფუძნებელი, გამომცემლობა „სხივის“ და საზოგადოება „განათლების“ თანადამფუძნებელი. მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად გერმანულიდან, ინგლისურიდან და რუსულიდან თარგმნიდა პუბლიცისტურ წერილებს და ნაშრომებს ქალთა უფლებების შესახებ. ქმართან, სერგეი მესხთან ერთად ჩართული იყო ყურნალ-გაზეთების გამოცემის პროცესში.

<sup>3</sup> ოლიმპიადა ნიკოლაძე-წერეთელი – პედაგოგი, აქტივისტი. პედაგოგიურ საქმიანობას დასთან, ეკატერინესთან ერთად ეწეოდა ქუთაისში, ქმართან, გიორგი წერეთელთან ერთად ჩართული იყო ყურნალ-გაზეთების გამოცემის პროცესში.

<sup>4</sup> ეკატერინე ნიკოლაძე (1854-1931) – პედაგოგი, აქტივისტი, პედაგოგიურ საქმიანობას დასთან, ოლიმპიადასთან ერთად ეწეოდა ქუთაისში. 1870-იან წლებში იყო საზოგადოება „უღლის“ თანადამფუძნებელი. ეკატერინე 1900-იან წლებში იყო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

ლი და სხვანი). ისინი უშუალოდ აკვირდებოდნენ და მონაწილეობდნენ ქართველი და ევროპელი სტუდენტების საერთო ღონისძიებებში, სადაც ქალების სოციალურ-პოლიტიკური გამოღვიძება დისკუსიის ერთ-ერთი საგანი იყო. ზოგიერთი მათგანი აქტიურად აგზავნიდა კორესპონდენციებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, საქართველოში დაბრუნებულები კი ბევრად ინტენსიურად აქვეყნებდნენ საკუთარ მოსაზრებებს.

1872 წელს გაზეთ „დროებაში“ სერგეი მესხი აქვეყნებს სტატიას „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“, სადაც წერს:

„... ნუ შეშინდებიან ჩვენი დედ-მამები: დარწმუნებულნი იყვენენ, რომ ეს მოვლენა მეორეთ მოსვლისა და ქვეყნის უკუღმა დაბრუნების ნიშანი კი არ არის, ეს არის სიკეთისა და ჩვენი ქვეყნის წარმატების ნიშანი. და ეს რომ ასე არის, – ამაში ჩვენ თვითონ ის ქალები დაგვარწმუნებენ, რომელნიც ეხლა სამზღვარ-გარეთ მიდიან, როდესაც განსწავლულნი დაბრუნდებიან უკან და თავის ცოდნით და გონიერი ცხოვრებით არა მცირედ სარგებლობას მოუტანენ ჩვენს საზოგადოებას. ამ უკანასკნელი აზრის გამოთქმა ჩვენ არ გვაშინებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ქალები, რომელნიც წინ აღუდგნენ საზოგადოების ბრმა აზრსა და მოახერხეს თავის გონიერის გზაზე დადგომა, – ამისთანა ქალებს იმდენი ზნეობითი ძალა კიდევ ექნებათ, რომ თავიანთი გულითადი წადილი შეასრულონ და განსწავლულნი დაბრუნდნენ უკან, თავიანთ ქვეყანაში.

ამასთანავე ჩვენ მშობლებს უნდა ჰქონდესთ მხედველობაში, რომ ეს ჩვენი ქალები საზოგადოთ გაუკვალავ გზაზე არ დგანან, ეს გზა დიდი ხანია გაკვალული და გათელილია; ჩვენ არაფერს ვიტყვით ამერიკაზე, სადაც ქალებისათვის ცალკე უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლებია გამართული და სადაც ისინი პროფესორებათ, ყოველგვარი შკოლის მასწავლებლებათ და ჩინოვნიკებათ არიან. ჩვენ მოვიგონებთ

მხოლოდ შვეიცარიას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ციურიხის უნივერსიტეტს, სადაც ეს რვა წელიწადია თავისუფლათ იღებენ ქალებსა და უმაღლესი სწავლის მიღების ნებას აძლევენ... (...) ამნაირათ, ჩვენ დიდის სიამოვნებით ვხედავთ, რომ ჩვენ ქალებშიაც იწყება მოძრაობა და ლტოლვილება უმაღლესი განათლებისათვის; ვხედავთ, რომ ეს ლტოლვილება ზოგიერთებს მარტო სიტყვით კი არა, საქმით მოჰყავთ სისრულეში. მაშ, ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდეს, ვიდრემ საზოგადოთ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვილებასა აქვს; ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას თანდათან უფრო ნაკლები მიზეზი შეხვთეს თავის გზაზე მსვლელობის დროსა, და ის სარგებლობა მოეტანოს ჩვენთვისაც, რაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს მოუტანა“.

ქართველი ქალები დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (1879-1927) დაფუძნებასა და მის საქმიანობაში: ხელმძღვანელობენ საზოგადოების რეგიონულ ფილიალებს, აფუძნებენ სამკითხველოებს, ხელს უმართავენ ქართული თეატრის მესვეურებს. მაგრამ ქართული საზოგადოების მესვეურები მაინც სკეპტიკურები და გულგრილები არიან ქალების შრომის, შემოქმედების და ნამოღვაწარის მიმართ, თავს იკავებენ საქალებო სკოლების დაფუძნების ხელშეწყობისგან: დღენიადაგ იმას ჩასჩინებენ, რომ თითქოს მათ მხოლოდ გასართობი მეჯლისებისა და საღამოებისკენ მიუწევთ გული, დედობის მოვალეობას ივიწყებენ. ეს „სიბრმავე“ კი ქალების გულისწყრომას იწვევს, რაც ხშირად მათ პუბლიცისტურ წერილებშიც აისახება. ასეთია ნინო ყიფიანის წერილი, რომელიც 1894 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოჩნდა:

„...ვთქვათ, ქალებს მართლა ტიკტიკის მეტი არაფერი გვეხერხება. ამაშინ თქვენ არ მიგიძღვით ბრალი? არცერთ კაცს

არა აქვს ისეთი სამსახური, რომ სადილიდან მეორე დღემდე თავისუფალი არ იყოს და რატომ არ ასწავლის იგი შვილს ისეთ რამეებს, რასაც „ბალებზე“ და „ვეჩერებზე“ ვერ გაიგებს? თუ ამას მოუმზადებელი დედები ვერ ვასრულებთ, რატომ თქვენ, მამებო, არ ჩასთვლით თქვენს მოვალეობად? იმის მაგივრად, რომ ნახევარზედ მეტს თავისუფალ დროს ქალაქის თამაშობაში ატარებდეთ, ვითომდა შრომის შემდეგ დასასვენებლად!!!

(...) ერთი თქვენთაგანი არ გამოჩნდა, რომელიც ბანკის კრებაზე მხარს დაგვიჭერდა ქალების სასწავლებლების დაარსებაში, რათა გამოგვეგლიჯა რაღაც თანხა ბანკის მოგებიდან, მაშინ როცა ათასგვარ უმნიშვნელო საქმეზედ, მხოლოდ კერძო კაცთა სასარგებლოდ ას-ასობით გვეხარჯება...

(...) ქალებს მარტო ბალებზე ნასვლა და ჭორაობა გაინტერესებთო. არიან ქალები, რომლებიც სალიტერატურო საქმიანობით არიან დაკავებულნი, მაგრამ მათ შრომას თქვენ ზედ არ უყურებთ: „აბა, ქალის დაწერილი და გადმოთარგმნილი რა იქნებაო!“ და თუ როგორმე ჭკუაში მოგივიდათ, შეხვალთ ეჭვში: აქ მამაკაცს ექნება მონაწილეობაო. იმის მაგივრად, რომ ქალის ნაშრომს, როგორც იშვიათ მოვლენას ჩვენში, პირველი ადგილი დაუთმობთ ჟურნალ-გაზეთებში, თუ რომ ცოტაოდენათ მაინც ღირსია, არხივში გადასდებთ ხოლმე და იქნება როდესმე მასალის შემოკლებამ მოაძებნინოს რედაქტორს ჩვენგან უკვე გამოტირებული ნაღვანი...”

საზოგადოებრივ ასპარეზზე ქალების გამოჩენამ და აქ გამართულ სჯა-ბაასში ჩართვამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათი, როგორც საჯარო ფიგურების გააქტიურებაში. ამ გამოცდილებამ ისინი ქართული კულტურის მდუმარე მუშაკებიდან მემბოხე და აქტიურ სუბიექტებად გადააქცია.

## სოციალ-დემოკრატიული პრესა და

## ქალთა საკითხი, პირველი ქალი აქტივისტები

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სოციალ-დემოკრატიულ პრესაში განსაკუთრებით გააქტიურდა ქალების სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის საკითხი და ქალებმა დაიწყეს იმ კულტურული ბარიერების კრიტიკა, რომლებიც თანასწორუფლებიანობის იდეის რეალიზაციას აფერხებდა. ემანსიპაციის ევროპულ იდეებს ნაზიარები და სამშობლოში დაბრუნებული ოღლა გურამიშვილი მწვავედ აკრიტიკებს იმ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც ქალების ჩამორჩენილობა ბიოლოგიითაა განპირობებული და საზოგადოებას ამ მოვლენის სოციალურ მიზეზებზე მიანიშნებს: *„...დედათა კითხვა არის კითხვა სოციალური და არა ფიზიოლოგიური... დედათა კითხვის გადაწყვეტისათვის უნდა მივმართოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას და არა ქალისა და კაცის ტვინს. ადამიანის ტვინის სიძლიერე, მისი ავ-კარგიანობა ცვალებადია. იგი სრულიად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ, რა პირობებში ავარჯიშებს თავის ნიჭს და ტვინს.*

*(...) არიან თუ არა გადაბმული ქალის ხერხემლის ძვლები, ვინემ მამა-კაცისა, მეტია თუ ნაკლები ქალის ტვინი კაცზე – ემანსიპაციური მოძრაობა არ შეჩერდება, რადგან იგი გამონწვეულია ფულის მოპოვების საჭიროებით გარეშე ოჯახისა და გაგრძელება მანამდის, სანამ მისი გამომწვევი პირობები არ მოისპობა.*

*(...) მეცნიერება გვიმტკიცებთ, რომ ნიჭით თანასწორობა კი არ არის მიზეზი ან პირობა ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებით თანასწორობისა, არამედ პირიქით – საზოგადოებაში ნიჭის, გონების, ძალის უთანასწორობის მიზეზი სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობაა... იცვლებიან*

*ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებანი და მათ შიგან ვიცვლებით ჩვენც ჩვენი ნიჭით, ცოდნით, გონებით... ვინ მოგცათ თქვენ ნება ქალის ზნეობას ფარგალი შემოავლოთ, პატრიარქალური ცხოვრების ჩარჩოებში ჩასვათ? ამას არ ამართლებს არც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, არც ჩვენი ეროვნული ინტერესები, არც საზოგადო საკაცობრიო იდეალი...”*

საქართველოში ამ დროისათვის უკვე ფეხს იკიდებს პოლიტიკური ორგანიზაციები. ისინი კარს უხსნიან ქალებს, რადგან პარტიულ მუშაობას ქალების ენთუზიაზმი და სიბეჯითე ნამდვილად სჭირდებოდა.

პირველ ქალ აქტივისტებში საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, კოოპერაციულ, პროფკავშირულ თუ კულტურულ საქმიანობაში გამოჩენილი და სახელმოხვეჭილი ქალები ჭარბობდნენ. განსაკუთრებული პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ ისინი, ვინც 1905 წლის რევოლუციურ იდეებს იცნობდა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდა. ასეთები იყვნენ: ნინო ნაკაშიძე, მარია კალანდაძე, ნატალია ქიქოძე, მარია კაპანაძე, მამო ბერიანიძე, კატო მიქელაძე, ბაბილინა ხოსიტაშვილი, იულია დარახველიძე, მარიამ ჩხეიძე, მინადორა ორჯონიკიძე, ელენორო ტერ-ფარსეგოვა, ლიდია მეგრელიძე და სხვები.

ამ დროისთვის ქართველი ქალები უკვე შეიარაღებულები არიან კლარა ცეტკინის, ალექსანდრა კოლონტაის და ავგუსტ ბებელის იდეებით, რადგან სოციალისტური ლიტერატურა უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატიული აზრის მიმდევრებსა და თეორეტიკოსებს ხშირად ციტირებენ პოლიტიკური პარტიის ლიდერები.

გაზეთი „ერთობა“ ხშირად აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც ქალები დასავლური გამოცდილების გაზიარებასა და ქალთა გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე, როგორც ადგილობრივი

თვითმმართველობის (ერობა), ისე საქალაქო და საპარლამენტო (დამფუძნებელი კრება) არჩევნებში ქალების მონაწილეობის აუცილებლობაზე მიუთითებენ. ასეთია თამარ გოგოლაშვილის წერილი „საჭიროა თუ არა ქალთა ორგანიზაციები“, რომელშიც ვკითხულობთ:

„...ჩვენი, ქალების, საქმის გაკეთება სხვას არ შეუძლია და არც არის საჭირო სხვისი მფარველობა, ქალთა ორგანიზაციას ამჟამათ უკვე აარსებენ ქალაქებში. ისინი ერთ რიგათ აწარმოებენ თავიანთ საქმეს. ეხლა საჭიროა ეს მოეწიოს სოფლათაც. ეს აუცილებლათ საჭიროა. რა უნდა აკეთონ მათ დღეს. ყველაზე ადრე საჭიროა რამდენადაც შესაძლებელია, შესწავლა ქალთა საკითხის, შესწავლა ქალთა ეკონომიურ პოლიტიკურ მდგომარეობისა ჩვენში. შესწავლა და აღნუსხვა ქალთა შრომის ადგილობრივ, ე. ი. ყოველივე დარგის შრომისა, რომელსაც აწარმოებს ქალი სოფლათ. აგრეთვე გაცნობა ქორწინების საკითხისა და სხვა. მდგომარეობა მშობიარობისა (МАТЕРИНСТВО), დაცვა დედის უფლებისა, ბავშვების აღზრდა, საბავშვო ბაღები, აკრძალვა ბავშვების შრომისა, შერეული სწავლა ბავშვებისა და სხვადასხვა. ვინ უნდა გადაწყვიტოს ყველა ეს? ვინ უნდა დაიცვას ეს აუცილებელი ადამიანური უფლებები ქალისა? თვით ქალებმა. მარა პრაქტიკულათ რომ განვახორციელოთ ეს, აუცილებელია ჩარევა ყველა ადგილობრივ დანესებულებებში. საჭიროა ფართოთ მიღება მონაწილეობისა არჩევნებში, როგორც საქალაქო და საერობოში, ისე დამფუძნებელ კრებაში.

ავტორი ასევე საუბრობს საკოორდინაციო ყრილობის მოწვევის საჭიროებაზე, რომელსაც ყველა დიდი ქალაქის ქალთა წრეებისა და საზოგადოებების წარმომადგენლები დაესწრებიან და გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებას ქალების აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის საკითხზე.

## პირველი ქართული სუფრაჟისტული ჯგუფის ჩამოყალიბება

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული დამუშავების საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შესრულა კატო მიქელაძემ<sup>1</sup>, რომელიც 1905-1914 წლებში ევროპაში (ჟენევა, პარიზი, ბრიუსელი) ცხოვრობდა და კარგად იცნობდა სუფრაჟიზმის დასავლურ გამოცდილებას. ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა



კატო მიქელაძე

ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და 1917 წელს ქუთაისში დააარსა „ქუთაისის ინტერპარტიულ ქალთა სწორუფლებიანობის ლიგა“ და გამოსცა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ (1917-1918).

„ლიგისა“ და მისი გაზეთის მთავარი მიზანი იყო თანასწორუფლებიანობის იდეის გავრცელება, ქალების პოლიტიკური გააქტიურება, ქალებისთვის აქტიური და პასიური ხმის უფლების მოპოვება, ქალების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების ინტეგრირება პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში. წამოწყებული საქმის დაწინაურებაში კატო მიქელაძეს ეხმარებოდნენ მისი თანამოაზრე ქალები: ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი,

---

<sup>1</sup> ეკატერინე (კატო) მიქელაძე (1878-1942) – ფემინისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, „ქუთაისის ინტერპარტიული ქალთა სწორუფლებიანობის ლიგის“ დამფუძნებელი და ლიდერი, გაზეთ „ხმა ქართველი ქალისას“ დამფუძნებელი და რედაქტორი.



საფო მგელაძე

მარიამ ალექსიძე, ეფემია მესხი<sup>1</sup>, მარიამ გარიყული<sup>2</sup>, საფო მგელაძე<sup>3</sup>, ნინო ნადირაძე და სხვები.

გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველ და უცხოელ ავტორთა სტატიები სუფრაჟისტული მოძრაობის, ქართველი ქალების წარსულისა და აწმყოს, მათი ჩაგვრისა და პრობლემების შესახებ. გაზეთი ვრცელდებოდა როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისადმი საკუთარი დამოკიდებულება და თანასწორობის იდეის განხორციელების ხედვა „ქუთაისის ინტერპარტიულ ქალთა სწორუფლებიანობის ლიგამ“ ჩამოაყალიბა დეკლარაციაში,



<sup>1</sup> ეფემია მესხი (1862-1941) – მსახიობი, აქტივისტი.

<sup>2</sup> მარიამ გარიყული (თათეშვილი) (1883-1960) – ქართველი მწერალი, აქტივისტი, წერდა ქალთა სოციალური ყოფის შესახებ.

<sup>3</sup> საფო გიგინეიშვილი-მგელაძე (1894-1936) – პოეტი, პუბლიცისტი, ქართულ პრესაში, მათ შორის „ხმა ქართველი ქალისაში“ აქვეყნებდა ფემინისტური შინაარსის სტატიებს.

რომელიც მან კავკასიის სეიმს გაუგზავნა. დოკუმენტში მოთხოვნილია თანასწორობის პრინციპის რეალიზაციების de-jure და de-facto გარანტიები დასაქმებისა და ანაზღაურების, შრომითი უსაფრთხოების, საკუთრებისა და მემკვიდრეობის, აღზრდის, სამართლიანი სასამართლოს სფეროებში და პროსტიტუციის რეგლამენტაციის გაუქმება. ავტორები ცენტრალურ ადგილს უთმობენ ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას (აქტიური და პასიური ხმის უფლება), რადგან მხოლოდ ამ ცვლილებაში ხედავენ ქალის ჩაგვრის აღმოფხვრის რეალისტურ გზას. დეკლარაციის პირველივე მუხლში წერია:

„ვინაიდან თითოეული ნორმალური სრული წლოვანი ადამიანი, მცხოვრებნი რომელიმე სახელმწიფოში ხანგრძლივად, რომლიდანაც კანონის ძალით მოითხოვს სახელმწიფო მისგან მორჩილებას, უნდა სარგებლობდეს ხმის უფლებით ამა თუ იმ კანონის გამოცემაში. მოვითხოვთ აქტიური და პასიური ხმის უფლების დაკანონებას ორთავე სქესისათვის. ინტერპარტიულ ქალთა ლიგა ქ. ქუთაისისა ღრმად დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მოსპობა არსებული ზნეობრივი და ეკონომიკური ექსპლუატაციისა, რომელსაც განიცდის დაჩაგრული კლასი და მათ შორის გაორკეცებით უფლებრივად შეზღუდული მშრომელი დედაკაცები“.

## საყოველთაო საარჩევნო უფლება და პირველი ქალი დეპუტატები – 1917 წელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭეს: მათ შეეძლოთ ხმა მიეცათ და ასევე ყოფილიყვნენ არჩეულები.

1919 წელს მთელ საქართველოში გამართულ საყოველ-  
თაო საპარლამენტო არჩევნებში სულ 15 პარტია მონაწილეობ-  
და. მათ უმრავლესობას შეადგენდა 9 პარტია: საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მუსულმან-  
თა ეროვნული საბჭო, საქართველოს ეროვნული პარტია, შოთა  
რუსთაველის ჯგუფ-პარტია, დამოუკიდებელთა/უპარტიო-  
თა კავშირი, ბორჩალოს მაზრის მუსულმანები, რუსეთის სო-  
ციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ესთეტიური ლიგა პა-  
ტრიოტებისა, ელინთა დემოკრატიული პარტია.



ნინო ნაკაშიძე

პარლამენტის დეპუტატობის კანდი-  
დატ ქალთა რაოდენობით ლიდერობდა  
საქართველოს სოციალისტ-ფედერალ-  
ისტა სარევოლუციო პარტია (9 ქალი:  
ნინო ნაკაშიძე<sup>1</sup>, მელანია გველესიანი,  
ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა,  
თამარ ფალავანდიშვილი, ელენე იმნაძე,  
თამარ მაჭავარიანი, აგრაფინა ბახ-  
ტაძე, ლიუბა ჩხენკელი, ანა იურკევიჩი)  
და საქართველოს სოციალ-დემოკრა-  
ტიული პარტია (6 ქალი: ელენორა  
ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, მინადორა ტოროშელიძე, ქრის-  
ტინე შარაშიძე, ელისაბედ ბოლქვაძე, ანა სოლოდაშვილი,  
მარიამ ბერიანიძე). დანარჩენი პარტიების მონაცემები ასე  
გამოიყურება:

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა)  
პარტია – 5 ქალი: მარიამ ჩხეიძე, ნინო მაჩაბელი-ანდრონიკ-

<sup>1</sup> ნინო ანთაძე-ნაკაშიძე (1872-1963) – მწერალი, ჟურნალისტი. 1905 წელს  
ქმართან, ილია ნაკაშიძესთან ერთად გაზეთ „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებ-  
და წერილებს გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, რის გა-  
მოც დააპატიმრეს და გაასახლეს გურიიდან. გამოსცემდა საბავშვო ჟურნალ  
„ნაკადულს“, აორგანიზებდა ქალთა და ობოლთა დამხმარე საზოგადოებებს.

აშვილი, ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა, სოფიო ზარიძე, ნინა ნადირაძე;

სომეხთა რევოლუციური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ – 2 ქალი: დარია თადეოსიანი, სირანუშ ამირბეგიანი;

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია – 1 ქალი: ნადეჟდა შალამბერიძე;

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია – 3 ქალი: ნინო დგებუაძე, შუშანიკა ქავთარაძე, ნადეჟდა ჩიკვაიძე.

დამოუკიდებელისაქართველოსპარლამენტში,დამფუძნებელ კრებაში, ქალების გაყვანა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა. ყველა მათგანი განათლებული, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში გამოცდილი ადამიანი იყო. სწორედ ამიტომ მათ გამორჩეული წვლილი შეიტანეს საკანონმდებლო საქმიანობაში, სოციალური პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის საკითხებში.

### ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში – პარლამენტისა და კრების ქალი წევრები და მათი საკანონმდებლო საქმიანობა

1917 წლის 19-23 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. იგი საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო იყო 1919 წლამდე, სანამ საყოველთაო არჩევნების გზით დამფუძნებელი კრება არ შეიკრიბა.

ეროვნული საბჭოს საქმიანობაში ორი ქალი მონაწილეობდა: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე და მარიამ ჩხეიძე.

მათ 1919 წლის არჩევნებშიც მიიღეს მონაწილეობა, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ მინადორა მოხვდა. მინადორასთან ერთად დამფუძნებელი კრების წევრი მისი კიდევ 4 თანაპარტიელი გახდა: ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, ქრისტინე შარაშიძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ანა სოლოლაშვილი. დამფუძნებელი კრების წევრ ქალთაგან ყველა გამოცდილი სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივისტია.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკოს ქალთა საქმიანობა და ტრაგიკული ბედი ნათელყოფს, თუ როგორ ებრძოდა საბჭოთა რეჟიმი ყველა იმ ადამიანს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავსუფლებასთან იყო დაკავშირებული. თუმცა მათი ბიოგრაფია და ღვაწლი თანამედროვე საქართველოს მშენებელი ქალებისთვის გზის მაჩვენებელი და შთამაგონებელი მაგალითია.

## ადრეული სოციალიზმი, ინდუსტრიალიზაცია და ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ადრეულ საბჭოეთში

სოციალიზმის თეორეტიკოსები (კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, კლარა ცეტკინი) ქალის ჩაგვრის განხილვისას ძირითად აქცენტს მწარმოებლური შრომის სფეროდან ქალის გამორიცხვაზე აკეთებენ. ქალების მიერ შესრულებული სამუშაო (ბავშვების გაჩენა და მოვლა, საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, შემგროვებლური შრომა) სიცოცხლის, არსებობის შენარჩუნებისთვისაა საჭირო. მამაკაცების შრომა კი მწარმოებლურია და უფრო ძვირად ფასობს. შრომის ასეთი დანაწილება არქაულია, მაგრამ მან სიცოცხლისუნარიანობა ყველა კლასო-

ბრივ საზოგადოებრივ ფორმაციაში, მათ შორის კაპიტალიზმის პირობებშიც შეინარჩუნა.

სოციალისტური რევოლუციის მხარდამჭერები შინ შრომასა და ფაბრიკა-ქარხნებში ქალის შრომით ექსპლუატაციას აფასებდნენ როგორც კლასობრივ ჩაგვრას და მათგან ქალის დახსნას მშრომელთა კაპიტალისტური უღლისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლის ნაწილად მიიჩნევდნენ.

1917 წელს ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთში ქალების სასარგებლო რეფორმები წამოიწყეს:

- ◆ კანონმდებლობის წინაშე ქალი და მამაკაცი უფლებრივად გათანაბრდა
- ◆ გაუქმდა გაყრის შემთხვევაში უძრავ ქონებასა და ბავშვებზე მზრუნველობასთან დაკავშირებული შეზღუდვები ქალების მიმართ
- ◆ ქალებმა მიიღეს განათლების მიღების, პროფესიისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება
- ◆ დაკანონდა ქალების თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების უფლება
- ◆ რუსეთის საბჭოთა ფედერაციის 1918 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სამოქალაქო ქორწინება ქორწინების ერთადერთ ფორმად გამოცხადდა (მანამდე მხოლოდ რელიგიური ქორწინება ითვლებოდა ლეგიტიმურად)
- ◆ გამარტივდა ქორწინებასა და განქორწინებასთან დაკავშირებული პროცედურები
- ◆ 1920 წელს აბორტის ლეგალიზაცია მოხდა.

მაგრამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა არ მიიჩნევდა ქალებს საკმარისად კვალიფიციურად საიმისოდ, რომ მათ ცხოვრების ყველა სფეროში მამაკაცთა თანასწორად

მიეღოთ მონაწილეობა, რადგან 1920-იან წლებში სსრ კავშირში წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა რაოდენობა 25%-ზე მეტი იყო. ამიტომ ბოლშევიკები უფრო ქალის ფიზიკური შრომით იყვნენ დაინტერესებულნი და ნაკლებად ესწრაფვოდნენ მისი ინტელექტუალური ენერჯის განვითარებას და გამოყენებას.

1918 წელს შეიცვალა საოჯახო კოდექსი, რომელიც ქორწინებისას, ოჯახსა და მეურვეობაში ქალების თანასწორუფლებიანობას აღიარებდა, რაც ოჯახის დასუსტებას და კვდობას ნიშნავდა. ახალ წყობას შინ შრომა უნდა გაეტანა ოჯახებიდან და საზოგადოებრივ საქმედ ექცია. საქმე, რომელსაც საბჭოთა ქალები თავიანთ სახლებში უსასყიდლოდ ასრულებდნენ, ამიერიდან ანაზღაურებული შრომა იქნებოდა საბავშვო ბაღებში, სასააღილოებსა და სამრეცხაოებში.

1919 წელს ალექსანდრა კოლონტაის ((1872-1952) კომისარი თანასწორობის საკითხებში) ინიციატივით ჩამოყალიბდა ქალთა განყოფილებები (жен. отдел), რომლებსაც ყველა რესპუბლიკაში ქალების, დედების, ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე უნდა ეზრუნა და შეურიგებელი ბრძოლა ეწარმოებინა დრომოჭმული, ქალების შემზღუდავი ტრადიციების (მაგ: ჩადრის ტარება, ნიშნობით ან გარიგებით ქორწინება, მრავალცოლიანობა და ა.შ), პროსტიტუციისა და ღალატის წინააღმდეგ.

1920 წელს ალექსანდრა კოლონტაი დიპლომატიურ სამსახურში დანიშნეს (ჯერ ელჩი იყო ნორვეგიასა და შვედეთში, შემდეგ ასევე დიპლომატიურ მისიებში მექსიკასა და ერთა ლიგაში. 1945 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი იყო).

ადრეულ საბჭოთა კავშირში ჩატარებულმა რეფორმებმა ქალების პრობლემების მოგვარებას შეუწყო ხელი და ისინი

საკმაოდ გააქტიურა. თუმცა მათი საზოგადოებრივი საქმიანობა მაინც საოჯახო საქმის გაგრძელება იყო. იდეოლოგიურ, ფინანსურ ან თავდაცვის სფეროებში (სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი და სტრატეგიული გადანიშნულებების მიმღები სფეროები) ქალების ჩართვა არ ხდებოდა.

ქალთა განყოფილებების საქმიანობას და საბჭოთა კავშირში ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებდა ჟურნალები: Работница, Крестьянка, Коммунистка, Делегатка, Красная Сибирячка, «Правда»-ს დამატება «Странички Работницы».

საქართველოში ქალთა განყოფილება 1923 წლიდან გამოსცემდა ჟურნალ „ჩვენ გზას“, რომელიც ყველა რეგიონიდან იღებდა და ბეჭდავდა კორესპონდენციებს, აქვეყნებდა ქალებთან დაკავშირებულ საკავშირო და რესპუბლიკურ გადანიშნულებებს, მარქსისტების, საბჭოთა ლიდერების, სოციალისტი ქალების სტატიებს და ნაწარმოებებს. გამოცემა ასევე მოუწოდებდა ქალებს თანამშრომლობისკენ.

გაზეთის პირველი ნომერი ასე მიესალმა მკითხველებს და ქალებს: „ჩვენს მკითხველებს და ყველა მშრომელ დედაკაცებს. ძვირფასო ამხანაგებო!“

დღეიდან ს.კ.პ. ცეკასთან არსებულ ქალთა შორის მუშაობის განყოფილება უშვებს ჟურნალ „ჩვენ გზას“. ჟურნალის მოვალეობა და დანიშნულება ის არის და იქნება, რომ გზა გაურკვევს მშრომელ დედაკაცებს და დღევანდელ ქარ-ტეხილის დროს წინ გაუძღვეს ყველა მშრომელ დედაკაცებს. ამ მიზანს ჟურნალი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც მთელი მშრომელი დედაკაცობა, როგორც ერთი გამოეხმაურება ჟურნალს.

რომ ჟურნალმა თავის დანიშნულებას მიაღწიოს აუცილებლად საჭიროა, რომ ის, რაც შეიძლება ბლომათ გაგრძელდეს.

არ უნდა დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე მშრომელი დედაკაცი, რომელსაც ხელთ არ ქონდეს ჩვენი ჟურნალი.

აუცილებლად საჭიროა ადგილებიდან გვეყოლოს მუდმივი თანამშრომლები, რომელთა მოვალეობა უნდა იყოს ჩვენ ჟურნალში წერილების მოთავსება და მოწოდება. ყოველ რაიონს, ყოველ კუთხეს ყავდეს თავისი კორესპონდენტი, რომელმაც უნდა გააშუქოს ადგილობრივი მშრომელ დედაკაცთან ყოფა-ცხოვრება. მან დანვრილებით უნდა აღწეროს მშრომელ დედაკაცთა ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და ოჯახური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, კორესპონდენტი მშრომელი დედაკაცები თავიანთ წერილებში უნდა აქცევდენ ყურადღებას ყოველივე ღირს შესანიშნავ მოვლენას და აგრეთვე იმას, რაც ახარებს თუ სტანჯავს მშრომელ დედაკაცს.

ასე ძვირფასო ამხანაგებო, ველით თქვენს გულწრფელ თანაგრძობას, თანამშრომლობას და დახმარებას. თქვენის შემწეობით უნდა გავაკეთოთ ეს დიდი საქმე. ამხანაგური სალამით ჟურნალ „ჩვენი გზის“ რედაქცია“.

1934 წლის გადანყვეტილებით ქალთა განყოფილებები გაუქმდა, რადგან გაჩნდა ქალების კლასობრივი ბრძოლიდან ფემინისტურ ბრძოლაზე გადართვის საშიშროება. სახელმწიფო პატრიარქატს სჭირდებოდა სუსტი, გაუნათლებელი, პასიური ქალი, რომელზეც იზრუნებდა და არა – ძლიერი და აქტიური.

1936 წელს შეიცვალა სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც აკრძალა აბორტი, შემოიღო ჯარიმები გაყრის გამო, გაზარდა ალიმენტის რაოდენობა.

1920 წლიდან დაწყებულმა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის მზარდმა

ტემპმა შეცვალა სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახისა და ემანსიპაციის მიმართ.

1936 წლის სამოქალაქო კანონმა მნიშვნელოვნად შეცვალა 1918 და 1926 წლების რადიკალური და რევოლუციური კოდექსები, ფორმალურად შეინარჩუნა გენდერული თანასწორობის რიტორიკა. მაგრამ ამავდროულად აკრძალა აბორტი და დაანესა ჯარიმა არალეგალურ აბორტზე (როგორც ქალისთვის, ისე იმ პირისთვის, ვინც აბორტს გაუკეთებდა მას), შემოიღო ჯარიმები გაყრის შემთხვევაში, გაზარდა ალიმენტის რაოდენობა და დაანესა ჯარიმა ურჩი გადამხდელებისთვის.

ახალი, სოციალისტური წესრიგი, მზარდი კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია სულ უფრო მეტ სამუშაო ძალას მოითხოვდა. ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ შეცვალა 1918-1926 წლების ქალებისადმი ლიბერალური და რადიკალური პოლიტიკა და გამოაცხადა: ამ ეტაპზე ქალები უნდა დაინაურდნენ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, სოციალიზმის განვითარებული და მამაკაცის თანასწორი მშენებლები და არა როგორც უბრალოდ ქალები.

### **რეკომენდებული ლიტერატურა:**

- ◆ *John Stuart Mill "The Subjection of Woman", London, 1869*
- ◆ *მარინა კალონი, ქალის უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები და ბიოპოლიტიკა ევროპაში, წიგნში „განსხვავებული აზროვნება: სახელმძღვანელო ევროპელ ქალთა კვლევებში“ (პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედ: ლელა გაფრინდაშვილი) WIE, ABA/CEELI, თბილისი, 2005, გვ: 74-96*
- ◆ *August Bebel, "Woman and Socialism", translated D. de Leon, New York labor Press, 1904*
- ◆ *ლელა გაფრინდაშვილი, ფემინიზმი და ქალის უფლებე-*

ბი: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ, კრებულში „ვის ეშინია ფემინიზმის საქართველოში?“, HBS, 2013, გვ: 27-51

- ♦ *Mary Wollstonecraft, A Vindication of the Rights of Woman: with Strictures on Political and Moral Subjects*, London, Joseph Jonson, 1790. თამარ საბედაშვილი, ფემინისტური თეორიები და ბოლშევიკური იდეები ქალებისა და სამართლის შესახებ, კრებულში „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“, ტომი II, (პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედ: ლელა გაფრინდაშვილი), OSGF, WIE, თბილისი, 2007, გვ: 110-143

- ♦ სერგეი მესხი, ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება, გაზეთი „დროება“, 1872, N32

- ♦ ლელა გაფრინდაშვილი, „დედათა კითხვა“ და/თუ „ქალთა საკითხი“ საქართველოში, წიგნში „გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა“, ტომი I, (პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედ: ლელა გაფრინდაშვილი, რედ: ლ. გაფრინდაშვილი), WIE/OSGF, თბილისი, 2005, გვ: 28-48

- ♦ ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში: 1918-1921, (პროექტის ავტორი და სამეცნიერო რედ: ლელა გაფრინდაშვილი), WIE/FES, თბილისი, 2018

- ♦ ოლ-ლა, დედათა კითხვა და დედათა ნიჭი, ყურნალი „კვალი“, 1898, N6, გვ: 103-105

- ♦ თამარ გოგოლაშვილი, საჭიროა თუ არა ქალთა ორგანიზაციები, გაზეთი „ერთობა“, 1917, N80

- ♦ გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში <https://nplg.gov.ge/>

- ♦ პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, ავტორ-შემდგენლები:

ირაკლი ირემაძე, სალომე ჭანტურიძე, თსუ, ცესკო, USAID, IFES, თბილისი, 2017

- ◆ Elizabeth Schulte, Clara Zetkin, *Socialism and Women's Liberation*, 2014 (ხელმისაწვდომია ინტერნეტრესურსებში)

- ◆ Александра Колонтай, «Положение Женщины в Эволюции Хозяйства», Москва, 1923

- ◆ ფრიდრიხ ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953

- ◆ ჟურნალი „ჩვენი გზა“, 1923-1926 წლები, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ჟურნალ-გაზეთების განყოფილება.

ირაკლი ირემაძე • ლელა გაფრინდაშვილი • გაბრიელ ჩუბინიძე

# პროგრესივიზმის საწყისები

ქართული სოციალ-დემოკრატიის მოკლე ისტორია

პირველი გამოცემა

თბილისი  
2024

კორექტორი

დიზაინერი/დამკაბადონებელი

მარიკა ტყეშელაშვილი

ნიკოლოზ გელაშვილი

